ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№112(12791) 15 მაისი პარასკევი 2009 ფასი 60 თეთრი

ვნებათაღელვა სიონი-ვიტ ჯორჯიას გამო

# ბუბა ცხადაძე: ეს თამაში შეიძლება ჩაწყობილი იყოს



შესაძლოა, ვადაჭკორია ფულს არ იღებს, მაგრამ ხათრით, დავალებით ან შიშით მოქმედებს...

ოთარ კორღალიძე

## გეეჭვებათ? გამოუშვან ორი დელეგატი და ორი კომისარი

» 2-3





## შოთა: ბაიერნი არა, მაგრამ აიაქსი...

» 5



## ყენიას უცნაური ოპერაცია

» 4

## დევდარიანის პირველი გასროლა დანიაში

დანიური სასლიგის მორიგ ტურში 21 წლის **დავით დევდარიანის** კარიერის პირველი ევროგოლი გავიდა. მისმა „ორჰუსმა" „ესბიერგი" 3:1 დაამარცხა. დევდარიანმა გოლი 57-ე წუთზე გაიტანა და ანგარიში 2:1 გახადა. ეს კი ასე მოხდა: სტუმარმა მცველებმა ბურთი ხეირიანად ვერ მოიგერიეს და იქვე, საჯარიმოს კუთხეში მდგომ დევდარიანს ჩააბარეს, ვინც „საჩუქარი" თავით გააჩერა, ფეხზე ჩამოილო და მიზანში დასცხო.

90 წუთის განმავლობაში დავითმა უკანდახეულ ფორვარდად ითამაშა. მან პირველ ტაიმშიც ბევრი იაქტიურა და მეტოქის კარს რამდენჯერმე დაემუქრა, თუმცა გოლის გატანა მხოლოდ მეორე ნახევარში შეძლო. ცნობისთვის, „ორჰუსი" 41 ქულით მე-6 ადგილზეა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



დავით დევდარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

დინამო

*ინტერვიუ ბუბა ტყავაძესთან*

# დიდი ხანია ამბობენ, სიონი-ვიტ ჯორჯია შეიძლება გარიგებული იყოსო...

## დინამოს შეჩერებას შარშანაც ამავე მეთოდით აპირებდნენ

თბილისის „დინამოს“ მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე, „ლელოს“ სკანდალურ თემებზე ესაუბრება. ჩაწყობილი თამაშები, უხეირო მსაჯობა და სხვა აქტუალური თემები - ასეთია ამ უდავოდ საინტერესო ინტერვიუს შინაარსი...




**- ბატონო ბუბა, „დინამომ“ ჩემპიონობა დაკარგა?**

- ალბათ, ასეც იქნება იმ განცხადებებიდან გამომდინარე, რაც მოვისმინეთ. „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელმა ბრძანა - „დინამოსთან“ მოგების შემთხვევაში, შეგვიძლია ჩემპიონობა იქვე ვიზეიმოთო. ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ მას დარჩენილი თამაშების არ ეშინია. არადა, თეორიულად შეუძლებელია, პირველობა „დინამოსთან“ მოგებით მოეპოვებინა. ამიტომაც მიკვირს ასეთი განცხადებები. ბოლოდროინდელმა ხმებმა ჩვენამდეც მოაღწია, ვინ რას აკეთებს და რას აპირებს... ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, საიმედო არაფერი გვესმის.

- თამაშები ყველა ქვეყანაში ეწყობა. თუმცა საქართველოში განსაკუთრებულად მძიმე ვითარებაა. აქ ყველა კლუბი მძევალია შემორჩენილი საბჭოური სისტემისა, რომელიც ყველას სვრის. ამდენად, რომელიმე კლუბის დადანაშაულებაზე მნიშვნელოვანი, ამ მანკიერი სისტემის შეცვლაა. „დინამოც“ ამ სისტემის ნაწილია და მოჯადოებული წრიდან ცალ-ცალკე ვერც თქვენ და ვერც სხვა ვერ გამოხვალთ...

- გეთანხმებით, თამაშებს ბევრგან აწყობენ, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ მთელი მსოფლიო ებრძვის გარიგებებს, ჩვენთან კი რეალურ ნაბიჯებს ვერ ვხედავ. დავიწყოთ ეს ბრძოლა თუნდაც დღეიდან.

**- თქვენი ინფორმაციით, ჩაწყობილი თამაშების გამოძიება დაიწყო?**

- ვერ გეტყვით. გამოსაძიებლად სამი თამაში გადასცეს პროკურატურას... მე თუ მკითხავთ, გაცილებით მეტია გადასაცემი... თუნდაც ეს სამი რომ გამოიძიონ, ყველა მიხვდება, რომ წელს ჩემპიონი „დინამო“ უნდა გამხდარიყო.

**- ანუ, „ვიტ ჯორჯიამ“ პატიოსანი ბრძოლით არ გაჯობათ?**

- არ ვიცი, ვერ გეტყვით... ამას დამტკიცება უნდა... იმ სამ შეხვედრას დავუბრუნდები. ყოველთვის არის ლაპარაკი გარკვეულ ეჭვებზე. დარჩენილია თამაშები და ეჭვები დღესაც არსებობს. ხმები იმათთანაც მიდის, ვინც რეაგირება უნდა მოახდინოს, ვგულისხობ ფედერაციასა და პროფლიგას. ალბათ, უფრო პროფლიგას, რადგან ის არის ჩემპიონატის ორგანიზატორი. მათ იციან, რომ დარჩენილ ტურებში რამდენიმე შეხვედრაა, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს... ერთ-ერთი, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, „სიონი“-“ვიტ ჯორჯიაა“ და დიდი ხანია ლაპარაკობენ - შეიძლება, ეს თამაში გარიგებული იყოსო. არსებობს მოსაზრებაც, რომ აქედან გამომდინარე, „სიონი“ და „ოლიმპიც“ ურთიერთშეთანხმებით რალაცებს აკეთებენ. რატომ არ შეიძლება, წინასწარ მიიღონ ზომები და გამოყონ კომისია? სხვათა შორის, კომისიის შექმნა ჩემი იდეაა. მასში უნდა გაერთიანდნენ ის ადამიანები, რომელთაც უყვართ ქართული ფეხბურთი, იციან საქმე და, რაც მთავარია, პროფესიაში თავი პატიოსნებით გამოიჩინეს. ასეთ ხალხს შეუძლია სწორედ თამაშების შეფასება.

**- ალმასკომზე სამი შეხვედრის გამოძიება რომ მოითხოვეს, მაშინ „დინამო“-“ზესტაფონის“ შარშანდელი სათასო და საჩემპიონო შეხვედრებიც ახსენეს. იმ მატჩის ერთი გოლი კარგად მახსოვს - „ზესტაფონის“ მაშინდელ კაპიტან როინ ონიანს ჯერ კარში დარტყმული არ ჰქონდა, როცა თქვენი მეკარე ოვონო საპირისპირო მიმართულებით გადახტა. რაღა დაგიმალოთ და, გოლმა ძალიან უცნაური შთაბეჭდილება დატოვა...**

- ჯერ იმას გეტყვით, რომ ეს არავის წამოუძახებია და ვერც წამოგვაძახებდა. თუმცა ეჭვი არის და გამოიძიონ, სიამოვნებით დავთანხმდები. ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ, აზრადაც არავის მოსვლია, რომ ეს იყო გარიგებული თამაში. გაძევება, გაწევ-გამოწევა, უამრავი ყვითელი ბარათი... რამდენიმე ფეხბურთელი კი თავად დავსაჯეთ. ამის შემდეგ ხუთმა მოთამაშემ თასზე გამოსვლის უფლება დაკარგა. ეს რომ გარიგება ყოფილიყო, ჩვენც მეორე შემადგენლობით ვითამაშებდით და ვიტყოდით, რომ „დინამოსთვის“ მთავარი იყო ჩემპიონობა და არა - თასი. ამით ჭორაობაც დამთავრდებოდა. ჩვენ თასიც გვაინტერესებდა, მაგრამ დისკვალიფიცირებულთა სიმრავლის გამო, სრული ძალით ვერ ვითამაშეთ. თუკი რაიმე გარიგება მოხდა, ამის გამოძიებით, უპირველეს ყოვლისა, მე ვარ დაინტერესებული.

**- ბატონო ბუბა, გარიგებულ თამაშებში მონაწილეობას ყველა კლუბი კატეგორიულად უარყოფს. მაშ ვინღა აწყობს მატჩებს?**

- მეც ზუსტად მანდ ვარ, რომ საქმე რეალურადაა გამოსაძიებელი.

**- თავისით გარიგებას არავინ აღიარებს. კლუბის დასჯაზე მნიშვნელოვანი სისტემის შექმნაა. რა ვქნათ, პრეზიდენტებს ხატზე დაფიცება მოვთხოვოთ თამაშები რომ არ ჩააწყონ, თუ რა გზას დავადგეთ?**

- ყველა ის სისტემაა მისაღები, რომელიც გარიგებულ შეხვედრებს შეებრძოლება.

» 3

ტრანსფერი

# 700 ათასი ევრო ოვონოში

## ლე მანმა დინამოსთან პარტნიორობა გადაწყვიტა

როგორც ვწერდით, თბილისის „დინამოს“ მეკარე **დიდიე ოვონო** კარიერას საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „ლე მანში“ გააგრძელებს. ეს გუშინ ჩემპიონის მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემაც** დაგვიდასტურა და მნიშვნელოვანი დეტალებიც გაგვიმხილა.

*„მომავალი თანამშრომლობის თაობაზე „ლე მანთან“ ხელშეკრულება გავაფორმეთ. ამის საფუძველი ფრანგულ კლუბში „დინამოს“ მეკარის დიდიე ოვონოს გადასვლა გახდა. 3-წლიან კონტრაქტს მალე ოფიციალურად მოეწერება ხელი. შემიძლია გითხრათ, რომ წლევანდელ სეზონს ფინანსური მოგებით დავასრულებთ. „დინამოდან“ წასული სხვადასხვა ფეხბურთელისგან საკმაოდ სოლიდური კომპენსაციები გვერგო. ამას გარდა, შემოსავალი გვქონდა უეფასგანაც. ოვონოს ტრანსფერით კი უკვე მოგებაზე გავედივართ. კარგი იქნება, მუდმივად ასე რომ გაგრძელდეს“*, - გვითხრა ტყავაძემ.

ტყავაძემ ოვონოს სატრანსფერო ფასიც გაგვიმხილა: *„ამას ჩვენ არასდროს ვმალავთ: ფრანგებთან 700 ათას ევროზე მოვილაპარაკეთ. გვიხარია ასეთი ტრანსფერი, რადგან ოვონო მაშინ ვიყიდეთ, როცა მისი ფასი ბევრად ნაკლები იყო. გაბონელებზე კი მოთხოვნა ბევრად გაიზარდა, რადგან ფიფას რეიტინგში საგრძნობლად გაგვასწრეს და 50 საუკეთესო ნაკრებს შორის გადაინაცვლეს“*.

ამ ტრანსფერით, თბილისის „დინამომ“ ერთგვარი რეკორდი დაამყარა - 2008 წლამდე საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბში საქართველოდან არც ერთი მეკარე არ გადასულა. „დინამოდან“ კი ჯერ **გიორგი მაკარიძე** გადაბარგდა „ლე მანში“, ახლა კი მას ოვონოც მიჰყვა.

**მერაბ მამულაშვილი**



*ინტერვიუ კახა კაჭარავასთან*

# ჩვენთან სასწაულები არ ხდება

**თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე კახა კაჭარავას ხელმეორე დებიუტი მართლაც ჩინებული გამოდგა - ზედიზედ ოთხი გამარჯვებაც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა და გუნდის თამაშის ხარისხიც. სამწუხაროდ, საკადრო თუ სხვა პრობლემების გამო, მოქმედი ჩემპიონის ბოლოდროინდელ ასპარეზობას წარმატებულს ნამდვილად ვერ დავარქმევთ, ბოლო სამ შეხვედრაში „დინამომ“ ერთი წააგო და ორი ფრედ ითამაშა. რაც მთავარია, გუნდმა ვერ შეძლო „სეზონის მატჩში“ გამარჯვება, როდესაც ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტს „ვიტ ჯორჯიას“ ხვდებოდა (ეგ კი არა, სულაც მარცხდებოდა და მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლო ანგარიშის გათანაბრება). შეხვედრის დასრულების შემდეგ, ყოველთვის გაწონასწორებული და თავშეკავებული კახა კაჭარავას ცნობა, ცოტა არ იყოს, შეუძლებელი იყო: „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ლიად და ემოციურად გამოხატა საკუთარი უკმაყოფილება არაობიექტური მსაჯობის გამო. „დღეს ჩემი გუნდის ფეხბურთელები, მეტოქესაც ებრძოდნენ და... მსაჯებსაც, თანაც, ათი-თერთმეტი ტურია, ასე გრძელდება“, - ვერაფერს ვიტყვით, მართლაც, სერიოზული ბრალდებაა. რა იყო ეს - მხოლოდ „ცხელ გულზე“ ნათქვამი სიტყვები თუ ქართულ ფეხბურთში არსებული მწარე რეალობა? ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე რა განწყობაა ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდში? ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს კახა კაჭარავას გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე ვეწვით.**

**- გულახდილად გვითხარით: გჯერათ, რომ „დინამო“ ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებას შეძლებს?**

- ნორმალურ ქვეყანაში ამის იმედი ყველას ექნებოდა; ჩვენთან კი ცოტა განსხვავებული სიტუაციაა - მხოლოდ საკუთარ თავზე არა ვართ დამოკიდებული. თუმცა ჩვენ ორივე დარჩენილი შეხვედრა უნდა მოვიგოთ და მერე, ვნახოთ...

**- მწვრთნელისგან სხვა პასუხს არც ველოდით. რამდენად მოტივირებულნი არიან „დინამოს“ ფეხბურთელები ბოლო ორი შეხვედრის წინ? მით უმეტეს, „ვიტ ჯორჯიასთან“ ვერმოგების შემდეგ...**

- გეთანხმებით - არ არის ადვილი ასეთი პრინციპული შეხვედრის მერე, როცა, ფაქტობრივად, სხვაზე ხარ დამოკიდებული, ჩვეულებრივი მოტივაციით იასპარეზო. „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის შემდეგ მეც და კლუბის ხელმძღვანელებიც არაერთხელ ვესაუბრეთ ფეხბურთელებს; შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ ავუხსნათ, რომ ერთი და ორი მატჩით ყველაფერი არ წყდება. თანაც, „დინამოს“ მოთამაშეთა უმრავლესობა ახალგაზრდაა და მჯერა, ასეთი „საჩემპიონო შეხვედრები“ კარიერაში კვლავაც არაერთხელ ექნებათ.

**- ჩვენი საუბრის ძირითადი თემა „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩატარებული მატჩია. როგორ ფიქრობთ, საკადრო პრობლემები რომ არ გქონოდათ, შეხვედრა სხვა შედეგით შეიძლება დასრულებულიყო?**

- ასე გიპასუხებთ: კრშკო, ვაწაძე, აკირემი, ფირცხალავა, ჩარასი და სპასოევიჩი რომ არ გამოგვკლებოდნენ, დღესდღეობით სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე „დინამო“ იქნებოდა! კონკრეტულ მატჩს „ვიტ ჯორჯიასთან“ კი, მერწმუნეთ, მოვიგებდით! მეტოქემ ჩვენს კარში სამჯერ დაარტყა - ერთხელ ძელს მოხვდა ბურთი, მეორედ ოვონომ აილო მესამე შემთხვევაში კი გოლი გაგვიტანეს...

**- განსაკუთრებით, ალბათ, კრშკოსა და ვაწაძის არყოფნა იგრძნობოდა...**

- კრშკო დაცვის ლიდერი იყო, ვაწაძე კი გუნდის და საერთოდ, ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი - ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათქვამია; ამათ გარდა, ჩარასსა და აკირემსაც უდიდესი სარგებლის მოტანა შეეძლოთ. აღარაფერს ვამბობ ფირცხალავაზე - სამწუხაროდ, ეს ნიჭიერი ნახევარმცველი სწორედ მაშინ დაშავდა, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე სერიოზული განაცხადი რომ გააკეთა.

» 3

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ჩვენთან სასწაულები არ ხდება

2« - ისე, ჩარასსა და აკირემს, რატომღაც, მუდამ ტრავმებისკენ აქვთ „მიდრეკილება“ - ერთ თამაშს ჩაატარებენ, მერე უკვე მკურნალობენ...

- ტრავმებისგან დაზღვეული არავინ არის - სამწუხაროდ, ჩვენი ორივე ლეგიონერი „ლოკომოტივთან“ სათასო შეხვედრაში დაშავდა. ამის გამოც იყო, რომ „ვიტ ჯორჯიასთან“ უპრინციპულეს შეხვედრაში „დინამოს“ სათადარიგოთა სკამზე მსხდომთა უმრავლესობა გამოუცდელი, 18-19 წლის ბიჭი იყო.

**- სპასოევიჩზეც გკითხავთ - წინა ტურში „სიონთან“ მართლაც უაზრო ყვითელი ბარათი რომ მიიღო.**

- ამას უაზრო საქციელი კი არა, არაპროფესიონალიზმი ჰქვია - სპეციალურად ვაჭიანურებდი „სიონთან“ მის მოედანზე შეყვანას; თანაც, იცოდა, რომ დისკვალიფიკაციის ზღვარზე იყო, მაგრამ შეცვლაზე შევიდა თუ არა, სრულიად უწყინარ სიტუაციაში „მოახერხა“ ყვითელი ბარათის მიღება.

**- ბარემ, ლეგიონერების თემა გავაგრძელოთ. ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული და საუკეთესო მეკარე დიდიე ოვონო, ზედიზედ ორი ტურია, უხეშ შეცდომებს უშვებს. რაც მთავარია, ამ შეცდომების გამო, ორივე შემთხვევაში „დინამომ“ თამაშები ვერ მოიგო...**

- გეთანხმებით - „სიონთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩვენმა მეკარემ ისეთი ბურთები გაუშვა, მისი დონის მეკარეს რომ არ ეკადრება. მით უმეტეს, რომ ყველამ ვიცით, თუ რა შესაძლებლობების მეკარეა და საქართველოში ყოფნის ორი წლის განმავლობაში ეს არაერთხელ დაამტკიცა კიდეც. სამწუხაროა, რომ ამ ორივე უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში ოვონომ ვერ გადაგვარჩინა; თუმცა ისიც არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენს წარუმატებლობებს მხოლოდ მას ვაბრალებდე - სამწუხაროდ, საგოლე მომენტების რეალიზების ხარისხიც დაბალი გვაქვს.

**- ისევ ოვონოზე გკითხავთ; ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ, მართლაც ჩინებულ მეკარეს საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი აღარა აქვს?**

- არა მგონია, რომ მოტივაცია დაეკარგოს, რადგან ნამდვილი პროფესიონალია. მასზე მაღალი დონის მეკარეები სცოდავენ და არც ოვონოა ამ მხრივ გამონაკლისი...

**- „საჩემპიონო“ მატჩში „დინამოს“ მხოლოდ გამარჯვება აწყობდა; ბევრის აზრით კი თქვენმა გუნდმა თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, ფრთხილი ტაქტიკა აირჩია...**

- ვერაფრით დავეთანხმები ამ მოსაზრებას: ფაქტობრივად, ოთხი შემტევი სტილის ფეხბურთელი (ჯუისი, მერებაშვილი, კოშკაძე, ტომიჩი) იყო ძირითად შემადგენლობაში.; ერთადერთი ცვლილება ის იყო, რომ პირველი 30 წუთი მერებაშვილი მარცხენა ფლანგზე თამაშობდა, კოშკაძე კი - ცენტრში, მერე ამ ფეხბურთელებს ადგილები შევუცვალეთ და ყველაფერი ძველებურად იყო.

**- ანუ გინდათ თქვათ, რომ იმ მომენტისთვის ოპტიმალური შემადგენლობა გყავდათ?**

- სამწუხაროდ, ისევ და ისევ, იმ საკადრო პრობლემების გადამკიდე სხვა არჩევანი არც მქონია. თუმცა, ისევ წინა კითხვას მინდა დავუბრუნდე, როცა „დინამოს“ ფრთხილ ტაქტიკაზე მკითხეთ; ამ შემთხვევაში, განსხვავებული აზრი მაქვს და მიმაჩნია, რომ „ვიტ ჯორჯიას“ სერიოზული უპირატესობა არ ჰქონია. კი, უფრო მეტი ჯარიმა შეასრულეს და ალბათ, აუტიც, ჩვენზე მეტი ჩამოაწოდეს, მაგრამ ამით უპირატესობა არ იზომება...

**- იმავე მატჩის დასრულების შემდეგ, პრესკონფერენციაზე მსაჯების ქმედებას საკმაოდ მკვეთრი შეფასება მიეცით. არადა, თქვენგან მსგავსი რამ ადრე არასდროს გვსმენია.**

- ასეთი შეხვედრის მერე, მწვრთნელი რომ ემოციური იქნება, ალბათ, არავის უნდა გაუკვირდეს. მიკერძოება, შესაძლოა, არც ყოფილა, მაგრამ ნამდვილად ვერ დავხუჭავდი თვალს იმ ვითომ „წვრილმანებზე“, ხშირ-ხშირად თამაშის გაჩერებას და არასწორად ჯარიმის დანიშვნას რომ ჰქონდა ადგილი მთელი მატჩის განმავლობაში. კიდევ ვიმეორებ, მთავარ არბიტრს მიკერძოებაში ნამდვილად ვერ დავადანაშაულებ და შესაძლოა, არც განსაკუთრებული სიმპათია ჰქონდა ჩვენი მეტოქის მიმართ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უაღრესად ნერვიული და პრინციპული მატჩი ხომ მისთვისაც იყო? თანაც არ დაგავიწყდეთ - ორივე გუნდის ფეხბურთელებს ჯამში 12 ყვითელი ბარათი უჩვენა...

**- იმაში ალბათ დაგვეთანხმებით, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ მოედნის ცენტრში თქვენი გუნდი აშკარად დაჩაგრა...**

- ჩვენ ორივე ცენტრალურ ნახევარმცველს მეტოქის ფეხბურთელები მჭიდროდ ეთამაშებოდნენ და გეთანხმებით, ამ მხრივ მოწინააღმდეგემ დაგვჩაგრა. თანაც, სამწუხაროდ, შეხვედრის საწყის წუთებში არასაკმარისად აქტიური გახლდათ გიორგი მერებაშვილიც. თუმცა მე უფრო სხვა რამეზე მწყდება გული: ხშირად ვადევნებ თვალს სხვა გუნდების თამაშებს და არასდროს გამჩენია სურვილი, რომ კოლეგას რაიმე გადაწყვეტილება დავუწუნო. მით უმეტეს, ამას საჯაროდ როგორ ვიტყვი; აი, რამდენჯერმე გაიჟღერა პრესაში, თითქოსდა კაჭარავას, მოედნის ცენტრში ახალგაზრდა ნემსაძის ნაცვლად გამოცდილი ხმალაძე უნდა დაეყენებინა, მარცხენა მცველად - სხვა ფეხბურთელი, და ასე შემდეგ, რა თქმა უნდა, ჟურნალისტებს არ ვგულისხმობ, უბრალოდ, კოლეგისგან გამიკვირდა...

**- „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ხელმეორე დებიუტი შთამბეჭდავი გქონდათ - არცთუ იოლ მეტოქეებთან ზედიზედ ოთხი გამარჯვება. აი, ამის მერე კი გუნდი სამი მატჩია, მოგებას ვერ ახერხებს...**

- არ დაგიმალავთ და ველოდებოდი კიდეც, რომ „დინამოს“ გარკვეული ჩავარდნა ექნებოდა. ადრე დაშავებულებს ყოველ ტურში ახალი ფეხბურთელი ემატებოდა; თანაც, სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელ ბიჭებს (ნემსაძე, ჯუისი, ტომიჩი), ფაქტობრივად, შეუცვლელად უწევდათ თამაში. ანუ, ძირითად შემადგენლობაში არც როტაციის საშუალება მქონია და არც - დიდი არჩევანის...

**- დაბოლოს, ისევ იმ კითხვას დაგისვამთ, საუბარი რითაც დავიწყეთ: სასწაულების გჯერათ?**

- სასწაულები ხდება ნორმალურ ქვეყანაში; თუმცა ხომ შეიძლება ჩვენთანაც იგივე მოხდეს?! მაგრამ მეც გვიმეორებ და ვიტყვი, რომ ამ ეტაპზე „დინამოს“ მთავარი ამოცანა დარჩენილ ორივე შეხვედრაში გამარჯვებაა...

**გია ტუხაშვილი**

*სიონი-ვიტ ჯორჯია*

*ოთარ კორღალიძე*

# გამოუშვით ორი დელეგატი და ორი კომისარი!

**ეროვნული პირველობის დასრულებამდე ორი ტურილაა დარჩენილი. საჩემპიონო ბრძოლაში ჩართული „ვიტ ჯორჯია“ ჯერ ბოლნისში „სიონს“ შეხვდება, ბოლოს კი „მგლებს“ უმასპინძლებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლნისურ შეხვედრას დიდი აჟიოტაჟი ახლავს თან, რაც თბილისის „დინამოს“ მმართველი დირექტორის ბუბა ტყავაძის ინტერვიუდანაც ჩანს. ფაქტია, რომ საფეხბურთო სამყაროში რაღაც ხდება. აგერ, გუშინ „სიონის“ მთავარი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე დაგვიკავშირდა და ამ მატჩის თაობაზე განცხადების გაკეთების სურვილი გამოთქვა:**

- საფეხბურთო კლუბი „ბოლნისი“ და პირადად მე, მივმართავთ პროფესიული ფეხბურთის ლიგას, რომ მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოუშვან შეხვედრაზე 2 დელეგატი და 2 კომისარი, წესიერებით გამორჩეული ხალხი. ჩვენ სხვა გზა არ დაგვრჩენია, ამ მითქმა-მოთქმას წერტილი უნდა დაესვას. ობიექტური დელეგატები და კომისრები თავად შეაფასებენ, მონაწილეობს თუ არა „სიონი“ გარიგებულ მატჩებში. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ არავისთან ვართ შეკრულები და ვისაც ქულები წავართვით, ლოლისურად წავართვით და თუკი ვინმესთან წავაგეთ, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ გუნდმა ვერ ითამაშა.

**- ბატონო ოთარ, უცნაური ის არის, რომ „სიონმა“ ლიდერ „დინამოსთან“ საოცარი თავგანწირვით ითამაშა, მაშინ, როცა აუტსაიდერ ცხინვალის „სპარტაკთან“ ვერაფერს გახდა...**

- ჩვენი გუნდის სენი რომ არასტაბილურობაა, წლევანდელმა სეზონმა ეს დაამტკიცა. ეს არის გუნდის სენი და არა - დანაშაული. სხვათა შორის, ორიოდე თვის წინათ „ლელოში“ ჩემი ინტერვიუ იყო, სადაც სწორედ ამის თაობაზე მკითხეს. არ გახსოვთ, ცხინვალის „სპარტაკსა“ და ახალციხის „მესხეთს“ შინ რომ ვერ მოვუგეთ? კიდევ ერთხელ ვამბობ - სამწუხაროდ, გუნდი ძალზე არასტაბილურია, მაგრამ ამის გამო ჩვენს წესიერებაში ეჭვის შეტანას ნურავინ ეცდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# დიდი ხანია ამბობენ, სიონი-ვიტ ჯორჯია შეიძლება გარიგებული იყოსო...

2« თუნდაც, ხატზე დაფიცება იყოს და თუნდაც... რა გითხრათ, მაგალითად, პატრიარქის დარიგება. პატრიარქის სიტყვებს ბევრი ვერ გადააბიჯებს... მოკლედ, არ ვიცი რა... ყველაფერი უნდა ვილონოთ. „დინამოსთვის“ უკეთესია, თუ არ იქნება გარიგებები, ერთმანეთთან შეკრული და ერთმანეთის დამხმარე კლუბები. თუმცა ზოგჯერ ჭორები ბოდვას ემსგავსება. ვიღაცამ დარეკა გადაცემა „გოლში“ და თქვა - ჩვენს ჩემპიონატზე ტოტალიზატორში ფსონების მიღება რომ დაიწყეს, „დინამომ“ „სპარტაკთან“ ფრედ ამის გამო ითამაშაო. ეს უკვე ბოდვაა. რა ისეთი თანხა უნდა შესულიყო საქართველოს ტოტალიზატორში, გარიგებაზე რომ წავსულიყავით?

**- საქართველოს ჩემპიონატზე ფსონებს მალაიზიაშიც იღებენ. იქ კი დიდ თანხებზეა ლაპარაკი. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ჩვენს ჩემპიონატში უამრავი სიბინძურეა და ხალხი ყველაფერს ეჭვის თვალით ამიტომ უყურებს...**

- შეიძლება. ჩემი აზრით, ქართული ფეხბურთის კიდევ ერთი უბედურება მსაჯთა სუსტი კორპუსია. მინდა კარგი ვთქვა გიორგი ვადაჭკორიაზე, კარგი პიროვნებაა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან“ წარმოუდგენლად ცუდად იმსაჯა. არ ვამბობ, რომ კარგი მსაჯობის შემთხვევაში აუცილებლად მოვიგებდით, შესაძლოა, სულაც წაგვეგო, მაგრამ... მან ბევრი შეცდომა დაუშვა.

**- მსაჯთა კომიტეტის გავლენიანი პირი ამბობდა - შესაძლოა, ვადაჭკორია შეცდეს, მაგრამ პატიოსანია, ფულს არ იღებს და პრინციპულ შეხვედრებს ამიტომაც ვანდობთო...**

- შესაძლოა, ფულს არ იღებს, მაგრამ ხათრით, დავალებით ან შიშით აკეთებს... მე არ ვიცი... ვიცი ის, რომ „დინამო“-„ვიტ ჯორჯია“ ძალიან ცუდად იმსაჯა და ეს აისახა თამაშზე, არადა, შეიძლებოდა, ერთ-ერთი ყველაზე ყურებადი მატჩი ყოფილიყო. ამის ნაცვლად კი ყველანაირად ჩამკვდარი თამაში ვიხილეთ. და ეს იმიტომ, რომ მსაჯი ყველა მიკარებაზე ჯარიმას დებდა და ტემპს ახშობდა.

**- ეს მხოლოდ ვადაჭკორიას კი არა, ქართველ მსაჯთა სენია. ისინი არ არიან ინგლისური ყაიდის არბიტრები, რომლებიც ფეხბურთელებს თამაშის საშუალებას აძლევენ. ამის თაობაზე პროფლიგამ მსაჯებს საგანგებო დავალებაც კი მისცა, მაგრამ... ეტყობა, მაინც ფრთხილობენ.**

- 12 ყვითელი ბარათი გამოიყენა, რისკის ფაქტორი შეამცირა, რომ შემდეგ არავინ გაეგდო, აღარაფერს ვამბობ შეცდომებზე, რომელიც უმთავრესად „დინამოს“ საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. შარშან, საჩემპიონო შეხვედრაში, ლევან კვარაცხელიამ „ვიტ ჯორჯიასთან“ წარმოუდგენელი შეცდომები დაუშვა და ეს ყველაფერი პენალტით დააგვირგვინა. კიდევ კარგი, რაზმაძემ გააფუჭა ის 11-მეტრიანი, თორემ „დინამოს“ გასაჩერებლად შარშანაც იმავეს აპირებდნენ. ასეთ მატჩებში ჩემთვის წარმოუდგენელია სუსტი მსაჯობა, მით უფრო, რომ ისინი ფიფას არბიტრები არიან. ვინმე ხომ უნდა დაინტერესდეს, რატომ ხდება ასე?

**- ორი აზრი არ არსებობს, მსაჯები ტიტულოვან გუნდებს სწყალობენ. ამდენად, გაუგებარია, რატომ უნდა იყოს რომელიმე მსაჯი შეგნებულად „დინამოს“ წინააღმდეგი და „ვიტ ჯორჯიას“ მომხრე?**

- მე ამაზეც ვფიქრობ და იმაზეც, თუ რატომ არის ამდენი გუნდი ერთად „დინამოს“ წინააღმდეგ ამხედრებული? რატომ აქვთ მხოლოდ „დინამოსთან“ ბრძოლის ჟინი და ერთმანეთში თამაშის დროს ეს ჟინი ეკარგებათ?! ამის გასარკვევადაც მინდა კომისიის შექმნა. იქნებ, ასეთი მიმართულებაა, რომ ჩემპიონი რაც შეიძლება მეტი გუნდი გახადონ და მერე თქვან, რომ აი, მარტო „დინამო“ არ არის სახელოვანი კლუბი, სხვებიც არანაკლებნი არიანო. სახელი დამსახურებით უნდა მოდიოდეს და არა - შემთხვევითი, ნაძალადევი ჩემპიონობით... გვქონდა ჩვენ ასეთი პრეცედენტები.

**- 1995 წელს „დინამომაც“ ნაძალადევად მოიპოვა ჩემპიონობა - იმერლებს ტიტული სახელმწიფო სტრუქტურების მხარიდან უხეში ჩარევით წაართვეს, რამაც სამტრედიაში ფეხბურთი ჩაკლა. ეს რომ არა, იქნებ, ეს ქალაქი ფეხბურთის ახალ ცენტრადაც გადაქცეულიყო...**

- იმ პერიოდში არ ვიყავი საქართველოში და ასე თუ მოხდა, ძალიან სამწუხაროა. მეტიც - სირცხვილია!

**- მიმდინარე სეზონში „ვიტ ჯორჯიასთან“ სამივე მატჩი ფრედ ითამაშეთ. როგორ მოხდა, რომ ერთი თამაშიც ვერ მოიგეთ, თუკი სჯობდით მეტოქეს?**

- პირველი შეხვედრა 2:2 დასრულდა, მეორე წრეში 1:1 ვითამაშეთ გორში, თუმცა ჩემი აზრით, „დინამო“ მეტოქეს სჯობდა. ჩვენს კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც არბიტრს შეიძლებოდა დაედო, ან არ დაედო. მაგრამ ამის შემდეგ, მერებაშვილის წაქცევისთვის, არბიტრს მეტოქის კარშიც ულაპარაკო 11-მეტრიანი უნდა დაენიშნა და მაშინ უკვე „დინამო“ მოიგებდა. მან კი პენალტი არ დანიშნა. აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ „ვიტ ჯორჯიასთან“, რატომღაც, თითქმის სულ ვადაჭკორია მსაჯობს და რატომღაც, სულ „დინამოს“ კარში ნიშნავს პენალტს. ამჯერად, არ დაუნიშნავს 11-მეტრიანი და ეს ჩვენთვის მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

**- წელან თავად ახსენეთ გადაჭარბებული ეჭვები. იქნებ, როგორც გულშემატკივარი ცდება „დინამო“-“სპარტაკის“ ფრედ დასრულებული შეხვედრის შეფასებაში, თქვენც ასევე ცდებით და ვადაჭკორიაც შეგნებულად არ მოქმედებდა „დინამოს“ წინააღმდეგ? რა დასამალია და, ის ერთადერთი მსაჯია, რომელზეც კარგის მეტი არაფერი მსმენია...**

- შარშან ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთი გადამწყვეტი შეხვედრა „ამერთან“ გვქონდა. ვადაჭკორიამ ჩვენს კარში ისეთი პენალტი დანიშნა, წაქცეულმა სულიკო დავითაშვილმა თავად თქვა - არ იყოო. მართალია, ის მატჩი მოვიგეთ, მაგრამ ვერ მოვითმინე და თამაშის შემდეგ მაინც ვუთხარი ვადაჭკორიას - არ შეიძლება, „დინამოს“ საწინააღმდეგოდ ამდენჯერ შეცდე-მეთქი. მერე კი გავიფიქრე, რომ შეიძლება, გადავაჭარბე კიდეც, თავს ძალა დავატანე და ვადაჭკორიას ესეც ვუთხარი - აღელვებული ვიყავი და ჩემი ემოცია სწორად გაიგე-მეთქი. თუმცა ამგვარი შეცდომა ძალიან ხშირია, თანაც - მუდმივად ერთ მხარეს და ამიტომაც ჩნდება ეჭვები. იგივე შემიძლია ვთქვა კვარაცხელიაზე და ხომ გახსოვთ, ამიტომაც ვიყავი ნახევარფინალში „ლოკომოტივთან“ მისი დანიშვნის წინააღმდეგი. ნახავდით კიდეც, რაც გააკეთა...

**მერაბ მამულაშვილი**

*ინციდენტი*

# ეს თუ არ აღიკვეთა, ცუდად იქნება საქმე...

## სამტრედიელმა ფანებმა მარტვილის სტადიონი დაარბიეს

12 მაისს, მარტვილში ადგილობრივმა „მერანმა“ პირველი ლიგის დასავლეთი ზონის ლიდერ „სამტრედიას“ უმასპინძლა და 2:0 სძლია. მატჩს მრავლად დაესწრნენ იმერული კლუბის გულშემატკივრებიც. „მერანის“ დამფუძნებელ **ნუგზარ მონიავას** თქმით, ზოგიერთი მათგანი აგრესიულად და ვანდალურად იქცეოდა.

*„დიდი ხანი არ არის, რაც მარტვილში სტადიონი გარემონტდა, 1 700 ინდივიდუალური სკამი დამონტაჟდა და სტადიონიც კოხტად მოეწყო. მაგრამ „სამტრედიასთან“ შეხვედრის შემდეგ, 400 სკამი დაზიანდა, აქედან 130 გამოუსადეგარია, 270 კი მეტ-ნაკლებად დაზიანებული. ეს არ არის სამტრედიელ ქომაგთა ვანდალიზმის პირველი შემთხვევა - ქუთაისში არბიტრის თანაშემწეს დამტვრეული სკამის ნატეხები ესროლეს. ზუგდიდში „ბაიას“ მოუგეს, მაგრამ იქაც იჩხუბეს... ვერ გავიგე, რას ერჩიან სტადიონსა და ტრიბუნებს? ეს იგივეა, სტუმარმა სახლი რომ დაგინგრიოს. მაინტერესებს, „მერანის“ სტადიონისთვის მიყენებულ მატერიალურ ზარალს ვინ აგვინაზღაურებს? პოლიცია, ვისაც წესრიგის დაცვა ევალებოდა თუ „სამტრედიის“ კლუბი? თუკი ვინმემ ეს არ შეაჩერა, ხვალ უარესი მოხდება. ასეთ ზარალს, თან წელიწადში რამდენჯერმე, რომელი კლუბის მეპატრონე აანაზღაურებს? ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება ისედაც პრობლემას წარმოადგენს. კიდევ კარგი, სტუმართა გულშემატკივრებს ტრიბუნაზე ცალკე ადგილი გამოვუყავით, თორემ რა მოხდებოდა, ღმერთმა უწყის. არადა, ჩვენი საფეხბურთო დაპირისპირება ყოველთვის კორექტული იყო. ჩემთვის გაუგებარია გულშემატკივართა ნაწილის აგრესიის მიზეზი. ეგ არის, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ერთი ქულაც ჰყოფნიდათ და სტუმართა ფანები წაგებამ გაამწარა. ვიმეორებ, ამ ვანდალიზმს წერტილი თუ არ დაესვა, ცუდად იქნება საქმე“*, - გვითხრა მონიავამ.

**მერაბ მამულაშვილი**

ერთი კვირის ათასი წვრილმანი
დავით თავართქილაძის რუბრიკა

# ზემოდან და ზეროდან

## მაჩვენეთ დინამო და გეტყვით, რა დღეშია ქართული ფეხბურთი

ზაზა ზამთარაძემ ჯერ საკუთარი ნებით დატოვა მინდორი „ლოკომოტივი"-"სიონის" მატჩის დროს, მერე კი ასევე საკუთარი სურვილით წავიდა „ლოკომოტივიდან" - აღარც თქვენი მწვრთნელობა მინდა და აღარც თქვენი ჩემპიონატიო. ყველაფერი ეს არ არის მხოლოდ ზამთარაძის ამბავი, ამით კიდევ ერთი ბიშტი მიიღო საქართველოს ჩემპიონატმა. ზამთარაძე პრინციპულად მოიქცა, მის გადაწყვეტილებას საფუძვლად სხვა არაფერი ჰქონდა. ზამთარაძე იმიტომ წავიდა, რომ ასე იყო საჭირო - იქნებ, ამის მერე მაინც დაფიქრდნენ სერიოზულად ფედერაცია-პროფლიგა და კლუბები - ზამთარაძის წასვლა ამ მხრივ თუ მოიტანს ხეირს, თორემ ცუდ საქმეებზე სირცხვილისგან არავინ გაწითლდება, ასეთია ქართული საფეხბურთო სამყარო. ზამთარაძე იმიტომ წავიდა, რომ აქ თამაშების ჩაწყობა, მსაჯის მოქრთამვა და სხვა ათასი სიმახინჯე ურცხვად კეთდება და განმკითხავი არავინაა. ქართული ფეხბურთი ყოველგვარი პრინციპების გარეშე დარჩა, ქართულ ფეხბურთს ძალიან ცუდი დრო დაუდგა.

■ ■ ■

„სიონი" კი ძალიან აქტუალური გუნდი გახდა. „სპარტაკი"-"სიონი" (2:1) საეჭვო მატჩი გამოდგა, „სიონი"-"დინამო" (1:1) მძაფრსიუჟეტიანი და დინამოელთათვის ერთობ არასასურველი, „ლოკომოტივი"-"სიონიც" ხმაურიანი იყო და სწორედ ამ მატჩის შემდეგ წავიდა ზამთარაძე „ლოკომოტივიდან", ახლა კი „სიონი"-"ვიტ ჯორჯიაა" და არის ერთი მითქმა-მოთქმა - „სიონი" „ვიტ ჯორჯიას" „დაუწვება", ვიტელებმა რუსთავის „ოლიმპი" თასის ნახევარფინალში რომ „გაატარეს", ვალს დაბრუნება უნდა, „სიონი" და „ოლიმპი" ხომ ერთი რეგიონისა და ერთმანეთის სატელიტი გუნდები არიან...
ცხადია, ჭორები ყოველთვის არ მართლდება. 17 მაისს ეროვნული ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში „სიონი" „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობს და თუ ვიტელებმა არ წააგეს, საჩემპიონო ოქრო თითქმის ხელში ექნებათ. მოკლედ, ბოლნისში დიდად მნიშვნელოვანი შეხლაა და „სიონისგან" FAIR PLAY-ს პრინციპების დაცვას ველით. ჯერ არ გვინდა იმის თქმა, რომ ასეთი სურვილი გულუბრყვილობაა...

■ ■ ■

„დინამო"-"ვიტ ჯორჯია" კი უკვე მოვილიეთ. „დინამომ" ამ ჩემპიონატში ერთხელაც ვერ მოუგო „ვიტ ჯორჯიას" და ამას ვერც მსაჯს დააბრალებს და ვერც დემონურ ძალებს. ეს „დინამო" ვერ გამოდგა კარგი გუნდი სწორედ რომ დინამოური საზომით, თორემ, ისე რა უჭირს. „დინამოს" თუ არ აქვს საქმე კარგად, ქართული ფეხბურთი როგორღა იქნება წელგამართული - ამ ძველმა სენტენციამ ეპოქებს გაუძლო და დღესაც ვარგისია. შეხედეთ თბილისის „დინამოს" და მერე ილაპარაკეთ ქართულ ფეხბურთზე, ქართულ გუნდებზე, ქართულ ჩემპიონატზე... „დინამო" იმ მოთხოვნების შესაბამისად თამაშობს, რა მოთხოვნებიცაა საქართველოს ჩემპიონატში, ეტილავება"ვიტ ჯორჯიას" და მორჩა, აქ მთავრდება დღევანდელი „დინამო", სხვა დიადი მიზნები არ გააჩნია და ამიტომაც არის ასეთი, „ისე რა" გუნდი.
ბაგრატიონები, კახური ღვინო და თბილისის „დინამო" - ესენი ქმნიდნენ საქართველოს ისტორიასო, თქვა ერთხელ აკა მორჩილაძემ, მაგრამ სადღაა ის „დინამო"? გუნდი რომ ასეთ დღეშია, არც რაინერ ცობელის ბრალია და არც კახა კაჭარავასი. „დინამოს" სულ სხვა ცვლილებები სჭირდება, მაგრამ ამისთვის ახლა არავის სცალია...

■ ■ ■

ამ კვირაში იყო 13 მაისიც, 28 წელი დიუსელდორფის ჯადოსნური მატჩიდან. ეს ბოლო, მეხუთე წარმატება იყო ქართული ფეხბურთისთვის, მეხუთე და ჯერჯერობით უკანასკნელი. ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, 2 თასი და ერთიც თასების მფლობელთა თასი - არ არის ეს ცოტა 5-მილიონიანი ქვეყნისთვის, თორემ ზოგადად, ბევრი ნამდვილად არ ეთქმის. ამ ხუთ გამარჯვებაზე დგას ქართული ფეხბურთის ტრადიციები, რაც თანდათან ქრება და ახალიც ვერაფერი იწყება. 28 უტიტულო წელიწადი ცოტა როდია. გვიყვარს იმის თქმა, ქართულ ფეხბურთს დიდი ტრადიციები აქვსო, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ 5 გამარჯვება გვაქვს, რაც ალბათ საკმარისია აუცილებელი, სასიცოცხლო მითების შესაქმნელად, მაგრამ მაინც, 5 ერთობ საკამათო ციფრია დიდი ტრადიციებისთვის. ხუთივე გამარჯვება „დინამომ" მოგვიტანა. მოდი და ნუ იტყვი - მაჩვენეთ „დინამო" და გეტყვით, რა დღეშია ქართული ფეხბურთი.

■ ■ ■

ვერ ამუშავდა საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამა, ნაკრებისთვის უცხოელი მწვრთნელის დაქირავების გარდა, სახელმწიფომ ფეხბურთისთვის ვერ მოიცალა. კლუბები საკუთარი ძალებით წინ ვერ მიქრიან, ფედერაცია-პროფლიგაც დამოუკიდებლად ვერ შოულობს დიდ ფულს, საჭიროა საქმის დაწყება ზემოდან, ანუ ხელის წაკვრა ხელისუფლებიდან, მაგრამ ახლა ვის სცალია ამისთვის?
მოკლედ, ზემოდან ჯერ არაფერი გამოდის და საქმე უნდა დავიწყოთ ზეროდან, ანუ ნულიდან. ვერ არის ეს სასიამოვნო მოსასმენი, მაგრამ სხვა რა გზაა? დღეს 11-12 წლის ქართველი ბავშვები ამსტერდამში მიდიან „მომავლის ჩემპიონთა ლიგაზე" სათამაშოდ , „ჩელსის", „აიაქსსა" და „ინტერს" უნდა ეპაექრონ. მათგან თუ გამოვა რამე, თორემ რაც უკვე გვაქვს, იმით კი ვართ ბოლო ადგილზე.
6 ივნისს შინ მოლდოვასთან და ოთხი დღის შემდეგ სტუმრად ალბანეთთან - დიდი დრო აღარ დარჩა ეროვნული ნაკრების ამ ორ ამხანაგურ მატჩამდე. ექტორ კუპერისგან ექსპერიმენტულ შემადგენლობას ველით და ვნახოთ, ამჯერად მაინც თუ გამოიძახებს არგენტინელი იმ ფეხბურთელებს, რომელთა ნაკრებში ნახვა მასაც უნდა აინტერესებდეს. ღმერთმანი, მოსაწყენად არ გვექნება საქმე.

ლეგიონერი

# ყენიას უცნაური ოპერაცია

## შალკე ქართველის არც ერთ სიბრძნეს არ ენდობა

ლევან ყენია საოპერაციოა, მაგრამ სერიოზული არაფერია. ყენიას ისეთ ოპერაციას გაუკეთებენ, რომ ნამდვილად გაგიკვირდებათ. ასეთ ოპერაციებს ალბათ მხოლოდ გერმანიაში და მის დარ ქვეყნებში თუ უკეთებენ ფეხბურთელებს. ასეთ დასკვნებამდე მხოლოდ უცხოელი ექიმები მიდიან, რადგან საქართველოში ასეთი ოპერაციის გაკეთება ფეხბურთელისთვის არც ერთ ექიმს არ ურჩევია...

ტრავმების გამო, ყენიას 2008/09 წლების სეზონი ფაქტობრივად გაუცდა. ჯერ კოჭის სახსარი დაუზიანდა და გაურთულდა, შემდეგ კუნთი დაეჭიმა და მერე გაუწყდა. ერთი სიტყვით, ლევანს საოცარი უიღბლობა დასჩემდა, მაგრამ ცუდს ხომ კარგიც უნდა მოჰყვეს...

ყენია საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია და გელზენკირხენის „შალკეში" მისი უქმობა არაფრის დიდებით არ ეგების - ოპერაციის შემდეგ ტრავმა თუ აღარ შეაწუხებს, კლუბში მისგან შთამბეჭდავ თამაშს უნდა ველოდოთ.

გუშინ ლევანს გელზენკირხენში დავუკავშირდით და ერთი შეხედვით უცნაურ ოპერაციაზე ვესაუბრეთ.

- კბილებზე ვიკეთებ ოპერაციას. ორშაბათს კლინიკაში დავწვები და იქიდან, ალბათ, მალევე გამომწერენ.

**- კბილებზე? რა დაგემართა?**



ლევან ყენია

- ოთხი სიბრძნის კბილი მაქვს - ორი ზემოთ და ორიც ქვემოთ. ჰოდა, ოთხივე კბილი უნდა ამომიღონ. არადა, ეს კბილები არ მტკივა, ყველა საღია, მაგრამ „შალკეს" ექიმებმა დაასკვნეს - ამდენი ხანი კუნთი ბოლომდე რომ ვერ მოირჩინე, სწორედ მაგ სიბრძნის კბილების ბრალიაო.

**- ანუ კუნთი ქრონიკულად გაწუხებს?**

- ექვსი თვეა, თავს არ მანებებს, ახლაც მტკივა ცოტათი მარცხენა ფეხის ზედა კუნთი. კოჭიც არ მაქვს კარგად. ნაკრებში იტალიასთან რომ ვითამაშე, იქიდან დამეწყო ტკივილი, კვიპროსთან თბილისური მატჩის შემდეგ კი მომემატა ტკივილი და გერმანიაში რომ ჩავედი, გამოკვლევა ჩამიტარეს. აღმოჩნდა, რომ კოჭის მყესები ჩაწყვეტილი მქონდა. ორი კვირის წინათ ვარჯიშზე ბურთი ცუდად მომხვდა კოჭში და ისევ ამტკივდა. ახლა მხოლოდ მსუბუქად ვვარჯიშობ, „შალკეს" სათადარიგოთა სკამზე კი იმიტომ ვზივარ, რომ განაცხადი შეივსოს. კოჭის ტკივილთან სიბრძნის კბილები არაფერ შუაშია, ექიმებმა მითხრეს - სამი კვირა უნდა დაასვენო კოჭი და ვარჯიში მერეღა განაახლოო... ერთი სიტყვით, ეს სეზონი ჩემთვის უკვე დამთავრდა, თუმცა, მიუხედავად ყველა ამ პრობლემისა, მაინც წინგადადგმული ნაბიჯი გამოვიდა - „შალკეს" პირველ გუნდში მოვხვდი.

**- ცხადია, 6 და 10 ივნისს ნაკრებს ამხანაგური შეხვედრები რომ აქვს, მათი გამოტოვება მოგიწევს...**

- ალბათ, ასე იქნება, უბრალოდ, დროში ველარ ვეტევი, გამოჯანმრთელებასა და ფორმაში შესვლას ვერ ვასწრებ.

**- ახალ სეზონს „შალკე" ახალი მწვრთნელით შეხვდება. ფელიქს მაგათის სიმკაცრეზე ლეგენდები დადის...**

- მასზე ყველა იმას ამბობს, ახალგაზრდა ფეხბურთელების მიმართ განსაკუთრებულად მკაცრიაო. ჰოდა, მაგათი „შალკეში" რომ მოვა, სრულად გამოჯანმრთელებული და კონდიციაში მყოფი უნდა დავხვდე, თორემ...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

ლევან ცქიტიშვილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ცქიტიშვილი

# გადაწყვეტილია, ცქიტიშვილი მიდის...

## ისევ ფრაიბურგში? თუ...

მეორე გერმანული ლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ლევან ცქიტიშვილის „ვეენი" (ვისბადენი) უკანასკნელ მე-18 ადგილზეა და მესამე ლიგაში დაქვეითება უკვე გაფორმებული აქვს. 33-ე ნომრით მოთამაშე ქართველ ნახევარმცველს უკვე რამდენიმე ტურია არ უთამაშია. თავიდან ამის მიზეზი ტრავმა იყო, თუმცა მას მერე ლევანი გამოჯანმრთელდა და წესით ბოლო ტურშიც უნდა გამოჩენილიყო მოედანზე, მაგრამ... კვლავ არ უთამაშია.

ბუნებრივია, გვაინტერესებდა მისი ბედი და ვცდილობდით კიდეც დაკავშირებას, თუმცა უშედეგოდ. გვაქვს ინფორმაცია, რომ ლევან ცქიტიშვილი შეიძლება მივიდეს თავის ყოფილ კლუბ „ფრაიბურგში", რომელიც უკვე დაბრუნდა ბუნდესლიგაში...

...და კიდევ ერთი: ახლახან გაცნობეთ, რომ ეროვნული ნაკრების თავკაცმა ექტორ კუპერმა ცქიტიშვილის საქმეში ნახვა გადაწყვიტა. არგენტინელის თქმით, ის ან მისი თანაშემწე აპრილში „ვეენის" რომელიმე თამაშს დაესწრებოდა, თუმცა ამას ხელი ისევ და ისევ ლევანის ტრავმამ შეუშალა...

ერთი სიტყვით, ამ და სხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ ცქიტიშვილს გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით...

**- ლევან, უკვე კარგა ხანია არ გითამაშიათ. ცნობილია, რომ ტრავმა გქონდათ. უკვე გამოჯანმრთელდით?**

- კი, კუნთი მქონდა გაწყვეტილი და ვმკურნალობდი. უკვე ორი კვირაა, გამოვჯანმრთელდი და გუნდთან ერთად სრული დატვირთვითაც ვვარჯიშობ.

**- ეს ძალიან კარგი, მაგრამ ბოლო ტურებია, „ვეენის" განაცხადშიც კი არ ხართ. რა ამის ამის მიზეზი?**

- სამწუხაროდ, ჩვენი გუნდი უკვე გავარდა მეორე ლიგიდან. ამას უკვე ყველა შეეგუა და მწვრთნელები იმ ფეხბურთელებს ათამაშებენ, ვინც გუნდში რჩება და ახალი სეზონიდან მესამე ლიგაში ითამაშებს. ეს არის მიზეზი, მეტი არაფერი...

**- თუ „ვეენი" მეორე ლიგიდან გავარდებოდა, კლუბთან თქვენი კონტრაქტი ავტომატურად წყდებოდა - რამდენადაც ცნობილია, ასე წერია თქვენს ხელშეკრულებაში...**

- დიახ, ასეა. ორი ტურიც და თავისუფალი აგენტი გავხდები. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სხვა გუნდში გადავალ.

**- როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა ლიგაში ადგილის შენარჩუნება?**

- არა, შანსი იყო და არც თუ მცირე, მაგრამ ქულები დავკარგეთ და ეს შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გერმანიაში რომ ჩამოვედი, როსტოკის „ჰანზაც" გასავარდნთა შორის იყო, მაგრამ მათ შეძლეს სასურველი რაოდენობის ქულების მოგროვება და გადარჩნენ.

**- სავარაუდო ვარიანტები უკვე გექნებათ...**

- ჩემს აგენტ ალენ ავგუსტინიჩიჩთან ხშირი კონტაქტი მაქვს. ის უკვე შეუდგა ჩემს ტრანსფერზე მუშაობას, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე რეალურ ვარიანტზე ლაპარაკი არ არის.

**- არც ყოფილი კლუბებიდანაა შეთავაზება?**

- არა, ხომ გითხარით, რეალური ჯერ არაფერია.

**- მოდით, პირდაპირ გკითხავთ - ჩვენი ინფორმაციით, „ფრაიბურგში" ბრუნდებით. თქვენი ყოფილი გუნდი უკვე დაბრუნდა მთავარ გერმანულ ლიგაში და გაძლიერება სჭირდება...**

- დამიჯერეთ, „ფრაიბურგიდან" არავინ დამკავშირებია...

**- ამ კლუბის ხელმძღვანელობაში დღესაც არიან ისინი, რომელთაც ახსოვთ თქვენი თამაში...**

- კი, არიან, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ - ჩემთვის რეალური წინადადებით არავის მოუმართავს.

**- ვიცით, რომ ეს ვარიანტი, ჯერჯერობით, მხოლოდ საუბრის დონეზე განიხილება. ხვალ რომ რეალური წინადადებით მოგმართონ, რას იზამთ?**

- თუ ასე იქნა, უარს არ ვიტყვი. ფრაიბურგი ნაცნობი ქალაქი და გარემოა. მართალია, ფოლკერ ფინკე იქ აღარ მუშაობს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. „ფრაიბურგი" თუ დამიკავშირდება, შეიძლება ტრანსფერზე მოლაპარაკება.

**- ფოლკერ ფინკე, რომელიც ახლა ერთ-ერთ იაპონურ კლუბს წვრთნის, დღესაც გეხმიანებათ ხოლმე. იაპონიაში ხომ არ გეპატიჟებათ?**

- არა, ამაზე არაფერი უთქვამს, უბრალოდ, ტელეფონით მოვიკითხავთ ხოლმე ერთმანეთს. ეს არის და ეს.

**- „პანიონიოსში" მწვრთნელი შეიცვალა. გამორიცხულია, რომ კვლავ ამ გუნდში გიხილოთ?**

- არ ვიცი... ჯერჯერობით, სრულ გაურკვევლობაში ვარ და არაფერს გამოვრიცხავ. ჩემი აგენტი მუშაობს ტრანსფერზე და ვნახოთ, რა შედეგებს მივიღებთ.

**- ამ ცოტა ხნის წინათ ექტორ კუპერმა თქვა - გერმანიაში ცქიტიშვილი უნდა ვნახოო. მაგრამ თქვენმა უთამაშებლობამ შეუშალა ხელი...**

- იმედია, კუპერი მომდევნო სეზონში მნახავს... თუმცა თბილისის „ლოკომოტივში" რომ ვთამაშობდი, არა ერთხელ უნახავს ჩემი თამაში...

**- შესაძლოა, ნაკრების თავკაცს მწვრთნელთა საბჭო დაეხმაროს. ამაზე რა აზრის ხართ?**

- მწვრთნელთა საბჭო? ეს ადრეც იყო და ვფიქრობ, ცუდი არ იქნება. მაგრამ ეს ფეხბურთელების განსასჯელი არ არის...

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოურ პრესაში

## გია გრიგალავა

# ჯერ კლუბში დავმკვიდრდე, მერე ნაკრებზეც ვიფიქრებ

„მოსკვას" ოფიციალურ საიტზე მოეწყო 19 წლის ქართველი მცველის გია გრიგალავას ონლაინ-კონფერენცია გულშემატკივრებთან. გიამ მათ უამრავ კითხვაზე გასცა პასუხი, ჩვენ მხოლოდ ყველაზე საინტერესო კითხვა-პასუხი ამოვკრიბეთ...

- (ევგენი) **როგორ შეეგუეთ თქვენთვის ახალ კლუბს?**

- გუნდში მშვენიერი სიტუაციაა, ბიჭებმა კარგად მიმიღეს, კოლექტივი მეგობრულია.

- (პიოტრ ზუბკოვი) **თქვენი თამაშის სტილი ძალიან მომწონს. „მოსკვა" ახალგაზრდული გუნდია, რას ფიქრობთ, რისი მიღწევა შეუძლია გუნდს?**

- დიდი მადლობა. როცა მოედანზე გადიხარ, სულ არ ფიქრობ იმაზე, რამდენად გამოცდილი მეტოქე გყავს. ამ სეზონში ევროთასების საგზურის მოპოვება კარგი იქნება, თუმცა არც მეტზე ვიტყოდი უარს.

- (ოლესია) **მოსკოვი თუ მოგწონთ და რას აკეთებთ ფეხბურთისგან თავისუფალ დროს?**

- მოსკოვი ძალიან მომწონს, თუმცა მისი შესწავლა ასე მალე შეუძლებელია. ვერთობი ბილიარდის თამაშით ან მაგიდის ჩოგბურთით.

- (მიხეილი) **როდის გაიტანთ პირველ გოლს?**

- მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობა არ არის, გოლის გატანას მალე ვაპირებ.

- (ვალენტინი) **რატომ არჩიეთ „მოსკვა" „სპარტაკს"?**

- ბავშვობაში ბევრის ოცნება იყო, რომ კარიერა „სპარტაკში" აეწყო, მე ასეთი ტიპის ადამიანებს არ მივეკუთვნები, თუმცა ამ საკითხზე დიდხანს ვიფიქრე, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას გამოვიტანდი.

- (გიორგი) **საქართველოს ნაკრებში თამაში არ გინდა?** (კითხვა იყო დასმული ქართულად და ის გიამ გადათარგმნა რუსულად მკითხველებისთვის - რედ.)

- ჯერჯერობით უნდა დავიმკვიდრო ადგილი კლუბში, ნაკრებზე კი შემდეგ ვიფიქრო.

- (ანდრეი) **„აიაქსში" რა მოგეწონათ და რატომ ვერ დარჩით ჰოლანდიაში?**

- „აიაქსში" ყველაფერი უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული. რატომ ვერ დავრჩი, ამას უკომენტაროდ დავტოვებ.

- (ევგენი) **რას მივაწეროთ, რომ იოლად დაიმკვიდრეთ ადგილი ძირითად შემადგენლობაში, დაიმსახურეთ თუ მცველთა ხშირი ტრავმების ბრალია?**

- თითოეული გუნდი ცოცხალი ორგანიზმია, ტრავმები ყველგანაა. ვცდილობ, ვითამაშო რაც შეიძლება კარგად. ახლა ვთამაშობ ძირითადში. რა იქნება მომავალში, მწვრთნელის, მიოდრაგ ბოჟოვიჩის გადასაწყვეტია.

- (აზამატი) **თქვენ ცენტრალურ მცველად მიიჩნევით, თუმცა ჩვენს კლუბში მარცხენა ფლანგზე თამაშობთ. თავად რომელ პოზიციაზე გსურთ თამაში? და მინდა გთხოვოთ, ზედმეტი ნერვიულობისგან თავი შეიკავოთ, თქვენი დიდი მომავალი გაქვთ, რუსეთის ნაკრები გელით...**



გია გრიგალავა

- „მოსკვამდე" მარცხენა ცენტრალურ მცველს ვთამაშობდი, აქ ფლანგზე მიმიჩინეს ადგილი. დისკომფორტს არ ვგრძნობ. არ არის ეს ნერვიულობა, უბრალოდ ემოციებია. (გიამ ოსტატურად აარიდა თავის რუსეთის ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივას, ახლაც და კიდევ ორ სხვა კითხვაში - რედ.)

- (ანტონ აბუხბა) **დიდი ხანია გაკვირდებით და ძალიან მომწონს თქვენი თამაში, ვხედავ თქვენს პროგრესს და გგულშემატკივრობთ. რადგან აფხაზი ვარ, მაინტერესებს, როგორი ურთიერთობა გექნებოდათ ანრი ხაგუშთან, ის რომ „მოსკვაში" გადასულიყო?**

- ადამიანებთან ურთიერთობაში ეროვნებას ყველაზე ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ. მთავარია, ადამიანი იყოს კარგი.

- (იგორი) **თქვენს პოზიციაზე რომელი ფეხბურთელია თქვენი კერპი?**

- ასეთი არ მყავს, მომწონს პატრის ევრას თამაში.

- (გიორგი ვართანოვი) **არ გსურთ „მოსკვაში" დიდხანს დარჩეთ?**

- კი, თუ „მილანი" არ შემომთავაზებს კონტრაქტს.

- (რატი) **იცოდეთ, რომ საქართველოში ყველა გგულშემატკივრობთ...**

- ყველას ძალიან დიდი მადლობა.

მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ქართველები დანიაში



დავით დევდარიანი


გიორგი ფოფხაძე



მიხეილ ბარაბაძე

# თვითმხილველი: დევდარიანმა დაბლიჯა, ფოფხაძე მწვრთნელს მოეწონა

## ...ბარაბაძე კი ფეხბურთის ფედერაციამ მოიკითხა

ევროპაში ქართველთა უთამაშებლობის ფონზე მაისის მეორე კვირა დანიაში მყოფი ჩვენებურებისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა - „ორჰუსში" **დავით დევდარიანმა** მთელი მატჩი ჩაატარა და საგოლე პასიც მიითვალა, „ვიბორგშიც" **გიორგი ფოფხაძე** საათ-ნახევრის განმავლობაში საუკეთესო იყო და არც **მიხეილ ბარაბაძეს** შეურცხვენია თავი - მოედანზე ახალი შესული გახლდათ, როცა ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა. დანიაში მცხოვრებმა ქართველმა მენეჯერმა **დიმიტრი თედოშვილმა** სამივეს თამაშს უყურა. მოდი, ვნახოთ, რა შთაბეჭდილება დარჩა მას თავის თანამემამულეებზე:

*„ვიბორგმაც" და „ჰიკმაც" ერთ დღეს ითამაშეს. ჯერ ფოფხაძის თამაშზე წავედი ლუნგბიუში და გაოცებული დავრჩი - გიორგიმ 90 წუთი ისე ირბინა, ლამის ყველაზე აქტიური იყო. მან 30-ჯერ ჩააწოდა აუტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ფლანგი ძალზე დატვირთული იყო. შეტევაშიც რამდენჯერმე ჩაერთო და ერთხელ ისეთი დაარტყა ფლანგიდან, მეკარემ ხარიხის ქვემოდან ბურთი კუთხურზე ძლივს გადააგდო. გიორგის მეტოქის არც ერთი შეტევა არ გამოჰპარვია და ბოლოს გაუმართლათ კიდეც - გამარჯვება ბოლო წამზე მოიპოვეს. „ვიბორგის" ახალი მწვრთნელი სორენ ფრედერიკსენი თავიდან ცუდად იყო განწყობილი ფოფხაძის მიმართ და პირველ სამ მატჩში არ დააყენა, მაგრამ როცა ზედიზედ ორი თამაში წააგო, გულშემატკივრები ლამის სახლში მიუცვივდნენ - მათ გიორგი ძალიან უყვართ, კლუბის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს... ჰოდა, დააყენა გიორგი ძირითადში და ორივე მატჩი მშრალად მოიგეს! გიორგის დავემშვიდობე და ვენტოფტეში ბარაბაძის თამაშზე გავიქეცი, რაც დაახლოებით იმხელა მანძილია, ქუთაისში სალორიიდან საფიჩხიაზე რომ აირბინო. უკვე მე-4 წუთზე „ჰიკი" 0:2-ს აგებდა. მე-6 წუთზე ერთი გოლი გაქვითეს, ხოლო თამაში მიშამ შემოატრიალა. ის მე-40 წუთზე გამოიყვანეს და ბურთთან პირველივე შეხება გოლით დააგვირგვინა - ორი მცველი ჩამოიშორა და ცაციათი ოსტატურად შეასრიალა კუთხეში. ასე გათანაბრდა ანგარიში. მეორე ტაიმში კი ნამდვილად აიკლო მეტოქის დაცვა - ჯერ გაფრთხილება მიაღებინა მეურვეს, მერე ტრუსებით იჭერდნენ, ჭიდაობის ილეთებითაც ცდილობდნენ მის შეჩერებას... გამარჯვების გოლიც მიშას პასით გაიტანა ელი პედერსენმა. სამი არასრული მატჩი, სულ 102 წუთი და სამი გოლი - ასეთია ბარაბაძის შედეგი. დღეს „ჰიკის" ვებგვერდზე დაწერეს - „კატეპოტე ბარაბაძე!" (ანუ, კატისთათა, რაც დანიაში კატასავით მოხერხებულს ნიშნავს). სხვათა შორის, კლუბში ფაქსი მოვიდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, ბარაბაძის ამბავი აინტერესებდათ და კარგია, რომ ამ ნიჭიერ ბიჭს რომ არ კარგავენ. ორშაბათს კი დანიელ მეგობრებთან ერთად ვუყურე „ორჰუსისა" და „ოლბორგის" მატჩს. მინდა გითხრათ, რომ ასეთი ამაყი იშვიათად ვყოფილვარ! დევდარიანი ყველას სჯობდა! სხვათა შორის, ძალიან მიკვირს, ყველას როგორ უყვარს დათო - ორჰუსსა და კოპენჰაგენშიც. ეს დაახლოებით ისეთივე მოვლენაა, ქუთაისსა და თბილისში „ტორპედოს" ფეხბურთელი ერთნაირად რომ უყვარდეთ! მთელი 90 წუთი მან მაღალ დონეზე ჩაატარა, ერთხელ ძელსაც გაარტყა ბურთი და 52-ე წუთზე პოულსენს საგოლე პასიც მისცა - მეკარესთან პირისპირ გაიყვანა... თქვენ სამ ქართველზე მკითხეთ და არ შემიძლია, მეოთხე ქართველზეც არ გითხრათ - ვგულისხმობ საქართველოს კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების ცენტრს, 20 წლის ლუკა ნოზაძეს, რომელიც კოპენჰაგენის ერთ-ერთი უბნის გუნდი, „ბკ კიოგეს" საუკეთესო მოთამაშეა და თამაში ისე არ გავა, 25 ქულა არ მოაგროვოს. ლუკამ მთელი სეზონი ათრია გუნდი, ფინალში გაიყვანა და ერთი ნაბიჯი დააკლდა უმაღლესი ლიგის საგზურამდე. სხვათა შორის, ნოზაძე პატარა დანიელ კალათბურთელებსაც ავარჯიშებს... მოკლედ, ქართველები დანიაში თავს არ ვირცხვენთ და იმედია, 26 მაისს, საქართველოს საელჩოს მიერ დაგეგმილ დამოუკიდებლობის დღის აღმნიშვნელ ზეიმს ყველა ერთად და კარგ ხასიათზე შევხვდებით"*, - გვითხრა თედოშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

მწვრთნელი

# არველაძეს აიაქსი ეპატიჟება

**ლუის ვან გაალი**, რომლის ხელმძღვანელობითაც „ალკმაარი" წლეულს ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა, მომავალი სეზონიდან მიუნხენის „ბაიერნში" იმუშავებს. ჩვენთვის ეს ამბავი იმითაცაა საინტერესო, რომ გაჩნდა შანსი, ვან გაალს **შოთა არველაძე** ბავარიულ სუპერკლუბშიც წაეყვანა თავის ასისტენტად - ამ სეზონში ხომ შოთა ლუისის ერთ-ერთი თანაშემწე იყო „ალკმაარში".

წინა კვირას შოთამ „ლელოს" უთხრა, ძალიან ცოტაა იმის შანსი, ვან გაალმა „ბაიერნში" წამიყვანოსო. ჰოლანდიურ პრესაში კი ორი დღის წინაც დაიწერა - შესაძლოა, ვან გაალმა „ბაიერნში" ასისტენტებად არველაძე და **ფრანკ დე ბური** იახლოსო.

ამასობაში კი ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ არველაძით ამსტერდამის „აიაქსი" დაინტერესდა. გუშინ შოთას სწორედ ამასთან დაკავშირებით შევეხმიანეთ ამსტერდამში, რომელმაც ჯერ ის გვითხრა, ვან გაალთან ერთად მიუნხენში ჩემი წასვლა უკვე გამოირიცხაო და როცა ისიც ვკითხეთ, „აიაქსის" ვარიანტი რამდენად რეალურია-თქო, გვიპასუხა - ვადასტურებ, რომ „აიაქსი" ჩემით დაინტერესებულიაო.

„აიაქსი" ახლა მთავარი მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი. **მარკო ვან ბასტენმა** პოსტი რომ დატოვა, დროებით გუნდს **ჯონ ვანტ'სხიპი** თავკაცობს. საინტერესოა, რას სთავაზობს „აიაქსი" არველაძეს - მთავარ მწვრთნელობას თუ ახალი მთავარი მწვრთნელის ასისტენტობას?

შევიტყვეთ, რომ თუ არველაძე „აიაქსის" წინადადებას დათანხმდება, ერთ-ერთი რიგითი მწვრთნელი არ იქნება. სავარაუდოდ, შოთა „აიაქსში" მთავარი მწვრთნელის პირველი თანაშემწე იქნება. არც ის არის გამორიცხული, რომ ჰოლანდიური გრანდი ტანდემმა გაწვრთნას და ერთ-ერთი სწორედ არველაძე იყოს. ერთი სიტყვით, „აიაქსი" მწვრთნელ არველაძეს სერიოზულად უყურებს და შესაბამის თანამდებობაზეც მოიაზრებს.

ფეხბურთელობისას არველაძემ „აიაქსში" ოთხი წელიწადი (1997-2001) გაატარა, ჰოლანდიის ჩემპიონატში 96 მატჩი ჩაატარა და 55 გოლი გაიტანა, გახდა ამ ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი, უეფას თასის ბომბარდირი (1997-98 სეზონში). შოთა „აიაქსში" მიღებული, შინაური კაცია და იქ დაბრუნებასაც ამად სთავაზობენ. ყველაფერი მალე გადაწყდება...

დავით **თავართქილაძე**

ესპანეთის სამეფო თასი. ფინალი

# ბარსას პირველი ტიტული

## კატალონიელი ინდეპენდენტისტების სტვენას ესპანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდიუსერის თანამდებობა გადაჰყვა

**ბილბაო–ბარსელონა 1:4**

ოთხშაბათს „ბარსელონამ" მიმდინარე სეზონის პირველი ტიტული მოიპოვა. კატალონიელები კიდევ ორ ჯილდოს უმიზნებენ. პრიმერა დივიზიონში გამარჯვება **პეპ გვარდიოლასა** და მის ბიჭებს პრაქტიკულად განაღდებული აქვთ. ამიტომ გულშემატკივრებს ახლა მხოლოდ ერთი კითხვა აწუხებთ, შეძლებს თუ არა გუნდი 27 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „ბარსა" „წითელ ეშმაკებთან" დაპირისპირებას საუკეთესო განწყობით შეხვდეს. ამ კონტექსტში ესპანეთის სამეფო თასის მოპოვებას ორმაგად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

წინასამატჩო მიმოხილვაშიც მოგახსენეთ, რომ „ბილბაოსა" და „ბარსელონის" დაპირისპირებას ბასკეთში გაცილებით უფრო დიდი აჟიოტაჟი უძღოდა. ბუნებრივია, ამის მიზეზებზეც გავამახვილეთ ყურადღება და მოგახსენეთ, რომ ესპანეთის სამეფო თასი „ბილბაოსთვის" ტიტულის მოპოვების ერთადერთი შანსი გახლდათ. კატალონიელები კი ამ ტურნირისადმი შედარებით ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ. მიუხედავად ამისა, ფინალში გამარჯვებამ ინჩასებში უდიდესი ბედნიერება გამოიწვია. თავად განსაჯეთ, ბარსელონის ქუჩებში თასის მოპოვებიდან საკმაოდ მცირე დროში ნახევარ მილიონ ადამიანზე მეტი გავიდა. ესპანელი მიმომხილველები სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ თასის მოპოვებას კატალონიის დედაქალაქში ასეთი აღფრთოვანება დიდი ხანია, არ გამოუწვევია. უშუალოდ მესტალიაზე კი ბასკური ინჩადა გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი. როგორც მოგახსენეთ, ისინი გამარჯვებას ელოდნენ.

სხვათა შორის, „ბილბაოსთვის" შეხვედრა ძალიან კარგად დაიწყო. მე-9 წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს **ტოკერომ პინტოს** კარში მიუჩინა ადგილი. ვინ მოთვლის, ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა, როდესაც „ბარსელონას" სტანდარტული მდგომარეობის გათამაშების შემდეგ გაუტანეს. აშკარაა, რომ პეპ გვარდიოლამ ეს ხარვეზი მთელი სეზონის განმავლობაში ვერ აღმოფხვრა. სამაგიეროდ, „ბარსელონას" გენიალური ნახევარდაცვა და თავდასხმა ჰყავს. ობიექტური მიზეზების გამო, მთავარმა მწვრთნელმა შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები განახორციელა. **რაფა მარკესმა, ანდრეს ინიესტამ** და **ტიერი ანრიმ** ტრავმის გამო ვერ ითამაშეს. ანდრესის ნაცვლად **სეიდუ კეიტამ** ისასპარეზა. ანრის პოზიცია კი ახალგაზრდა **ბოიან კრკიჩს** ჩააბარეს. „ბარსა" „ბილბაოს" სწრაფ გოლს არ ელოდა. ამიტომ კატალონელებს გონს მოსასვლელად დრო დასჭირდათ. გვარდიოლას ბიჭები ნელნელა გამოფხიზლდნენ და მოწინააღმდეგის მიწასთან გასწორება დაიწყეს. ამ საქმეს **იაია ტურემ** ჩაუყარა საფუძველი. აფრიკელმა ნახევარმცველმა ფანტასტიკური დრიბლინგი შეასრულა და **ირაისოს** შორეულ კუთხეში გაუტანა. მეორე ტაიმში ბილბაოს ძალა აღარ ეყო. მატჩის წინ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ხოაკინ კაპაროსი** აცხადებდა, საკუთარ თავს უნდა გადავახტეთ და შეუძლებელი შევძლოთო. გამოცდილი სპეციალისტი დარწმუნებული იყო, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში „ბილბაო" „ბარსას" ვერ მოერეოდა.

შესაძლოა, ფინალის მსვლელობისას გამოვლენილი ერთი თვალხილული გარემოება სწორედ ამით გახლდათ განპირობებული. საქმე ის არის, რომ ბასკებმა შეხვედრა ძალიან ენერგიულად დაიწყეს. სადებიუტო წუთებში მათ გაუჩერებლად ირბინეს და მეტოქეს საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სეზონის ამ ეტაპზე კაპაროსის ბიჭები 90 წუთის მაღალ ტემპში ჩასატარებლად მზად არ იყვნენ. ერთი სიტყვით, მეორე ტაიმში კატალონიურმა გრანდმა უდიდესი უპირატესობა მოიპოვა და ესპანეთის სამეფო თასი დამაჯერებელი გამარჯვებით გაინაღდა. „ბარსა" **ლეო მესიმ** დააწინაურა. არგენტინელმა ფორვარდმა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ბურთი ორ მცველს შორის გააძვრინა. ზუსტად ორ წუთში მოვლენათა ეპიცენტრში ბოიან კრკიჩი მოექცა. ახალგაზრდა ფორვარდმა საჯარიმო მოედნის მარცხენა კუთხიდან არაჩვეულებრივად მოჭრა და ირაისოსს მესამე გოლი გაუტანა.

ამის შემდეგ არცთუ დიდი დრო იყო გასული, როცა „ბილბაოს" საჯარიმო მოედნის სიახლოვეს ჯარიმა დაინიშნა. მეკარემ ცოცხალი კედელი დიდი მონდომებით დააყენა, მაგრამ **ჩავიმ** ულამაზესი დარტყმით მას მეოთხე ბურთიც შეუგდო. ამის შემდეგ „ბილბაოს" გადარჩენის ყველაზე ოპტიმისტ გულშემატკივარსაც აღარ სჯეროდა. „ბარსას" კიდევ 3 გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ **სამუელ ეტოო** დამაგვირგვინებელ ფაზაში უჩვეულოდ ხშირად სცოდავდა. საფინალო სასტვენს „ბარსას" ვარსკვლავების ყიჟინა და ფიესტა მოყვა. დღესასწაული „მესტალიას" ტრიბუნებზევე დაიწყო. ემოციებმა პიკს მაშინ მიაღწია, როცა ესპანეთის მეფემ ხუან კარლოს II **კარლეს პუიოლს** თასი გადასცა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე პირველად ხოაკინ კაპაროსი წარდგა. დამარცხებული გუნდის მთავარი მწვრთნელი ძალიან ცუდ ხასიათზე იყო, თუმცა საზოგადოება დაარწმუნა, რომ მისი ფეხბურთელებით ამაყობდა:

*„ჩემი მოლოდინი გამართლდა. „ბარსელონამ" არაჩვეულებრივად ითამაშა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თასი მოეპოვებინა. მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დღეს მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან დავმარცხდით. ყოველთვის ვამბობდი, რომ „ბარსელონა" ფავორიტი იყო და მის დასამარცხებლად სასწაულის მოხდენა იყო საჭირო. იმედი მქონდა, რომ სენსაცია დაფიქსირდებოდა. უბრალოდ, ფინალში მართლა ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ „ბარსა" იმდენად ძლიერი კლუბია, მის წინააღმდეგ აბსოლუტურად ვერაფერი გავაწყეთ. ისღა დაგვრჩენია, მწარე რეალობას შევეგუოთ და მომდევნო დაპირისპირებებისთვის მოვემზადოთ. „ბარსას" გამარჯვებას ვულოცავ. დარწმუნებული ვარ, ეს გუნდი კიდევ უფრო დიდ შედეგებს მიაღწევს. რა თქმა უნდა, პრიმერა დივიზიონს არ ვგულისხმობ. კატალონიელებს ეს ტიტული ფაქტობრივად განაღდებული აქვთ. მე ჩემპიონთა ლიგაში მათ გამარჯვებას ველი. ჩემი ბიჭების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ვამაყობ, რომ მათი მწვრთნელი ვარ. გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი. დღეს ჩვენ ერთად ვიბრძოლეთ, მაგრამ სასწაული ვერ მოვახდინეთ".*

პეპ გვარდიოლა კოლეგისგან განსხვავებით, რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი გახლდათ:

*„დღეს ხანგრძლივი შრომისა და წვალების პირველი ნაყოფი მივიღეთ. ჩემმა ბიჭებმა ესპანეთის სამეფო თასი მოიპოვეს. ამით უაღრესად ბედნიერი ვარ. საკადრო პრობლემების მიუხედავად, „ბარსამ" საუკეთესო ფეხბურთი აჩვენა. ბასკების მიერ ანგარიშის გახსნამ ვერ გაგვტეხა. პირიქით, უფრო მობილიზებულად ვითამაშეთ და დიდი ანგარიშით მოვიგეთ. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ როტაციების შემდეგ გუნდმა საკუთარი სახე არ დაკარგა. ესპანეთი სამეფო თასი უაღრესად პრესტიჟული ტიტულია. დარწმუნებული ვარ, ბარსელონაში ჩასვლის შემდეგ სახლში არავინ გაგვიშვებს. ჩვენ ქალაქში ტრადიციული ფიესტა მოეწყობა. პლასა კანალეტასზე გავალთ და ინჩასებთან ერთად ვიზეიმებთ. ამ წარმატებას თითოეულ მათგანს ვუძღვნი. გულშემატკივრები ყოველ შეხვედრაში გვეხმარებოდნენ. ისინი ჩვენს მხარდამხარ იბრძოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ეგრეთ წოდებული მე-12 მოთამაშის ფუნქცია შეესრულებინათ. ამ ხალხის წინაშე ქედს ვიხრი. ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ინჩადა გვყავს".*



წესით, ესპანეთის სამეფო თასის მიმოხილვა ამით უნდა დაგვესრულებინა, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ შეხვედრას დიდი სკანდალი მოჰყვა. თამაშის დაწყების წინ ორგანიზატორებმა ესპანეთის სახელმწიფო ჰიმნი დაუკრეს. მოგეხსენებათ, ბასკეთსა და კატალონიაში სეპარატისტულად განწყობილი ადამიანების საკმაოდ დიდი ჯგუფები არსებობენ. ვერ ვიტყვით, რომ ამ ავტონომიების მოსახლეობის უმრავლესობა ესპანეთიდან გამოყოფას ითხოვს, თუმცა ის კი ნამდვილად ფაქტია, რომ „მესტალიის" კატალონიურ ტრიბუნაზე სწორედ ინდეპენდენტისტებმა მოიყარეს თავი. მოკლედ, „ბარსას" ინჩადა ესპანეთის ჰიმნს გამაყრუებელი სტვენით შეხვდა, მაგრამ ეს ფაქტი ესპანეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის არც ერთ ვიდეოკამერას არ დაუფიქსირებია. ყოველ შემთხვევაში, რეპორტაჟის რეჟისორმა ფართო საზოგადოებისთვის მათი ჩვენება არ ისურვა. ამ ფაქტს არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტი მოჰყვა. საზოგადოებრივ მაუწყებელს თვითცენზურაში დასდეს ბრალი და განაცხადეს, პოლიტკორექტული მოსაზრებების გამო ტრანსლაციის პროდიუსერმა და რეჟისორებმა გამოხატვის თავისუფლება საკუთარი ნებით შეიზღუდესო. სხვათა შორის, ისეთი ორგანიზაციებიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც მომხდარი ფაქტი პოლიტიკოსებს დააბრალეს.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ოპოზიციური პარტიის, პარტიდო პოპულარის გავლენაზე საუბრობს. თითქოს, აღნიშნული პარტიის ნაციონალისტურად განწყობილმა რამდენიმე ლიდერმა მომხდარი ფაქტი წინასწარ განჭვრიტა და ტრანსლაციის ორგანიზატორებს კატეგორიულად მოთხოვა, ჰიმნის დროს პროტესტანტი კატალონიელები კადრში არ მოეხვედრებინათ. აქვე მოგახსენებთ, რომ სკანდალურ შემთხვევას მმართველი სოციალისტური პარტიაც გამოეხმაურა. „პესოეს"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, **ხოსე ანტონიო ალონსომ** აღნიშნა, რომ ტრანსლიაციის ყველა დეტალი მხოლოდ და მხოლოდ ტელევიზიის საქმეა და პოლიტიკოსებს მათთან შეხება არ აქვთ. მან ისიც ითხოვა, ამ შემთხვევას სპეკულაციისთვის ნუ გამოვიყენებთო. ესპანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობამ ამ შემთხვევის გამო საგანგებო კრება დანიშნა და უმკაცრესი ვერდიქტიც გამოიტანა. ტელევიზიის შეფებმა სპორტული რედაქციის გენერალური პროდიუსერი ცენზურის გამო დასაჯა და თანამდებობიდან გაათავისუფლა.

რეალი

# პერესი ოფიციალური კანდიდატია!

## ფლორენტინოს გამარჯვების შემთხვევაში ბერნაბეუს უამრავი ფეხბურთელი დატოვებს




გუშინ **ფლორენტინო პერესმა** მადრიდის „რეალის" პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა ოფიციალურად წამოაყენა. საზოგადოება ამ დღეს დიდი ხანი ელოდა. პრეზენტაცია მადრიდის ცენტრში, ფეშენებელურ და მდიდრულ „ოტელ რიცში" შედგა. სენიორ პერესი უპირველეს ფავორიტად მიიჩნევა და მის პრეზენტაციას დიდი ინტერესი ახლდა. სასტუმროში მისული ჟურნალისტები იმედოვნებდნენ, რომ პრეზიდენტობის მაძიებელი გულშემატკივრებს მის მიერ ჩამოყალიბებულ პროექტს გააცნობდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ფლორენტინომ პროექტის დეტალებზე საუბარი არ ისურვა. ის ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლა და ინჩასებს პირობა მისცა, რომ გამარჯვების შემთხვევაში სამეფო კლუბს ძველ დიდებას უმცირეს დროში დაუბრუნებს:

*„მოგესალმებით. ბედნიერი ვარ, რომ ახლა თქვენ წინაშე ვდგავარ და გულწრფელად გესაუბრებით. გასული თვეების განმავლობაში პრესაში ჩემ შესახებ უამრავი რამ იწერებოდა. ტელევიზიაში ათასი სიუჟეტი გადიოდა, თუმცა მე ჩუმად ვიყავი და არაფერს ვამბობდი. დღეიდან საარჩევნო კამპანიაში ოფიციალურად ვერთვები და დაუფარავად ვამბობ, რომ პრეზიდენტის თანამდებობაზე დასაბრუნებლად ყველაფერს გავაკეთებ. ობიექტური მიზეზების გამო, დღეს ჩემი გუნდის პროექტს არ წარმოგიდგენთ, თუმცა უახლოეს დღეებში საგანგებო პრესკონფერენციას გავმართავ და ყველაფერზე ამომწურავად ვილაპარაკებ. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას. ჩემი გამარჯვების შემთხვევაში ხორხე ვალდანო და ზინედინ ზიდანი „რეალის" დირექტორატში იმუშავებენ. მე მათი დიდი იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, ამ ორი ადამიანის სახით ჩვენს გუნდს არაჩვეულებრივი თანამშრომლები ეყოლება. ხორხე და ზინედინი „რეალისთვის" სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტრანსფერების გაჩარხვაში დაგვეხმარებიან. გულწრფელად გეტყვით, რომ შემადგენლობის გადახალისება ჩვენი უმთავრესი ამოცანა იქნება. მე და ჩემი მეგობრები კრისტიანო რონალდოს შეძენას შევეცდებით. პორტუგალიელი ვარსკვლავისთვის გადამწყვეტ ბრძოლად არჩევნებში გამარჯვებიდან მეორე დღესვე დავიწყებ. მთავარია, ნდობის მანდატი მომანიჭონ. თუ სოსიოები მხარს დამიჭერენ, გარწმუნებთ, რონალდო „სანტიაგო ბერნაბეუზე" ითამაშებს".*

როცა ფლორენტინომ შემადგენლობის გადახალისებაზე ჩამოაგდო სიტყვა, ჟურნალისტებმა მას ჰკითხეს, ეგრეთ წოდებული შავი სია ხომ არ გაგიკეთებიათო. „რეალის" ყოფილმა პრეზიდენტმა ამ კითხვას ასე უპასუხა:

*„არანაირი შავი სია არ არსებობს, თუმცა არ დავმალავ, რომ ჩემი გამარჯვების შემთხვევაში გუნდს არაერთი ფეხბურთელი დატოვებს. მათ გვარებს, რა თქმა უნდა, ახლა არ დავაკონკრეტებ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ რაულ გონსალესს არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ის შესანიშნავ ფორმაშია, თანაც ჩვენი კაპიტანი „რეალის" ცოცხალი ლეგენდა და სიმბოლოა. ასეთ ხალხს პატივი უნდა ვცეთ, დავაფასოთ და გულში ჩავიხუტოთ".*

**გვერდი მოამზადა**
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ინგლისი. პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი

# ნაბიჯი ტრიუმფამდე

პრემიერლიგის 33-ე ტურის გადატანილი შეხვედრა „უიგანსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის 13 მაისს, უიგანში შედგა. „ეშმაკებმა“ შესანიშნავად ითამაშეს, „ლივერპულს“ 6 ქულით გაუსწრეს და ახლა მე-18 საჩემპიონო ტიტულამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩათ. „იუნაიტედს“ აღნიშნულის გაკეთება ორიოდე დღეში, „არსენალთან“ საშინაო შეხვედრაში შეუძლია.

მასპინძელ ფეხბურთელებს არავითარი სატურნირო ამბიცია არ ამოძრავებდათ, მაგრამ ჩემპიონების წინააღმდეგ გუნდებს საბრძოლო განწყობილებისთვის დამატებითი მოტივაცია არც სჭირდებათ. „უიგანიც“ ადგა და პირველ ტაიმში მეტოქეს თანაბარი ბრძოლა გაუმართა. ხანდახან კი ისეთ დანოლას ახორციელებდა, თქვენი მოწონებული. პირველი გოლის გატანა მათ უკვე მე-2 წუთზე შეეძლოთ, როცა **ვალენსია** მეკარესთან ერთი-ერთზე გავიდა, მაგრამ ბოლო მომენტში ბურთი ფეხებში აებლანდა. თავის გამოჩენა შეეძლოთ სტუმრებსაც, **ბერბატოვის** პასით გატანა მართებდა **რუნის**, მაგრამ 7-8 მეტრიდან ბურთი თითქმის დაუცველ კარს ააცილა. ერთ წუთში **ქერიკს** მიეცა კარგი შანსი, მაგრამ მრავალსვლიანი კომბინაცია ლოგიკურ დასასრულამდე ვერ მიიყვანა. ყველაფრის გათვალისწინებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ანგარიში 28-ე წუთზე სრულიად ლოგიკურად გაიხსნა. მოედნის სიღრმიდან „მანიუს“ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთისთვის **ნემანია ვიდიჩი** და **უგო როდალიეგა** ახტნენ. სერბმა ცენტრალურმა მცველმა ჯერ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და ბურთი მეტოქეს მოაგებინა, შემდეგ ფეხი დაუცურდა, რითაც კოლუმბიელმა ისარგებლა და ხუთიოდე მეტრიდან **ვან დერ სარს** ახლო კუთხეში დაურტყა. თითქოს ჰაერში სენსაციის სუნი დატრიალდა... მეორე ტაიმში სერ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებმა თამაში ოდნავ გამოასწორეს. 58-ე წუთზე კი მოხდა ის, რამაც შეხვედრის ბედი პრაქტიკულად გადაწყვიტა კიდეც. **ანდერსონის** მაგივრად **კარლოს ტევესი** გამოვიდა. მართალია, სტუმრებს ტერიტორიული უპირატესობა უკვე მოპოვებული ჰქონდათ, მაგრამ გადამწყვეტი ჩხვლეტისთვის სიზუსტე არ ჰყოფნიდათ. არგენტინელმა ანგარიში სულ რაღაც 3 წუთში გაათანაბრა. საქმე ის არის, რომ როგორც წესი, ასეთ „პიყონურ“ დარტყმებს კარგი არაფერი მოსდევს ხოლმე - არგენტინელს კი ყველაფერი იდეალურად გამოუვიდა. კარისკენ ზურგით მდგარმა თავდამსხმელმა ბურთს საყრდენი ფეხი შეუშვირა და იშვიათი სილამაზის, გოლი შეაგდო. აქედან მოყოლებული მინდორზე ერთადერთი გუნდი დარჩა...

„ლივერპულის“ იმედები ქერიკმა შეხვედრის დასრულებამდე ხუთიოდე წუთით ადრე დაასამარა. **ჯონ ოში** საჯარიმოში შეიჭრა და თანაგუნდელს ბურთი უკან დაუბრუნა. მაიკლმა 20 მეტრიდან **რიჩარდ კინგსონს** აულებელი დაურტყა.

თამაშის დასრულებიდან ცოტა ხანი იყო გასული, როცა პრესამ ფერგის კომენტარი გაავრცელა, „იუნაიტედი“ მზადაა, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ტევესი შეინარჩუნოსო. მას ახალ, თანაც გაუმჯობესებულ კონტრაქტს შესთავაზებენ. „ტევესი ფანტასტიკური ფეხბურთელია. მან იცის ჩემი სურვილის შესახებ, რომ მისი გუნდში დარჩენა მინდა. ჩვენ უკვე გვქონდა ამ თემაზე საუბარი. ვიცი ისიც, რომ კარლოსის წარმომადგენელს „იუნაიტედის“ აღმასრულებელი დირექტორი დევიდ გილიც შეხვდა და წინასწარი მოლაპარაკება გამართა. დიდი იმედი გვაქვს, რომ ის დათანხმდება კონტრაქტზე ხელის მოწერას. ვფიქრობ, მას მოეწონება ის პირობები, რასაც შევთავაზებთ“, - განაცხადა შოტლანდიელმა.

შეგახსენებთ, რომ წინა კვირას ფეხბურთელმა უკვე მოასწრო, განეცხადებინა, რომ „ოლდ ტრეფორდის“ დატოვება უკვე გადაწყვეტილი აქვს, რადგან გუნდი მის დასატოვებლად არაფერს აკეთებს. გუშინვე, ვებგვერდ სოკერნეტზე გაჩნდა არგენტინელი ვარსკვლავის ოფიციალური წარმომადგენლის კომენტარი, ტევესისთვის ოფიციალურად არავის არაფერი შეუთავაზებიაო. აი, რა წერია ამ განცხადებაში:„მართალია, ბატონები გილი და ჯურაბჩიანი ერთმანეთს შეხვდნენ. საუბარი ძალზე თბილ ატმოსფეროში წარიმართა, მაგრამ აქვე შეგვიძლია დაგარწმუნოთ, რომ „იუნაიტედის“ აღმასრულებელ მდივანს არანაირი კონკრეტული წინადადება კარლოს ტევესის მომავალთან დაკავშირებით არ შეუთავაზებია. თუმცა მათ ჩვენი წინადადება დიდი ხანია იციან. 2007 წელს მათთან გაფორმებულ საიჯარო კონტრაქტში ყველაფერი დაწვრილებით არის აღწერილი. მათ ჩვენთვის ალტერნატიული წინადადებაც კი არ შემოუთავაზებიათ“.

ანალოგიურ განცხადებას აკეთებს ტევესის აგენტი **ადრიან როკო**. ის გაოცებას ვერ მალავს, რომ ინგლისელები ასე პასიურობენ. „კონკრეტული მომენტისთვის ძალზე საეჭვოა, რომ ჩემი კლიენტი „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩეს. გარწმუნებთ, ასეთი შანსი ლამის ყოველდღიურად მცირდება. ჩვენ გვაქვს სხვა წინადადებები ინგლისიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან. როცა არსებობს ალტერნატივა, ეს უკვე შესანიშნავია. ამის შესახებ კარგად უწყიან „იუნაიტედის“ ბოსებმაც და სწორედ ამიტომ მრჩება შთაბეჭდილება, რომ მათ ტევესი არ სჭირდებათ. არც იმას დავმალავ, რომ კარლოსს ძალზე უჭირს იმ ფიქრთან შეგუება, რომ ახლო მეგობრებთან დაშორება მოუწევს. მე მესმის მისი. „მანიუს“ თავდამსხმელებს შორის წელს ის ყველაზე ცოტას თამაშობს, მაგრამ 15 გოლის გატანა მაინც მოახერხა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლოს ტევესმა უიგანთან შეხვედრის ბედი გადაწყვიტა

გულშემატკივრები ხედავენ, რომ კარლოსი ყველაფერს აკეთებს გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე. ისინი ამას, მგონი, ყველაზე მეტად აფასებენ. ყველაზე გულსატკენი „იუნაიტედის“ ხელმძღვანელობის უმოქმედობა სწორედ ამიტომ არის“.

დაახლოებით თვე-ნახევრის წინ ვწერდით, „მანჩესტერმა“ ბრაზილიური „კორინთიანსიდან“ 17 წლის ცენტრალური მცველის, **დოდოს** გადაბირება განიზრახაო. როგორც ბრიტანული პრესა წერს, ამ დღეებში ყველაფერს წერტილი დაესვა. „ეშმაკები“ ფეხბურთელში 6 მილიონ ევროს გადაიხდიან. დოდო „ოლდ ტრეფორდზე“ 2010 წლის თებერვალში გამოჩნდება. მანამდე ის იჯარით ისევ „კორინთიანსში“ დარჩება. „ინგლისში ბრაზილიელები ბევრნი თამაშობენ. ვფიქრობ, ამან ჩემი ადაპტაცია უნდა გააადვილოს. არასოდეს მითამაშია ფაბიო და რაფაელ და სილვების, ასევე ანდერსონის გვერდით. მალე ამ გამოცდილებასაც მივიღებ. პორტუგალიურ ენაზე კრისტიანო რონალდოსთანაც შემეძლება ურთიერთობა.

ყოველი ბრაზილიელი ფეხბურთელი ოცნებობს ნაკრებში მოხვედრასა და სათამაშოდ ევროპაში გადაბარგებაზე. იმედია, მეორე სურვილიც ამიხდება. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ“, - განაცხადა თინეიჯერმა ბრაზილიელმა.



ნიკოლა კალინიჩის შეძენა პალერმოს სწადია

სატრანსფერო ბაზარი

# პანდევი ოლიჩის ნაცვლად?

**უეფას თასის ნახევარფინალისტმა „ჰამბურგმა“ ივიცა ოლიჩი „ბაიერნს“ გადაულოცა და ახლა მის ღირსეულ მემკვიდრეს ეძებს. იტალიური პრესის მტკიცებით, ჩრდილოგერმანელები „ლაციოდან“ მაკედონიელი გორან პანდევის გადაბირებას შეეცდებიან.**

ინგლისური ტრანსფერები: „ლივერპულს“ 28 წლის მარცხენა მცველის **სილვენ არმანის** ყიდვა უნდა. სილვენს მოქმედი კონტრაქტი „პარი სენ ჟერმენთან“ აკავშირებს, რასაც ვადა 2011 წლის ივნისის ბოლოს გასდის. საქმე ის არის, რომ დიდი ალბათობაა, რომ „ენფილდი“ იტალიელმა **ანდრეა დოსენამ** დატოვოს. მას “სკუადრა აძურაში” თამაშის პრეტენზია აქვს და სურს, კარიერა იტალიშივე განაგრძოს. მისით „იუვენტუსია“ დაინტერესებული.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ „უიგანიდან“ **ლუის ანტონიო ვალენსიას** შეიძენს. „ალისფერ ეშმაკებს“ ამ ბრძოლაში დიდი კონკურენციის დაძლევა მოუწევთ, რადგან მისით დაინტერესებას იტალიური და ესპანური კლუბები ადასტურებენ. 23 წლის ეკვადორელი გარემარბი 9 მილიონ გირვანქამდე ღირს. „იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა ფულის გარდა „უიგანისთვის“ **ფრეიზერ კემპბელის** შეთავაზებას აპირებს, ვინც ამჟამად იჯარით „ტოტენჰემში“ თამაშობს.

„პორტსმუთისა“ და „ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელები „არსენალის“ მექსიკელი თავდამსხმელის **კარლოს ველას** შეძენას შეეცდებიან. კარლოსის კონტრაქტს ვადა 2011 წელს გასდის. „მეთოფეები“ მას 6 მილიონ გირვანქად აფასებენ.

სწორედ ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა მზადაა, **ბოიან კრკიჩი** ერთწლიანი არენდით რომელიმე გუნდში (არა პრიმერა დივიზიონში) გაანათხოვროს. პირველი კლუბი, რომელმაც ბოიანისთვის თავშესაფრის მიცემის სურვილი გამოთქვა, **სემ ელერდაისის** „ბლექბერნი“ აღმოჩნდა.

ჩემპიონშიფის მონაწილე „კარდიფ სიტიმ“, რომელიც მთელი წელი იბრძოდა პრემიერლიგაში აღზევებისთვის და პოზიციები სეზონის მიწურულსღა დათმო, მზადყოფნა გამოთქვა, 22 წლის უელსელი მარცხენა გარემარბი **ჯო ლედლი** 2,5-3 მილიონ გირვანქად დათმოს. მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, „ევერტონი“ მზადაა, აღნიშნული თანხა გამოძებნოს და ფეხბურთელი შეიძინოს. **დევიდ მოიესს** გარემარბი დიდი ხანია, მიზანში ჰყავს ამოღებული.

 იტალიური ტრანსფერები: „პალერმოს“ ხორვატიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელის, 21 წლის **ნიკოლა კალინიჩის** შეძენა უნდა. **მაურიციო ძამპარინი** მზადაა, ფეხბურთელში 8 მილიონი ევრო გადაიხადოს. ნიკოლა წელს გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. მის ანგარიშზე ჩემპიონატში გატანილი 14 გოლია. ამის მიუხედავად, სპლიტელები ტრანსფერის წინააღმდეგნი არ არიან, რადგან ფეხბურთელთან დადებული კონტრაქტი მომავალი სეზონის დასრულებისთანავე იწურება, რის შემდეგაც მას უფასოდ წასვლა შეეძლება.

თავის მხრივ სიცილიელები შეიძლება 28 წლის საყრდენ ნახევარმცველ **რობერტო გუანას** გამოემშვიდობონ. მისით „ბოლონია“, „რეჯინა“ და „სიენა“ არიან მოხიბლულნი.

შესავალშივე მოგახსენეთ, რომ **გორან პანდევის** ყიდვა „ჰამბურგს“ უნდა. მაკედონიელის სამსახურით დაინტერესებულია ასევე „ფიორენტინაც“. „ვიოლას“ მწვრთნელი **ჩეზარე პრანდელის** 25 წლის ფეხბურთელის ფასი ნამეტანი ეძვირება. ის 18 მილიონი ევრო ღირს. შესაბამისად, ფლორენციელები კალიარელი **ალესანდრო მატრითაც** დაინტერესდნენ. ის შეუდარებლად ცოტა, 4 მილიონი ღირს.

იმ შემთხვევაში, თუკი **კარლოს ტევესმა** “მანჩესტერ იუნაიტედში” დარჩენა იუარა, მისი აგენტი **ადრიან როკო** მოლაპარაკებას „მილანთან“ გამართავს. იტალიური გაზეთების ცნობით, როკო „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** უკვე შეხვდა.

სამაგიეროდ, „მილანი“ შეიძლება **რონალდინიოს** გამოეთხოვოს და ფეხბურთელი „სან პაულუში“ გაუშვას. ოდესღაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი თანდათან უმოტივაციო სპორტსმენს ემსგავსება. ის კარგა ხანია, ძირითადში ველარ ხვდება. გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ „როსონერიმ“ „ბაიერნს“ ბრაზილიელის **ლუკა ტონიში** გაცვლა შესთავაზა, თუმცა ეჭვი გვაქვს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფია. „სან პაულუ“ „მილანს“ ფულსა და ცენტრალურ მცველ **ჟოაო მირანდას** სთავაზობს. ბრაზილიური პრესის ცნობით, რონალდინიოს შეძენა „ფლამენგოსაც“ სურს.

„ინტერი“ მზადაა, „ტოტენჰემს“ **ლუკა მოდრიჩის** სანაცვლოდ სოლიდური კომპენსაცია გადაუხადოს. 23 წლის გამთამაშებელი 20 მილიონი ევრო ღირს. მილანელებს ფასი ხელს არ აძლევს, შესაბამისად, ფულის დაზოგვის მიზნით ისინი ლონდონელებს **ნიკოლა ბურდისოს** შესთავაზებენ.

შუახაზის გასაძლიერებლად „ნერაძურის“ სხვა ვარიანტებიც აქვს. კერძოდ, „ბარსელონადან“ **ალექსანდრ გლების** შეძენა.

უკვე გაცნობეთ, რომ შესაძლოა, ანდრეა დოსენა „იუვენტუსში“ აღმოჩნდეს. იტალიელის გარდა, „ვეკია სინიორას“ ხელმძღვანელები ლიონელი **ფაბიო გროსოსა** და ბარსელონელი **ერიკ აბიდალის** კანდიდატურებსაც განიხილავენ.

„ქალბატონის“ ხელმძღვანელები „კორინთიანსთან“ მოლაპარაკების დაწყებას გეგმავენ. მათ 20 წლის თავდამსხმელის **დენტინიოს** ხელში ჩაგდება სურთ. ფეხბურთელი 5 მილიონი ევრო ღირს.

ტურინელებს ბრიუსელის „ანდერლეხტის“ უნგრელი მცველის, 25 წლის **როლანდ იუჰაშის** შეძენაც უნდათ. ფეხბურთელი 4,5 მილიონი ევრო ღირს.

„ლაციომ“ ყურადღება მიაპყრო იმედის მომცემ ბოლივიელ თავდამსხმელს, 17 წლის **გილბერტ ალვარესს**. „კალიესას“ ფეხბურთელმა ტალანტებზე მონადირე სკაუტებს სამხრეთ ამერიკის ბოლო ჩემპიონატზე დააკარგვინა მოსვენება.

სხვადასხვა ტრანსფერი: „მარსელის“ განაპირა მცველი **რენატო ჩიველი** მომავალი სეზონიდან პრემიერლიგის „სტოკ სიტიში“ იასპარეზებს. ფეხბურთელის შეძენა „ლაციოსა“ და „პალერმოსაც“ სურდათ.

„ბენფიკას“ ცენტრალური მცველი, 28 წლის **ლუიზაო** „მანჩესტერ სიტის“, „მარსელისა“ და „პალერმოს“ ინტერესების სფეროში მოხვდა. ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი 11 მილიონ ევრომდე ღირს. მის კონტრაქტს ვადა 2011 წელს გასდის.

ცოტა ხნის წინ უკრაინულ პრესაში აქტიურად განიხილებოდა ფიორენტინელი **ადრიან მუტუს** დონეცკის „შახტარში“ შესაძლო ტრანსფერი. მალაროელთა თავკაცმა, რუმინელმა **მირჩა ლუჩესკუმ** აღნიშნული ხმები კატეგორიულად უარყო. მისი თქმით, მომავალი წლიდან უკრაინაში მხოლოდ ხუთი ლეგიონერის გამოყენება იქნება შესაძლებელი და შესაბამისად, მისი თანამემამულისთვის ძირითადში ადგილის გამოძებნა გაუჭირდება.

ფინანსურმა პრობლემებმა „ვალენსია“ აიძულა, „ზედმეტი“ ფეხბურთელების გაყიდვაზე ზრუნვა დაეწყო. „ღამურებმა“ „ატლეტიკოდან“ იჯარით გაშვებული **ენვერ ბანეგას** დაბრუნება და მისი გაყიდვა გადაწყვიტეს. ნახევარმცველი 10 მილიონ ევროდაა შეფასებული. თუმცა საფეხბურთოო ექსპერტების განცხადებით, 20 წლის არგენტინელი ამ ფასად არ გაიყიდება.

„ტვენტეს“ 19 წლის შვეიცარიელის **დანიელ უნალის** გადაბირება სურს. 19 წლის ფეხბურთელის აგენტის **მარკო ბალმელის** თქმით, სოლიდური კომპენსაციის გაღების შემთხვევაში „ბაზელი“ ჰოლანდიელთა წინადადებას დიდი ჭოჭმანის გარეშე დათანხმდება.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ბაიერნი



ლუკას პოდოლსკი იუპ ჰაინკესის ხელში ათამაშდა, მაგრამ უკვე გვიანია

# პოდოლსკიმ დააგვიანა!

## ჰაინკესი: მე პოლდის კიოლნში არ გავუშვებდი

როგორც ჩანს, სანამ „კიოლნისკენ" აიღებს გეზს, **ლუკას პოდოლსკის** უნდა, ყველას დაუმტკიცოს, რომ მაგარი ფეხბურთელია და რომ მიუნხენურ კლუბში ის ტყუილად ჩამონერეს. ექსპერტებმა მისი „ბაიერნში" გადასვლა დიდ შეცდომად მონათლეს და პრინციპში, არც გაემტყუნებათ, რადგან რეკორდმაისტერში გატარებული სამი სეზონის განმავლობაში ლუკასმა ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსია. პოდოლსკის უნდა, რომ მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელებსაც დაუმტკიცოს თავისი სიძლიერე - **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** და **ული ჰიონესს**, რომლებიც მას ისევ „კიოლნში", ანუ, წარსულში აბრუნებენ.

სამშაბათს, „ლევერკუზენთან" შეხვედრაში, რომელიც ბავარიულმა გრანდმა 3:0 მოიგო, პოდოლსკიმ გენიალურად ითამაშა. მატჩის მეორე ნახევარში მან ფაქტობრივად გალაკონცერტი მოიწყო და ჩვენი გერმანელი კოლეგებისგანაც საუკეთესო შეფასება დაიმსახურა. „პოდოლსკიმ შესანიშნავად ითამაშა, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო თამაში მის კარიერაში," - განაცხადა მატჩის შემდეგ ბავარიელთა დროებითმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** 23 წლის თავდამსხმელზე, რომელმაც ერთი გოლი თვითონ გაიტანა, ორი კი თანაგუნდელებს გაატანინა. ეს ფოტოც, რომელიც იმ დროს არის გადაღებული, როცა პოდოლსკიმ „ლევერკუზენის" მეკარე **რენე ადლერი** დაამწუხრა, იდეალურად წარმოგვიდგენს ლუკასის განწყობას.

მიმომხილველები ნელ-ნელა რწმუნდებიან იმაში, რომ პოდოლსკი ნამდვილად არ არის ცუდი ფეხბურთელი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში ახერხებს საუკეთესო თამაშების ჩატარებას და შესაძლებლობების გამოვლენას, როცა ჰყავს მწვრთნელი, რომელიც მას სრულ ნდობას უცხადებს. ზოგადად პოდოლსკი ახირებული ბიჭია და ხშირად წონასწორობას კარგავს, მაგრამ როცა მწვრთნელისგან სრულ მხარდაჭერას გრძნობს, მოედანზე ფასდაუდებელი სამუშაოს შესრულება შეუძლია. თავის დროზე, პოლდიმ გერმანიის ნაკრებში იურგენ კლინსმანის ხელში გაიბრწყინა და ამდენად, ორმაგად გასაოცარია ის, რომ „ბაიერნში" კლინსისთან საერთო ენა ვერ გამონახა. იუპ ჰაინკესის ხელში კი, ახალგაზრდა ფორვარდმა პირველსავე ვარჯიშებზე დაამტკიცა, რომ ფეხბურთის თამაში შეუძლია. მეტიც, მას მერე, რაც „ბაიერნს" ჰაინკესი წვრთნის, პოდოლსკი კუთხურებს და ჯარიმებსაც ასრულებს.

„პოდოლსკის განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდება. აქამდე მეგონა, რომ ის მართლაც უსარგებლო ფეხბურთელი იყო, მაგრამ მას მერე, რაც „ბაიერნში" ვმუშაობ, ასი პროცენტით დავრწმუნდი იმაში, რომ თუ მწვრთნელი მოინდომებს, მისგან იდეალურ ფეხბურთელს ჩამოაყალიბებს. სიმართლე გითხრათ, მე რომ „ბაიერნის" მწვრთნელის პოსტზე ვრჩებოდე, ლუკასს „კიოლნში" არ გავუშვებდი, აუცილებლად დავიტოვებდი," - ამბობს ჰაინკესი.

ფაქტია, რომ ლუკასმა „დონ იუპის" ნდობა გაამართლა. 64 წლის მწვრთნელმა ის სამივე მატჩში ათამაშა, „ბაიერნმა" ამ სამ ტურში 8 გოლის გატანა შეძლო და აქედან, 6 გოლში პოლდიმ უშუალო მონაწილეობა მიიღო. და აღსანიშნავია, რომ ლუკასს ასეთი შესანიშნავი კვოტა „ბაიერნში" აქამდე არასდროს ჰქონია. და ფაქტია, რომ მიუნხენელი ფანები დღესდღეობით საუკეთესო პოდოლსკის უყურებენ. თუმცა, ლუკასის მიუნხენური ეპოპეა დასასრულს უახლოვდება. სეზონის დასრულებისთანავე პოლდი „კიოლნში" დაბრუნდება, სადაც ფანატიკურად უყვართ, აფასებენ და ენდობიან. მისი აზრით, „კიოლნში" დაბრუნება უკან გადადგმული ნაბიჯი არ არის. გერმანიის ნაკრების ჭირვეული თავდამსხმელი, რომელმაც ცოტა ხნის წინ ბუნდესკაპიტან **მიხაელ ბალაკს** შუა თამაშის დროს ალიყური უთავაზა და მიუხედავად ამისა, მაინც დაუსჯელი დარჩა, „თხებში" იმის გამო ბრუნდება, რომ მან „ბაიერნში" ფაქტობრივად ვერაფერი გაანყო ვერც **ფელიქს მაგათის**, ვერც **ოტმარ ჰიტცფელდის** და ვერც **იურგენ კლინსმანის** ხელში. თუმცა ის ყოველთვის იმეორებდა, როცა ვთამაშობ, კარგად ვთამაშობ ხოლმეო. სტატისტიკა პოდოლსკის მოსაზრებას ამართლებს. „ბაიერნში" გატარებული სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ოთხი ისეთი ფაზა იყო, როცა პოდოლსკი თითქმის მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა და ეძლეოდა იმის შანსი, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოევლინა. 2006/2007 წლების სეზონში მას 23-ედან 27-ე ტურამდე ათამაშებდნენ. ამ ხუთ შეხვედრაში 3 გოლი გაიტანა და 2 საგოლე პასი მიითვალა. 2007/2008 წლების სეზონის მიწურულს, 31-დან 34-ე ტურამდე ათამაშეს და 4 თამაშში 3 გოლის გატანა შეძლო (1 პასი). კლინსმანის ხანაში კი, ანუ, ამ სეზონში, პოდოლსკიმ „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში ზედიზედ 4 თამაში ჩაატარა (23-ედან 26-ე ტურის ჩათვლით) - შედეგი: 1 გოლი და 1 პასი. ჰაინკესის პერიოდზე კი ზემოთ ვისაუბრეთ: ორი გოლი და 4 პასი სამ თამაშში.

შესაბამისად, „ბაიერნის" ქომაგებს გული სწყდებათ იმის გამო, რომ ლუკასი მიუნხენს ტოვებს. ჰაინკესის მოსვლამდე კი, ასეთი რამ გამორიცხული იყო...

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ

ანდ ბარძალი

# ლიპიმ იცის, ვინ ვარ და რა შემიძლია

## ვოლფსბურგის დაცვის ბურჯი დიდ მაესტროს არ ემდურის

**ანდრეა ბარძალი ბუნდესლიგის ლიდერისა და შესაბამისად, ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტის, „ვოლფსბურგის" დაცვის ბურჯია და ის, რომ „მგლები" „ვერცხლის სინისთვის" იბრძვიან, სხვებთან ერთად, მისი დამსახურებაცაა. ბარძალი „ვოლფსბურგში" ზუსტად ერთი წლის წინ, კიდევ ერთ მსოფლიოს ჩემპიონ კრისტიან ძაკარდოსთან ერთად გადავიდა. ძაკარდომ გერმანულ კლუბში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, ბარძალი კი ფელიქს მაგათის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. იტალიელს ინტერნეტგამოცემა „სპოქსის" ჟურნალისტი გაესაუბრა...**

**- ანდრეა ბარძალი, რა აზრის ხართ ფელიქს მაგათის გადაწყვეტილების შესახებ, რომელის თანახმადაც ის „ვოლფსბურგს" ტოვებს და „შალკეში" გადადის...**

- როგორც ყველა, ამით მეც ძალიან გაკვირვებული დავრჩი, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი და ტვინის ჭყლეტა უკვე უაზრობაა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ კონცენტრაცია არ დავკარგეთ და დღესაც პირველ ადგილზე ვართ. ახლა ჩვენთვის დარჩენილი ორი თამაშია მნიშვნელოვანი, მომდევნო სეზონზე კი მხოლოდ მიმდინარეს დასრულების შემდეგ უნდა ვიფიქროთ.

**- მაგათის ტრანსფერის ამბავი საზოგადოებისთვის ზუსტად იმ დროს გახდა ცნობილი, როცა ეს „ვოლფსბურგს" ყველაზე ნაკლებად აწყობდა...**

- ფეხბურთში ყოველთვის ასე ხდება ხოლმე. რაც მთავარია, „ვოლფსბურგმა" შეძლო ის, რომ ამ ამბის გამო ნწეხის ქვეშ არ მოექცა. ისე, სხვათა შორის, იტალიაში გაცილებით უფრო მძიმე ამბები ხდება ხოლმე.

**- მაგათმა, როგორც იქნა, აღიარა, რომ „ვოლფსბურგი" „ვერცხლის სინის" მოპოვების მთავარი ფავორიტია...**

- ერთი რამ ცხადია: ჩვენი მიზანი ჩემპიონობა ნამდვილად არ იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ლიდერები ვართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. ისე კი, „ვოლფსბურგს" ძალიან ბევრი ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებსაც ჩემპიონობისთვის ბრძოლის გამოცდილება საერთოდ არ აქვთ.

**- როგორ ფიქრობთ, კლინსმანის წასვლისა და ჰაინკესის მოსვლის შემდეგ „ბაიერნი" უფრო სახიფათო კონკურენტი გახდა?**

- კონკურენტი? „ბაიერნი" ყოველთვის ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატია. ამ გუნდს მაღალი კლასი და უდიდესი გამოცდილება აქვს. ისე კი, სიმართლე გითხრათ, არა მგონია, რომ ჰაინკესმა რამე შეცვალა.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ კლინსმანი ფეხბურთელებმა გააგდეს?**

- არ ვიცი, ასეთ რამეს ნამდვილად ვერ დავიჩემებ. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ის, რომ „ბაიერნის" შიდა სამზარეულოს ვიცნობდე.

**- სეზონის დასაწყისში მაგათის მძიმე ვარჯიშებით შეწუხებული იყავით, ახლა კი თავს ჩინებულად გრძნობთ. როგორც ჩანს, „დესპოტი ფელიქსის" ვარჯიშებმა შედეგი გამოიღო...**

- დიახ, ეს სრული სიმართლეა. მაგათის მძიმე ვარჯიშებთან შეგუება მართლაც ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი შესანიშნავ შედეგს გამოიღებდა. სეზონის ბოლოს თავი ასე კარგად არასდროს მიგრძვნია. ყოველთვის გადაღლილი ვიყავი ხოლმე, ახლა კი შესანიშნავ სპორტულ ფორმაში ვარ.

**- რას აკეთებს მაგათი ისეთს, რასაც სხვა სპეციალისტები არ აკეთებენ?**

- მის ხელში ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ იზარმაცებს. მეტიც: ოდნავადაც ვერ მოეშვება. მტერსაც კი არ ვუსურვებ იმას, რომ იყოს მაგათის შეგირდი და ვარჯიშზე იზარმაცოს...

**- თქვენგან განსხვავებით, თქვენმა თანამემამულე კრისტიან ძაკარდომ „ვოლფსბურგში" თავი ვერ დაიმკვიდრა. რატომ?**

- ძაკარდოს წარუმატებლობას უამრავი მიზეზი აქვს. მე ძირითად შემადგენლობაში ადგილი ძალიან სწრაფად დავიმკვიდრე და თავიდანვე კარგად ვთამაშობდი. კრისტიანს კი, ახალ გარემოსთან შეგუება ძალიან გაუჭირდა და მისი „ვოლფსბურგში" სრულფასოვნად ინტეგრირების პროცესიც ძალიან გაიწელა. მოკლედ, ძაკარდოს არ გაუმართლა. მიუხედავად ამისა, მაინც დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ძაკარდოს შეუძლია, „ვოლფსბურგისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გახდეს.

**- ძაკარდო თუ წავა, თქვენც წახვალთ?**

- არც მე ვარ მასზე დამოკიდებული და არც პირიქით - ის ჩემზე. ნამდვილად არ ვიცი, რას აპირებს, იტალიაში ბრუნდება თუ აქ რჩება. ცხადია, ძალიან მიხარია, რომ ჩემი უახლოესი მეგობარი ჩემი თანაკლუბელია, მაგრამ ჩვენ ერთმანეთზე არ ვართ დამოკიდებულები.

**- თითქმის ერთი წელია, „ვოლფსბურგში" თამაშობთ და იყო თუ არა ამ ხნის განმავლობაში მომენტი, როცა გერმანიაში წამოსვლა ინანეთ?**

- ერთი წამითაც არ მინანია. „ვოლფსბურგში" გამოცდილება შევიძინე, გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის, თანაც, აქ თავს მოედანს მიღმაც ძალიან კარგად ვგრძნობ.

**- თქვენ „ვოლფსბურგის" დაცვის ბურჯი ხართ. როგორ ხელმძღვანელობთ სხვა მცველებს - ფაქტია, რომ თითქმის ყველა მცველი სხვადასხვა ენაზე საუბრობს...**

- გერმანულად ვხელმძღვანელობ ხოლმე. მა[...] სიტყვები მეც ვიცი და მათაც იციან. ხანდახან [...] ნეთს ინგლისურადაც მივმართავთ. მაგრამ ზოგ[...] მიმაჩნია, რომ ფეხბურთში თანაგუნდელის ენის ც[...] საჭირო არ არის. ორი ფეხბურთელი ერთმანეთს[...] ლება, საერთოდ ვერაფერს აგებინებდეს, მაგრამ[...] დანზე ისე კარგად უგებდნენ ერთმანეთს, რომ [...] გაოცდეს.

**- თამაშის დროს ხშირად ყვირით ხოლმე თუ [...] მშვიდი ხართ?**

- ყვირილით იშვიათად ვყვირი, მაგრამ ფაქტია[...] ძალიან ბევრს ვლაპარაკობ. დაცვა ისეთი პოზიცია[...] დაც ფეხბურთელებს ერთმანეთთან მუდმივი კ[...] უნდა ჰქონდეთ. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს ძ[...] ან მნიშვნელოვანია.

**- გერმანული ენის გაკვეთილები როგორ მიდ[...]**

- სიმართლე გითხრათ, არც ისე კარგად - ვს[...] ცობ. რა თქმა უნდა, ახლა უფრო უკეთ ვსაუბრობ, [...]რე თავიდან, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გერმანული კარგად ვიცი.

**- მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, მაინც ახერხებთ ლიდერობას?**

- ვფიქრობ, ახალგაზრდა ფეხბურთელები პატივს მცემენ. „ვოლფსბურგმა" ჩემი შეძენა იმიტომაც გადაწყვიტა, რომ სხვებზე გამოცდილი ვარ.

**- იტალიაში ისეთი შესანიშნავი ფეხბურთელების წინააღმდეგ გიწევდათ თამაში, როგორებიც არიან ფრანჩესკო ტოტი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი ან კაკა. გერმანიაში ყველაზე მეტად რომელი ფორვარდის შეჩერება გაგიჭირდათ?**

- პირველ რიგში „ჰოფენჰაიმის" თავდასხმის ტრიო უნდა გამოვარჩიო: იბიშევიჩი, ბა და ობასი. პირველ წრეში მათი შეჩერება ძალიან ძნელი იყო. ასევე ძალიან ძლიერები არიან „ლევერკუზენის" თავდამსხმელები შტეფან კისლინგი და პატრიკ ჰელმესი. ერთ-ერთი საუკეთესოა მარიო გომესიც.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად ძლიერები არიან ედინ ჯეკო და გრაფიტე, რამდენად წარმატებული იქნება ეს დუეტი ჩემპიონთა ლიგაში?**

- როცა თავდამსხმელს ერთ სეზონში 20-ზე მეტ გოლი გააქვს, მნიშვნელობა არ აქვს, სად თამაშობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ძალიან ძლიერი ფორვარდია.

**- ბოსნიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა თქვა, ჯეკო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი გახდებაო. თქვენც ფიქრობთ, რომ ის ერთხელაც „მილანში", „ინტერში" ან „იუვენტუსში" ითამაშებს?**

- ედინი ჯერ ახალგაზრდაა და უკვე ძალიან სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. დარწმუნებული ვარ, მას მართლაც შეუძლია, გახდეს მსოფლიოში ერთ-ერთი თვალსაჩინო თავდამსხმელი. უბრალოდ, წნეხის ქვეშ არ უნდა მოვაქციოთ.

**- ამბობენ, გერმანიაში ტაქტიკას გაცილებით ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე იტალიაშიო. ამ მოსაზრებას ეთანხმებით?**

- მე მხოლოდ „ვოლფსბურგის" მაგალითზე მსჯელობა შემიძლია და თუ ეს საკმარისია, მაშინ გეტყვით, რომ ეს მოსაზრება სიმართლეს შეესაბამება. იტალიაში ტაქტიკას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სამაგიეროდ, გერმანიაში უფრო შემტევ ფეხბურთს თამაშობენ. ესპანეთში ბურთის ფლობაა წინა პლანზე, ინგლისში კი ფიზიკური ბრძოლა.

**- იტალიელები დაცვის ოსტატებად მიიჩნევით და საინტერესოა, რა განსხვავებაა თავდაცვის იტალიურ და გერმანულ სტილს შორის?**

- იმის გამო, რომ გერმანიაში უფრო შემტევ ფეხბურთს თამაშობენ, აქ მცველებს უფრო მეტი ჯაფა ადგებათ. იტალიაში კი გუნდები დაცვაზე ყურადღებას არა მარტო ტაქტიკური თვალსაზრისით ამახვილებენ, არამედ, იქ გუნდების უმრავლესობა 4-5 მცველით თამაშობს.

**- ბევრი ფიქრობს, რომ ბუნდესლიგამ უკვე აჯობა იტალიის ჩემპიონატს...**

- მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს. ერთი მხარეა ის, რომ გერმანიაში შესანიშნავი სტადიონებია, რომელთა ტრიბუნები ყოველთვის ივსება. როცა სტადიონი სავსეა, თამაშიც უფრო საინტერესოდ მიმდინარეობს, რადგან ფეხბურთელებისთვის მაყურებლების რაოდენობა უმთავრესი მოტივატორია. მაგრამ წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, ბუნდესლიგა სერია A-ს ჯერ კიდევ ბევრით ჩამორჩება, რადგან იტალიაში მსოფლიო დონის ვარსკვლავები თამაშობენ - გერმანიას კი ასეთები ჯერ კიდევ არ ჰყავს. მაგრამ ბუნდესლიგა უდიდეს პროგრესს განიცდის და აშკარად ვითარდება. დღესდღეობით გერმანიაში 7-8 ძლიერი გუნდი თამაშობს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

**- გერმანიას მსოფლიოში საუკეთესო სტოპერები ჰყავდა: კარლ-ჰაინც ფიორსტერი, იურგენ კოლერი, გვიდო ბუხვალდი. ბავშვობაში რომელიმე მათგანი თქვენი კერპი ხომ არ იყო?**

- არა, მცველები არასდროს მომწონდნენ. პატარაობისას ჩემი კერპი მარკო ვან ბასტენი იყო და სხვათა შორის, კარიერა არც მე დამიწყია მცველის რანგში. შემტევი ნახევარმცველი ვიყავი, მაგრამ მერე ნელ-ნელა უკან დამხიეს - ჯერ საყრდენი გავხდი, მერე კი მცველი. გოლები ვერ გამქონდა და იმიტომ.

**- თქვენს თანაგუნდელ მარსელ შეფერს მეორე კლასში ყოფნის დროს უთქვამს, ფეხბურთელი უნდა გამოვიდეო. თქვენ როდის გადაწყვიტეთ ფეხბურთელობა?**

- ცხადია, ბავშვობაში ამაზე მეც ვოცნებობდი, მაგრამ მხოლოდ 17 წლის ასაკში გავაცნობიერე, რომ შემეძლო, დიდი ფეხბურთი მეთამაშა. 17 წლის ვიყავი, როცა სახლიდან წავედი და გადავწყვიტე, საკუთარი თავისთვის თვითონ მიმეხედა. როცა პირველი ხელფასი ავიღე, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ არსებობდა.

**- მიუხედავად იმისა, რომ „ვოლფსბურგში" ძალიან კარგად თამაშობთ, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იტალიის ნაკრებში აღარ გამოჩენილხართ...**

- პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ იტალიის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა არც ისე იოლი საქმეა. ჩემი აზრით, სავსებით ნორმალურია ის ფაქტი, რომ „სკუადრა ადზურაში" რეგულარულად არ ვთამაშობ. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მარჩელო ლიპი კარგად მიცნობს და ზედმიწევნით ზუსტად იცის, რაც შემიძლია. მთავარია, კარგ ფორმაში ვიყო და კლუბში რეგულარულად ვთამაშობდე. ვიცი, ლიპი არ დამჩაგრავს. კარგად მესმის, რომ მან ყველა კანდიდატი უნდა გამოცადოს, წინ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატია და იტალიას კი ტიტულის შენარჩუნება უნდა.

**- იტალიის ნაკრებს ალესანდრო გამბერინი და სალვატორე ბოკეტი გაუშინაურდნენ. როგორ დავიჯეროთ, რომ ისინი თქვენზე უკეთესი მცველები არიან?**

- ასე მკვეთრად საქმეს არ უნდა მივუდგეთ. უამრავი ფაქტორია გასათვალისწინებელი. როცა იტალიის ნაკრებში პირველად გამომიძახეს, 24 წლის ვიყავი და „პალერმოში" ვთამაშობდი, იმ დროს კი, „პალერმო" დიდი ვერაფერი გუნდი იყო. ცხადია, მაშინაც ბევრმა იფიქრა, ვინ არის ეს ბარძალი და რატომ გამოიძახეს ნაკრებშიო. ასეა, ნაკრების მწვრთნელმა ყოველთვის უნდა გამოცადოს ახალი ფეხბურთელები.

**გოტფრიდ ლენცი**




ჰოლანდიური ამბები



სეზონის დასრულებამდე კო ადრიაანსეს აიაქსის გაგონებაც არ უნდა

# უარი აიაქსს... დროებით

**კო ადრიაანსემ** „აიაქსის" ოფიციალურ შეთავაზებაზე, ჩაებარებინა ჰოლანდიური ფეხბურთის გრანდი, ამ ეტაპზე უარი განაცხადა. ის ავსტრიული „რედ ბულის" მთავარი მწვრთნელია და ერთობ ამბიციური სამომავლო გეგმებიც აქვს, თუმცა გამორიცხული არაფერია. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ამსტერდამელთა დირექტორ **რიკი ვან დერ ბოოხს** სეზონის ბოლომდე დაცდა სთხოვა. გთავაზობთ ამ უკანასკნელის განცხადებას: „კო ადრიაანსემ ჩვენგან ოფიციალური შეთავაზება მიიღო. მან განგვიცხადა, რომ "აიაქსზე" ფიქრს სეზონის ბოლომდე არ აპირებს, რადგან სურს, სრული კონცენტრაცია ახლანდელ კლუბზე მოახდინოს. ავსტრიის ჩემპიონატი 31 მაისს მთავრდება. აღნიშნული თარიღის შემდეგ ხსენებულ საკითხს ხელახლა დავუბრუნდებით. ბუნებრივია, ჩვენ პატივს ვცემთ ადრიაანსეს პოზიციას".

რაც შეეხება მეორე სახელოვან კანდიდატურას, **ფრანკ რაიკაარდს**, მან მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა, რომ „აიაქსში" მუშაობის პერსპექტივით აღფრთოვანებული სულაც არ არის. „ფუტბალ ინტერნეშენელის" ცნობით, ფრანკი კარიერას ინგლისში ან იტალიაში განაგრძობს.

ამასობაში კიდევ ერთხელ დაუბრუნდა „აიაქსის" საკითხს მისი ყოფილი მთავარი მწვრთნელი **მარკო ვან ბასტენი**. ლეგენდარული ფეხბურთელის თქმით, გუნდს ისეთი კატეგორიის მწვრთნელი სჭირდება, რომელიც განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭით იქნება დაჯილდოებული. „აიაქსს" ისეთი დამრიგებელი სჭირდება, რომელიც სკოლის მასწავლებლივით მკაცრი და ობიექტური იქნება, მას უნდა შეეძლოს ფეხბურთზე მოკლედ და გასაგები სიტყვებით ლაპარაკი.

გუნდში ისეთი ტიპის ფეხბურთელები არიან შეკრებილები, რომ თავად ლაპარაკი მაინცდამაინც არ უყვართ. როცა ეს აღმოვაჩინე, ვიფიქრე, კარგი, ნაკლები ლაპარაკი, მეტი საქმე. ასეც ვაკეთებდით, მაგრამ შედეგს ვერაფრით მივაღწიეთ. „სპარტასთან" შეხვედრა მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი იყო და ამის წყალობით სამწუხარო დასკვნამდე მივედი, უმჯობესი იყო, გუნდს გავცლოდი. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემადგენლობით ჩვენ გაცილებით მეტისთვის უნდა მიგვეღწია".

**დენის ბერგკამპი** მუშაობას „აიაქსის" სისტემაში იწყებს. მომავალი წლიდან ის ერთ-ერთ იუნიორულ გუნდს ჩაიბარებს. დენისს სამწვრთნელო კარიერის დაწყება უნდა. საამისოდ, პატარა ბავშვებთან მუშაობა იდეალური გამოსავალია. ბერგკამპს იმედი აქვს, რომ მისი მეგობრის **ფრანკ დე ბურის** გზას გაიმეორებს, ვინც სამწვრთნელო კარიერა სწორედ 10-12 წლის ბიჭებთან მუშაობით დაიწყო და 1-ლი ივლისიდან **ლუის ვან გაალთან** ერთად, სავარაუდოდ, სამუშაოდ „ბაიერნში" გადავა. დენისი ამჟამად სამწვრთნელო კურსებს გადის. ის მაისის ბოლოს უკვე მიიღებს მუშაობის უფლებას.

ჰოლანდიურ თემატიკაზე წერას **ელერო ელიაზე** გავრცელებული ცნობით დავასრულებთ. „ტვენტეს" განაპირა თავდამსხმელი წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს. აღნიშნული ჯილდო 1984 წლიდან თამაშდება, 2004-დან კი მას „იოჰან კრუიფის პრიზი" ჰქვია. ფეხბურთელს კუთვნილ ჯილდოს მიმდინარე წლის 31 აგვისტოს გადასცემენ.

**შალვა ბიბილაშვილი**


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

იტალიის თასი. ფინალი

# გადარეული ოლიმპიკო

## ...და აღმავლობის დასაწყისი?



**ლაციო-სამპდორია 1:1, პენ 6:5**

„ლაციოს" ტიფოზებით სავსე რომის ოლიმპიური სტადიონი ბოლოს როდის ვნახეთ, სიმართლე გითხრათ, ვერც ვიხსენებთ. ბოლო წლებში, „ბიანკოჩელესტე" იმდენად დასუსტდა, რომ მისი გულშემატკივრები სტადიონის ტრიბუნებს დედაქალაქურ დერბიშიც კი აღარ ავსებენ. ოთხშაბათს საღამოს კი ამ მართლაც შესანიშნავ არენაზე სრულიად განსხვავებული სიტუაცია იყო. 70 ათასამდე ტიფოზი ადევნებდა თვალს იტალიის თასის ფინალურ შეხვედრას. აქედანვე უნდა ითქვას, რომ პაექრობამ მოლოდინი გაამართლა. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, ტემპი კი საკმაოდ მაღალი იყო.

„ლაციომ" პირველივე წუთებიდან შეუტია და გაუმართლა კიდეც. სწრაფ გოლზე დაგეშილმა მასპინძლებმა ანგარიში მეოთხე წუთზე გახსნეს და ქომაგები ეიფორიაში ჩააგდეს. **მარიო სარატემ** მართლაც დიდებულად ითამაშა, მარცხენა ფლანგიდან მიუახლოვდა მეტოქის საჯარიმოს და ტექნიკური დარტყმით მოათავსა ბურთი მეკარისაგან შორეულ კუთხეში. „სამპა" ასე იოლად რომ არ გატყდებოდა, ნათელი იყო. გენუელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაშვებულმა ბურთმა მათზე უარყოფითად არ იმოქმედა. მალევე შეცვალეს თამაშის რიტმი და მეტოქის ნახევარსაც გაუშინაურდნენ. სათითაოდ, ყველა სახიფათო მომენტზე შეჩერების აზრს ვერ ვხედავთ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ თამაში თანაბარი გახლდათ და რეალური უპირატესობა არც ერთ გუნდს არ მოუპოვებია. საპასუხო გოლი კი მართლაც ჩინებული გამოვიდა, **ანტონიო კასანოს** დაწყებული იერიში ბრწყინვალე თავურით **ჯამპაოლო პაცინიმ** დააგვირგვინა და ანგარიშიც გაათანაბრა.

მეორე ნახევარი და განსაკუთრებით, დამატებითი ტაიმები ძალიან დაძაბულ ორთაბრძოლაში წარიმართა. იყო ხისტი თამაში და ნაკლები რისკი. გუნდები გატანაზე მეტად, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ და რა გასაკვირია, რომ საქმე თერთმეტმეტრიანების სერიამდე მივიდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, პენალტებში სწორედ იმ ფეხბურთელებმა ვერ ივარგეს, რომლებზეც გულშემატკივრები ყველაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. გენუელთაგან კასანო შეცდა, რომაელთაგან კი - **ტომაზო როკი**. გადამწყვეტი **კამპანიაროს** შეცდომა გამოდგა, მას **მუსლერამ** აუღო და „ლაციოს" ტროფეისკენ გზა გაუხსნა. **ოსმან დაბოს** ზუსტი პენალტი და „ბიანკოჩელესტე" მეხუთედ გახდა იტალიის თასის მფლობელი.

ის, რაც შემდეგ მოხდა, სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია. ასეთი გადარეული ოლიმპიკო ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც დაამშვენებდა. მთელმა სტადიონმა იზეიმა „ლაციოს" ტრიუმფი, რომაელებმა ხომ ტიტულთან ერთად უეფას თასის საგზურიც მოიპოვეს. ჭკუიდან იყვნენ შეშლილი **დელიო როსი** და **კლაუდიო ლოტიტო**. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, პრეზიდენტი მინდორზე ჩავარდა და ფეხბურთელებს სათითაოდ გადაეხვია. ლოტიტოს ემოციები არც RAI UNO-ს ჟურნალისტთან დაუმალავს:

*„ეს არის უდიდესი გამარჯვება, რომელმაც ძალიან დიდი სიამოვნება მომანიჭა. ბედნიერი ვარ და ვფიქრობ, რომ ეს ტროფეი უკეთესობისკენ შეცვლის ჩვენს მომავალს. მიხარია, როდესაც გულშემატკივრებს გახარებულებს ვხედავ. მიხარია დელიო როსის გამოც, რომელიც მთელ თავის ენერგიას გუნდში დებს. ბედნიერი ვარ, როდესაც ფეხბურთელების გახარებულ სახეებს ვხედავ. თითოეული მათგანისთვის ეს ტროფეი დიდი სტიმულია. მადლობა მარიო სარატეს დიდებული თამაშისა და შესანიშნავი გოლისთვის. ვფიქრობ, ის ჩვენთან დარჩება და კარიერას „ლაციოში" გააგრძელებს. მომავალ სეზონში, უეფას თასზე ვიასპარეზებთ, რაც პირადად ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ევროტურნირების გარეშე სეზონი უინტერესო იქნებოდა და კარგია, რომ ევრობატალიებს არც ჩვენი გუნდი გამოაკლდება. მომავალ სეზონში, მხოლოდ გაძლიერებაზე ვიზრუნებთ. ორ ფრონტზე ბრძოლა დიდ ენერგიას მოითხოვს და რესურსიც მეტი გვჭირდება. ეს ტროფეი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას აქტიურობისკენ მიბიძგებს. გუნდი სწორი კურსით მიდის და ამაში დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი".*

ბედნიერი გახლდათ გოლის ავტორი სარატეც: *„ფანტასტიკური საღამო იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. გულშემატკივრებმა დიდებული ატმოსფერო შექმნეს და მათი განბილების უფლება არ გვქონდა. „სამპდორიამ" ძალიან კარგად ითამაშა და ტოლსწორად გვეპაექრა, მაგრამ გამარჯვება მაინც უძლიერესს დარჩა. ვფიქრობ, სეზონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტროფეის სწორედ ჩვენი გუნდი იმსახურებდა. მივდივარ თუ არა „ლაციოდან"? - მგონი არასდროს მითქვამს, რომ რომიდან წასვლის სურვილი მაქვს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კარიერას „ბიანკოჩელესტეში" გავაგრძელებ".*

ისე არ გამოვა, რომ სიტყვა დელიო როსის არ გადავცეთ: *„დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სწორი გზით მივდივართ. ამ სეზონში ბეწვის ხიდზე გავიარე და ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. სეზონის მეორე ნახევარში კრიზისი გვქონდა და არაერთხელ დავფიქრდი გუნდიდან წასვლაზე. მიხარია, რომ გონიერება გამოვიჩინე და ეს ნაბიჯი არ გადავდგი. „ლაციოს" განვრთნას კიდევ დიდხანს ვაპირებ და დარწმუნებული ვარ, რომ წინ დიდი გამარჯვებები გველის. მომავალ სეზონში სამი მიზანი გვექნება: იტალიის თასის დაცვა, უეფას თასის მოპოვება და ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა. შესაძლოა, გეგმები ზედმეტად ამბიციური მოგეჩვენოთ, მაგრამ მე ვიცი რასაც ვლაპარაკობ. გუნდი პროგრესირებს და ამაში მომავალ სეზონშიც დარწმუნდებით".*

ჟურნალისტები თანხმდებიან, რომ „ლაციოსთვის" ეს გამარჯვება უმნიშვნელოვანესია. იტალიის თასი „ბიანკოჩელესტეს" უფრო მეტად სჭირდებოდა, ვიდრე „ინტერს", „მილანს" თუ „იუვენტუსს". დავიტოვოთ იმედი, რომ ლოტიტოს სიტყვები გამართლდება და „ლაციო" მართლაც დაადგება აღმავლობის გზას.

**ლაშა ნიკლაური**

ჩელსი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯო კოული და მისი მეგობარი გოგონა კარლი ცუკერი

# ჯო უფრო ძლიერი დაბრუნდება

**ჯო კოულმა** უმძიმესი ტრავმა წლის დასაწყისში მიიღო. ის უკვე 4 თვეა, ზუსტად 14 იანვრიდან, ბურთს აღარ გაკარებია. იანვარში მან შედარებით მსუბუქი ტრავმა მიიღო, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ეს რეციდივი იყო. აღმოჩნდა, რომ კოული მინდორს სასურველზე ადრე დაუბრუნდა და მდგომარეობა გაირთულა. ექიმებმა, ტრავმის საბოლოოდ დამარცხების მიზნით, ოპერაცია დანიშნეს.

„ჩელსის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მომავლის იმედს არ კარგავს და აცხადებს, რომ მომავალი სეზონიდან ფეხბურთს უფრო ძლიერი დაუბრუნდება, ვიდრე ტრავმამდე იყო. *„ვფიქრობ, საუკეთესო ფორმაში ჩადგომა არ უნდა გამიჭირდეს,* - ამბობს ჯო. - *საამისოდ შესანიშნავი განწყობა მაქვს. ცხოვრება ასეთია... არსებობს აღმაფრენისა და გამარჯვების, არსებობს დაცემისა და დამარცხებების პერიოდები. გამკლავება ერთთანაც საჭიროა და მეორესთანაც.*

*ფიზიოთერაპევტთან ყოველდღე მივდივარ. რასაც მავალებს, ყველაფერს უხმოდ ვაკეთებ. ვნახოთ, როგორ წარიმართება გამოჯანმრთელების პროცესი. ტრავმა თავადვე გავირთულე და ამით ისეთი გაკვეთილი მივიღე, რომელსაც არასოდეს დავივიწყებ. მინდორს მხოლოდ მაშინ დავუბრუნდები, როცა ამისთვის 100 %-ით მზად ვიქნები".*

**შალვა ბიბილაშვილი**

ლივერპული

# ჯერარდის კიდევ ერთი აღიარება

„როიტერის" ცნობით, „ლივერპულის" კაპიტანი **სტივ ჯერარდი** ფეხბურთზე მწერალ ჟურნალისტთა გამოკითხვაში პირველ ადგილზე გავიდა. ჩვენმა ბრიტანელმა კოლეგებმა ის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

გამოკითხვას სხვა ფავორიტებიც ჰყავდა. კერძოდ, „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები - **რაიან გიგზი** და **უეინ რუნი**. შეგახსენებთ, რომ პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ საუკეთესოდ სწორედ გიგზი სცნო. ჟურნალისტთა მიერ საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა 1948 წლიდან ხდება. სტივი 1990 წლის შემდეგ პირველი ლივერპულელი გახდა, ვინც ამგვარი პატივი დაიმსახურა. 19 წლის წინ მასმედიელებმა საუკეთესოდ **ჯონ ბარნსი** აღიარეს.

„მირორის" ცნობით, „ლივერპულმა" „ვალენსიას" **დავიდ სილვას** სანაცვლოდ 16 მილიონი ევრო შესთავაზა. ტაბლოიდის ინფორმაციით, ინგლისელები ხსენებულ თანხაზე მეტს არ გადაიხდიან. თავად ფეხბურთელს „მესტალიას" დატოვება არ უნდა, მაგრამ ის ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მისი კლუბი, უბრალოდ, გაკოტრდება.

ესპანური გამოცემა AS ამტკიცებს, რომ მადრიდის „რეალმა" და „ლივერპულმა" თითქმის მიაღწიეს შეთანხმებას **ჩაბი ალონსოს** ტრანსფერის თაობაზე. „რეალის" მომავალი პრეზიდენტი (შეიძლება ასეც ითქვას) **ფლორენტინო პერესი** მზადაა, მოთამაშეში 24 მილიონი ევრო გადაიხადოს. მერსისაიდელები 30-ს ითხოვენ.

სამაგიეროდ, **რაფა ბენიტესი** ასტონვილელი **გარეთ ბერის** ტრანსფერზე მუშაობს. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს ესპანელის შეცვლა სრულყოფილად შეუძლია.

**შალვა ბიბილაშვილი**

გადაწყვეტილება

# ბუფონი იუვეში რჩება

**ჯანლუიჯი ბუფონის** შესახებ, ბოლო პერიოდში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა. გასულ კვირას, „გაძეტა დელო სპორტმა" დაწერა, რომ ჯიჯის გადაბირებას „ბარსელონას" მესვეურები გეგმავდნენ. კატალონიელებმა ეს ინტერესი არ დაადასტურეს, მაგრამ იტალიური პრესის დასაშოშმინებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჯიჯი იძულებული გახდა, ამ საკითხზე კომენტარი გაეკეთებინა:

*„ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ კარიერას „იუვენტუსში" გავაგრძელებ. ბოლო დღეებში ყველა იმას მეკითხება, მივდივარ თუ არა „ბარსელონაში". წარმოდგენა არ მაქვს, საიდან ვრცელდება ასეთი ინფორმაციები. ესპანელებთან არავითარი კონტაქტი არ მქონია და იქ წასვლაზე არც კი მიფიქრია. ამ სეზონში არცთუ კარგად ვითამაშე, ეს ჩემი პირადი აზრია და მინდა გუნდისთვის უფრო მეტი გავაკეთო. საერთოდაც, დიდი სურვილი მაქვს, კარიერა სწორედ „ვეკია სენიორაში" დავასრულო. თუმცა სამომავლო გეგმებზე საუბარს, სჯობს ამ სეზონში დარჩენილ შეხვედრებზე ვთქვა ორიოდე სიტყვა. „მილანთან" პაექრობამ ყველას იმედები ჩაგვისახა, რომ კრიზისი მალე დაიძლევა. დარჩენილი სამი თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ და იქნებ სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზეც ავინაცვლოთ. სწორედ ამაზე ვფიქრობ და არა „ბარსელონაში" გადასვლაზე".*

**ლაშა ნიკლაური**



ამბები

# ჟუნინიო: არჩევანში თავისუფალი ვარ

„ლიონის" ბრაზილიელმა გამთამაშებელმა **ჟუნინიო პერნამბუკანომ** განაცხადა, რომ ვერაფრით გადაუწყვეტია, სად განაგრძოს სპორტული კარიერა. ის გულწრფელად აცხადებს, რომ დღეში გადაწყვეტილებას რამდენჯერმე ცვლის. *„ამჟამად სულ ეჭვებში ვარ. ხანდახან სახლში ვბრუნდები ხოლმე მტკიცე გადაწყვეტილებით, გადავიდე სხვა კლუბში, თუმცა მეორე დღეს ყველაფერი თავიდან იწყება - ისევ „ლიონში" დარჩენა მინდება. ჩემს კონტრაქტს ვადა ერთ წელიწადში გასდის. ჟან მიშელ ოლამ უკვე განმიცხადა, რომ შემიძლია არჩევანი თავისუფლად გავაკეთო",* - თქვა ბრაზილიელმა.

**შალვა ბიბილაშვილი**

# მიშელ პლატინი

# ცხოვრება, როგორც მატჩი




*(გაგრძელება)*

**კაბინეტში ფილიპ პიატს** ვიწვევთ, რომელსაც მობეზრდა დერეფანში ლოდინი. ის ჩვენთან ერთად მოკრძალებულ სადილს - ბუტერბროდებს შეექცევა. ერთმანეთს ხუმრობებით ვართობთ და თავს საკმაოდ ხალისიანად ვგრძნობთ, მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე რამდენიმე საათია დარჩენილი.

როგორც იქნა **ბონიპერტი** თავის ორ მრჩეველთან ერთად ბრუნდება. 14 საათია. პიატის ოთახში ყოფნით ვისარგებლეთ და ყველაზე დელიკატურ საკითხზე გადავედით: კომპენსაციის ოდენობა, რომელიც „იუვენტუსმა" ჩემ სანაცვლოდ „სენტ ეტიენს" უნდა გადაუხადოს.

ამ შემთხვევაში ყველანი დაძაბულ გამომეტყველებას ვიღებთ.

ბონიპერტი დათმობას არ აპირებს და ამ საკითხში გრანიტივით მყარია. ის უაპელაციო ტონით აცხადებს, რომ „სენტ ეტიენისთვის" კომპენსაციის გადახდა ჩემი პირადი საქმეა.

მე კატეგორიულ უარს ვამბობ.

ის მეწინააღმდეგება: *„ჩვენ შორის დადებული ხელშეკრულება სრულ თავისუფლებას გაძლევთ თქვენს ყოფილ კლუბთან ურთიერთობაში".*

პიატი უამრავი იურიდიული არგუმენტი მოჰყავს, მაგრამ ბონიპერტი ამ ყველაფერი ძალიან მარტივად იგერიებს.

საუბრის ტონი მაღლა იწევს.

ბონიპერტისგან სითბო და პატივისცემა აღარ იგრძნობა.

არც პიატი რჩება ვალში.

მე ფანჯრის მიღმა მშვიდი სახით ვათვალიერებ პეიზაჟს... სადღაც შორს სპორტული ქალაქის ბაღებსა და აუზებს ვხედავ. იქაური სიმშვიდე არ შეედრება იმას, რაც ამ ოთახში ხდება!

„იუვენტუსის" ადვოკატი და ფინანსურ საკითხებში კლუბის კონსულტანტი **ჟულიანო**, ყველაზე ჯიუტი ჩანს. ის საიდუმლო იარაღის ამოქმედებაზე გადადის: *„მე ვაპირებ კონსულტაცია გავიარო ევროპის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ფრანკისთან".*

საქმე ცუდადაა, რადგან ფრანკი არ მოახდენს იმ სიტუაციის დეზავუირებას, რომლის ინიციატორიც თავად იყო და ამ ყველაფერში პირადად მისი ხელი ურევია. ჟულიანო იტალიელებისთვის დამახასიათებელი ვითომ დაღლილი და ეშმაკური სახით იმეორებს ერთსა და იმავე ფრაზას და ჩვენს დაბნევას ცდილობს: *„კარგით, მაშინ ტრანსფერი არ იქნება. ასეთ პირობებში მისი განხორციელება შეუძლებელია..."*

მაშინ ინიციატივას ჩემს თავზე ვიღებ. მზად ვარ გადამჭრელი მოქმედებისთვის, რათა საუბარი შექმნილი ჩიხიდან გამოვიყვანო. ტელეფონი ჩემსკენ მოვწიე და სენტ ეტიენში პრეზიდენტ **როშეს** ნომერი ავკრიფე.

- პრეზიდენტო, პლატინი გესაუბრებათ. ვფიქრობ, ერბენს უნდა გაეფრთხილებინეთ, რომ ამ მომენტში იტალიაში ვიმყოფები. მივაღწიე შეთანხმებას „იუვენტუსის" ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ამისთვის ჩემს იტალიაში გადასვლაზე თქვენი თანხმობაა საჭირო. ჩემი სურვილია, პირადად აწარმოოთ მათთან მოლაპარაკებები კომპენსაციის იმ თანხაზე, რომელიც უეფას მიერ არის დადგენილი.

- რა საჭიროა? აქ განსახილველი არაფერია, მიშელ.

- არა, არის.

- მომისმინე, ამ თემაზე დისკუსია დროის ფუჭი ხარჯვაა. შენ გადაგვიხდი ყველაფერს, რაც მიმდინარე კონტრაქტით არის გათვალისწინებული.

ყურმილს ვკიდებ. ბრძოლისგან დაღლილი მზად ვარ დავნებდე, მით უმეტეს, რომ ჟულიანო მთავაზობს „იუვენტუსის" სახელით ჩემზე ავანსი გასცეს, რომელიც მოგვიანებით ჩემივე ხელფასიდან დაიქვითება. *„თუ თქვენ ამაზე არ დათანხმდებით, ტრანსფერი არ შედგება"*, - იმეორებს ის.

საბოლოოდ, ჟულიანოს წინადადებას ვთანხმდები და საკუთარ პირობას ვაყენებ: „კარგით, თქვენ იხდით იმ თანხას, რომელსაც ევროპის საფეხბურთო კავშირი „სენტ ეტიენს" მისცემს და მომავალში მიიღებთ ზუსტად ასეთივე თანხას ჩემი მომდევნო კლუბისგან, რომელშიც „იუვენტუსში" გატარებული ორი სეზონის შემდეგ გადავალ... (მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ „იუვედან" აღარ წავიდოდი).

ბონიპერტი მოხიბლულია მოლაპარაკებების წარმართვის ჩემეული უნარით და ღიმილს ვერ იკავებს. ის იღებს ჩემს პირობას.

მე იქვე ვკარნახობ ტელექსის ტექსტს, რომელიც თავიდან „სენტ ეტიენში" უნდა გაიგზავნოს. ასე უფრო მოსახერხებელია.

ნახევარი საათის შემდეგ „იუვენტუსის" მდივანი ოთახში შემოდის, სადაც ყველანი ჩუმად ვსხედვართ და ბუზების ბზუილს ვუგდებთ ყურს. მდივანი პასუხის ფურცელს აფრიალებს. პრეზიდენტი როშე თანხმობას იძლევა: *„სენტ ეტიენის" სპორტული ასოციაცია თანხმობას აცხადებს პლატინის ტრანსფერზე. მისი საფეხბურთო „განათლებისთვის" საკომპენსაციო თანხა საბოლოოა - 1 280 000 ფრანკი".*

დაძაბულობა წამში მოიხსნა. თავს სავსებით დამაჯერებლად ვგრძნობ. უცებ ტელეფონი რეკავს. ეს **ეჟენ საკომანოა** რადიოსადგურ EUROPE 1-დან.

- ვაჟბატონო, მაშ, ახლა ბონიპერტის კაბინეტში ზიხარ?! შესანიშნავია, მიშელ, მადლობა. ჩათვალე, რომ სენსაცია განაღდებული მაქვს!

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მეხი დამეცა. მან აქაც მომძებნა, არადა, იტალიურმა პრესამ არაფერი იცოდა ჩემი ტურინში ვიზიტის შესახებ. მან ეს ყველაფერი „წითელი ტელეფონის" წყალობით მოახერხა. ეს არის გადაცემა იმ რადიომსმენელებისთვის, რომლებიც ნებისმიერი სირთულის გამოძიებას ჩაატარებენ EUROPE 1-ის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოს - 500 ფრანკის სანაცვლოდ. საკომანის ტელეფონით შეატყობინეს ჩემი ვოიაჟის შესახებ. წყეული შერლოკ ჰოლმსი!

შინ **კრისტელს** ვურეკავ: *„არ ინერვიულო. ყველაფერი კარგად მიდის. შეთანხმებას მივაღწიეთ".*

ვგრძნობ, რომ ის სადღაც შორს არის და გონება აქვს გაფანტული. მოგვიანებით შევიტყვე, რომ იმ მომენტში ჩვენი სახლის მისაღებში მას ორი სტუმარი ჰყავდა - **კლოდ ბეზი და დიდიე კუეკუ**. „ბორდოს" პრეზიდენტი და მისი სპორტული დირექტორი ჩემს სახლში მოულოდნელად, წინასწარი გაფრთხილების გარეშე აღმოჩდნენ. ისინი თავიანთი კოზირის გასათამაშებლად მოვიდნენ. საბოლოოდ აპირებდნენ ჩემს გადაბირებას და ჟირონდაში გადაყვანას. კრისტელი თავს უხერხულად გრძნობს. თავს ისე იჭერს, თითქოს არ იცის საიდან ვურეკავ. რამდენიმე საათის განმავლობაში ათას ეშმაკურ ხერხს მიმართავს დროის მოსაგებად.

მე მზად ვარ „იუვენტუსთან" კონტრაქტზე ხელის მოსაწერად, მაგრამ მოულოდნელად ერთი წინაღობა წარმოიქმნება.

საფრანგეთის ნაკრები... მისი ღირსების დაცვა ნებისმიერი ფრანგი პროფესიონალი ფეხბურთელის სურვილია. არამარტო სურვილი, სანუკვარი ოცნებაც კი. ყველანი მზად არიან, ამ ოცნებისთვის ჯიუტად იბრძოლონ, განსაკუთრებით მაშინ, როცა რომელიმე უცხოურ კლუბში გადადიან სათამაშოდ. აქ, ტურინში, იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ეს „სენტ ეტიენსა" თუ „ნანსიში" ხდებოდა, მზად ვიყავი საფრანგეთის ნაკრებისა ინტერესების დასაცავად, რადგან არასოდეს დამვიწყებია ერთი მთავარი ცნება: რომელი კლუბის მაისურიც არ უნდა ჩავიცვა, ჩემს გულს ყველაზე მეტად „სამფეროვანთა" მაისურა ახარებს.

და თან საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი ვარ, საკუთარი სამშობლოს საფეხბურთო არმიის მთავარსარდალი. რა გასაკვირია, რომ პირველ რიგში მას ვანიჭებ უპირატესობას. ვამაყობ იმ 34 მატჩით, რომელიც ამ გუნდის რიგებში ჩავატარე, იმ 20 გოლით, რომელიც საფრანგეთისთვის გავიტანე და ჩემი კაპიტნის სამკლაურით. ამაყი ვარ იმით, რომ შემიძლია ამ გუნდს ვემსახურო. საფრანგეთის ნაკრებისადმი რაღაცნაირი სენტიმენტალური გრძნობები მაკავშირებს.

- ჩვენ წელიწადში სამჯერ მოგცემთ ნაკრებში გამგზავრების უფლებას და ეს მხოლოდ ოფიციალურ მატჩებზე მოხდება...

- არა, მე ეს არ მაკმაყოფილებს. ჩემი მწვრთნელის მიშელ იდალგოს გამოძახებების დროს, თავისუფალი არჩევანის საშუალება უნდა მქონდეს...

**ჟენესტარი** მხარს მიჭერს. და ისევ საუბრის ტონი მაღლდება. საბოლოოდ, ბერნარი აფეთქდა და უხეშად წამოიძახა: *„მიშელი მზად არის უარი თქვას კონტრაქტზე. ჩვენ საფრანგეთში ვბრუნდებით".*

რამდენიმე წამი სრულმა სიჩუმემ დაისადგურა, ბუზის გაფრენის ხმაც კი ისმოდა. და აი, ამ დროს, ბონიპერტის სახეზე ნაძალადევ ღიმილს ვამჩნევ. პრეზიდენტი თანხმდება ჩვენს პირობას. ბერნარი თავის ოქროს კალამს მიწვდის. კონტრაქტის ყველა ეგზემპლარს ვაწერ ხელს და ვგრძნობ, თუ რამხელა ლოდი მომეხსნა გულიდან. ბონიპერტიც ვერ მალავს კმაყოფილ ღიმილს.

- თუ ჟულიანომ ამ საუბრისას თავი მოგაბეზრათ, ეს თქვენი წყობიდან გამოსაყვანად არ გაუკეთებია, უბრალოდ სამუშაო აქვს ასეთი. ის თავისი საქმის უდიდესი პროფესიონალია... მორჩა, ახლა ყველაფერი დასრულებულია. იქნებ თითო ჭიქა ღვინო გადავკრათ? ან ფორთოხლის წვენი? ვისკი?

- არა, პრეზიდენტო, მხოლოდ შამპანური!

როცა „ასტის" შამპანურით სავსე ჭიქებს ვცლიდით, ბეზი და კუეკო სენტ ეტიენს ტოვებდნენ. ისინი ბორდოში ხელცარიელები ბრუნდებოდნენ, მათი მისია სრული კრახით დასრულდა.

19 საათი. საგანგებო ინფორმაცია რადიოში: *„პლატინი „იუვენტუსში" ითამაშებს"*. ბეზი და კუეკო ამ თამაშში ბოლომდე პატიოსანი რჩებიან და კრისტელს რომელიღაც ბენზინგასამართი სადგურიდან ურეკავენ: *„შესანიშნავია! ჩვენ ნაწყენები არ ვართ. ვუსურვებთ მიშელ პლატინის ევროპის ჩემპიონობას!"*

მე ვფიქრობ იმაზე, რომ შევძელი ჩემი პირობების დაცვა: მთლიანად საფრანგეთის ნაკრების სამსახურში ვრჩები. წინ მსოფლიოს ორი ჩემპიონატი მელის, ერთი სულ მალე - 1982 წელს, მეორე კი ოთხი წლის შემდეგ გაიმართება. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი მკაცრი და მიზანმიმართული ვიქნებოდი ის საკითხში, რასაც საფრანგეთის ნაკრებში ნებისმიერ დროს თამაში ჰქვია. როგორც ჩანს, წინასწარ ვგრძნობდი, რა ფანტასტიკური თავგადასავლები ელოდა საფრანგეთის ნაკრებს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში.




*(გაგრძელება იქნება)*

გია **თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპარლამენტო კომიტეტში



# შედეგები შეჯამდა, ველით კონცეფციას

ლონდონელმა ექსპერტებმა, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ ბავშვთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში სიახლეების დანერგვის რეკომენდაციების და კონცეფციის შესამუშავებლად, გუშინ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში შედეგების შეჯამების პრეზენტაცია მოაწყვეს. პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტისა და ამ კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან ერთად, შეჯამებას ესწრებოდნენ აგრეთვე სპორტის, განათლების, ჯანდაცვის სფეროსა და იუნისეფის წარმომადგენლები.

ექსპერტები ადგილებზე გაეცნენ მოზარდთა ფიზიკურ განათლებასა და სპორტში სკოლების, სპორტსკოლების, კლუბების, ფედერაციების საქმიანობას; შეხვდნენ სპორტის, განათლებისა და ჯანდაცვის მაღალჩინოსნებს. ხედვა, რომლებიც სტუმრებმა წარმოადგინეს, პრაქტიკულად განხორციელების შემთხვევაში, მკვეთრად გამოასწორებს ამ მიმართულებით ქვეყანაში შექმნილ არასახარბიელო მდგომარეობას. იმედს კი ის იძლევა, რომ ჩვენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რომლებიც ქმნიან და ახორციელებენ დარგის პოლიტიკას, მომწიფებულია აზრი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

გამოითქვა სურვილი, რომ ლონდონელმა ექსპერტებმა **ალან ბოლმა** და **ნიკოლას პინკმა**, რომლებმაც მაღალი კომპეტენტურობა გამოავლინეს, მომავალშიც არ გაწყვიტონ საქართველოსთან ურთიერთობა და დაეხმარონ ჩვენი ქვეყნის სპეციალისტებს პრობლემების ბოლომდე დაძლევაში. რაზედაც სტუმრებმა უპასუხეს, რომ ეს დამოკიდებულია ქართული მხარის სურვილზე და იუნისეფის პოზიციაზე, რომლის უშუალო თანადგომით ჩამოვიდნენ ექსპერტები თბილისში.

წარმოდგენილი რეკომენდაციების განხილვისას, მადლობის სიტყვებთან ერთად, კრიტიკული შენიშვნებიც გამოითქვა. პარლამენტის კომიტეტის საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა **ვაჟა შუბლაძემ** 12 პუნქტად ჩამოაყალიბა თავისი შენიშვნები, რომლის გაუთვალისწინებლად სრულყოფილი ვერ იქნება ვერც რეკომენდაციები და საბოლოო ჯამში ვერც კონცეფცია. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ შენიშვნები სამართლიანია, რაც უთუოდ იქნება გათვალისწინებული.

სხდომის შედეგები შეაჯამა პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **გიორგი ასანიძემ**.

**თენგიზ თომაშვილი**

ჭიდაობა

# რამაზ ნოზაძე: მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზად ვიქნები

**ათენის ოლიმპიადის მეორე პრიზიორმა, ორგზის ევროპისა და 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა რამაზ ნოზაძემ შარშან კონტინენტის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე კი კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდა, რასაც ობიექტური მიზეზები ჰქონდა: ქართველმა ფალავანმა ჯერ კიდევ შარშანწინ დაიზიანა მკერდის კუნთი, 2008 წელს კიდევ ორი ტრავმა დაემატა და, ფაქტობრივად, სეზონი ჩაუვარდა. წლის მიწურულს ბადრი ხასაიასთან ერთად კიევს გაემგზავრა და იქაურ ცნობილ კლინიკაში ოპერაციები გაიკეთა. მას შემდეგ სარეაბილიტაციოდ დიდი დრო არ არის გასული, ამიტომ გამიკვირდა, ამას წინათ ინტერნეტით გავრცელებულ ინფორმაციას რომ გავეცანი — ნოზაძემ ირანის საკლუბო ჩემპიონატში უნდა იასპარეზოსო. რეალობის გასარკვევად რამაზს ფალავანთა კლუბში ვეწვიე და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ერთად სამომავლო გეგმებზეც ვესაუბრე.**

— ოპერაციები შარშან ნოემბერ-დეკემბერში გავიკეთე. მთელი თვის განმავლობაში ხელებს ვერ ვამოძრავებდი, რბენაც მიჭირდა, რადგან სწრაფი მოძრაობისას გულმკერდის არესა და კიდურებზე ძლიერ ტკივილს ვგრძნობდი.

საბედნიეროდ, აღდგენითმა პერიოდმა კარგად ჩაიარა. სპეციალური ვარჯიშების შემდეგ ნელ-ნელა აქტიურ წვრთნაზე გადავედი. ორი კვირაა, ხალიჩაზეც ვამუშავებ ფანდებს, ვცდილობ, დატვირთვებს არ მოვერიდო, თუმცა მარცხენა ხელი ჯერ ისევ მაწუხებს.

**— მახსოვს, შარშან მინსკში საწვრთნელი შეკრებისას ფეხის კუნთიც გაგიწყდა...**

— სამწუხაროდ, ეს ოლიმპიადამდე ორიოდე კვირით ადრე მოხდა. აღდგენა ვერ მოვასწარი. პეკინიდან დაბრუნების შემდეგ ექიმებმა ტრავმა უოპერაციოდ — მკურნალობითა და სპეციალური ვარჯიშებით მომირჩინეს. ამ მხრივ, თავს ნორმალურად ვგრძნობ.

**— სპარსელები ამბობენ, ჩვენს საკლუბო ჩემპიონატზე უნდა იჭიდაოსო. მართალია?**

— თეირანიდან მართლაც დამირეკეს, ოღონდ კლუბის სახელი არ მახსოვს — შენ და 55 კილოში სომეხი ამოიანი მოგიწვიეთ და ხომ ჩამოხვალთო. უარი ვუთხარი, ნაოპერაციევი ვარ და ვერ შევძლებ-მეთქი. მაინც დაგელოდებითო. ნეტავ, ჩვეულ სპორტულ ფორმაში ვიყო და როგორ არ ვიასპარეზებდი. ისე, დგომში ჭიდაობა ახლაც შემიძლია, მაგრამ ჩოქბჯენში გამიჭირდება — თავს ხეირიანად ვერ დავიცავ, საამისოდ ჯერჯერობით ენერგია არ მეყოფა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვებასაც ხომ არ აპირებ?**

— ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბეგი დარჩიასთან ერთად ყველაფერს ვაკეთებ, რათა რაც შეიძლება მალე ჩავდგე მწყობრში, თუმცა ფორსირებულ მომზადებას ვერიდებით, ამიტომ გივი კარტოზიას სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ვერ გამოვალ, სამაგიეროდ, მზად ვიქნები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელსაც სექტემბერში დანია უმასპინძლებს. მანამდე საწვრთნელ შეკრებებსაც სრულფასოვნად გავივლი და რამდენიმე შეჯიბრებაზე ძალების მოსინჯვასაც მოვასწრებ.

**— მეტოქეებსაც დაზვერავ...**

— არა მგონია, მანამდე ახალი ვინმე გამოჩნდეს, ძველებიდან კი ყველასთან მიჭიდავია და მათი შესაძლებლობები ვიცი. წლეულს ევროპის ჩემპიონატსაც დავესწარი და ძირითად მოწინააღმდეგეთა სიახლეებსაც გავეცანი. ფავორიტი, ალბათ, რუსი ხუშტოვი იქნება.

**— ეგვიპტელი ქარამი?**

— ჩემი არ იყოს, პეკინში ისიც ვადამდე დაემშვიდობა ოლიმპიადას. მას შემდეგ იბრაჰიმზე არაფერი მსმენია. არც ვიცი, მსოფლიოზე თუ გამოვა. გამიხარდა, რომ ჭიდაობის წესებში რამდენიმე ცვლილება შეიტანეს: უწინდელივით მხოლოდ ერთ ფალავანს არ გაუღიმებს ფორტუნა წილისყრით. ახლა თითო პერიოდში თითო მოჭიდავეს ეძლევა ჩოქბჯენში უპირატესობა, ამიტომ ის გაიმარჯვებს, ვინც უკეთ არის საამისოდ მომზადებული. ვნახოთ, დრო ვის წისქვილზე მიუშვებს წყალს. ჩემი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებ, რათა დანიაში კვლავ გავახარო ქომაგები.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია (მარცხნივ) და რამაზ ნოზაძე მორიგი წვრთნის შემდეგ

სპორტული ცეკვები

# სილამაზის მეჯლისი... ძიუდოს დარბაზში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



პრესკონფერენციაზე. მარცხნიდან: დავით ნამგალაური, ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეები

ოლიმპიური ჩემპიონის **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში დღეს დაიწყება და ზეგ დამთავრდება სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებში კავკასიის თასის გათამაშება და ღია საერთაშორისო ტურნირი, 9 ქვეყნის 500-ზე მეტი წარმომადგენლის მონაწილეობით. შეჯიბრება 1996 წლიდან იმართება.

— წინა ცამეტ გათამაშებაში „კავკასიის თასი" თბილისს არ გასცილებია, მისი უცვლელი მფლობელები ვართ, — აღნიშნა გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა **თენგიზ გაჩეჩილაძემ**. — უწინ თასისთვის სამიოთხი გუნდი თუ იბრძოდა, ახლა შვიდი გუნდი იასპარეზებს, მათ შორის — ხუთი საქართველოდან. თითო გუნდს აზერბაიჯანელები და სომხები გამოიყვანენ.

ადრე პარალელურად აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატიც ტარდებოდა. წლეულს უფულობის გამო უარი ვთქვით, სამაგიეროდ, მედლები ღია საერთაშორისო ტურნირში ევროპულ და ლათინურ ამერიკულ ცეკვებში გათამაშდება.

მონაწილეთა შორის ფავორიტებიც იქნებიან. უპირველესად უკრაინელები — **მაქსიმ ლიტიუშკინი** და **ეკატერინა იოვიკი** უნდა გამოვყოთ. ეს წყვილი მესამედ გვეწვია. შარშან მათ ლათინურ ამერიკულ ცეკვებში პირველი ადგილი დაიკავეს. წლეულს, სავარაუდოა, რომ მათ მედგარ მეტოქეობას გაუწევენ მოსკოველები — **ალექსანდრ მორდვინცევი** და **დინა ახმედგარევა**, ლატვიელები — **დანიილ კუტუზოვი** და **ვიქტორია პუკოვიკა**, თბილისელები — **ლევან ახვლედიანი** და **მარი ბეჟიაშვილი, რევაზ რობაქიძე** და **სოფიო ლაშხი, რატი გაჩეჩილაძე** და **თინათინ ჯაბანაშვილი, გენადი ცინკევიჩი** და **მზია ორველაშვილი** და სხვები. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრები სამი დღის განმავლობაში სილამაზის მეჯლისის მოწმენი გახდებიან...

პრესკონფერენციას ესწრებოდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**, რომელმაც სპორტულ მოცეკვავეებს თანადგომა აღუთქვა.

შეჯიბრებები პარასკევს, შაბათსა და კვირას 11 და 18 საათზე დაიწყება.

**ვაჟა დანელია**

ალპინიზმი

# ქართან ბრძოლა

7 მაისის შემდეგ არაფერი ისმოდა რუსი **სერგეი ბოლოტოვის** ექსპედიციის შესახებ, რომელიც დედამიწის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალს მანასლუს (8163) უტევს. შეგახსენებთ, რომ ექსპედიციაშია ქართველი ალპინისტი **ბიძინა გუჯაბიძე**. და აი, **სერგეი ბოგომოლოვის** მეშვეობით სიახლე შევიტყვეთ - გუნდის ხუთ წევრს (თუმცა არ კონკრეტდება ვის) უცდია მწვერვალის ქვეშ პლატოზე გასვლა, მაგრამ საშინელ ქარს უმძლავრია და ალპინისტებს განზრახვაზე ხელი აუღიათ. მათი SMS პესიმისტურია: „ყველანი დავეშვით საბაზო ბანაკში. ერთი იმის იმედი გვაქვს, რომ გამოიდარებს და მეხუთედ შევუტევთ მწვერვალს".

მანასლუს სხვებიც უტევენ, მაგრამ საბაზო ბანაკში ისე თოვს, ყოველდღე კარვების „ამოთხრა" ესაჭიროებათ. **ნიკ რაისი** და **მარიო პანცერი** იტყობინებიან, რომ არ აპირებენ მარცხთან შეგუებას, ამასობაში ესპანელი **კარლოს პაუნერის** გუნდი ამინდის პროგნოზს ელოდება და თუკი მეტეოროლოგები გამოდარებას არ იწინასწარმეტყველებენ, პაუნერი შინ წასვლის განკარგულებას გასცემს. რაისმა ახსენა ბოლოტოვის ექსპედიცია და დააყოლა, რომ ისინიც დიდ ბჭობაში არიან, გააგრძელონ ბრძოლა თუ მარცხი აღიარონ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თავისუფალი ჭიდაობა

# ანთალიაში იჭიდავებენ

15-17 მაისს ანთალიის „დილეკ საბანჩის სპორტ ჰოლი" უმასპინძლებს საერთაშორისო ტურნირს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებს შორის. გუშინ ეს ტრადიციული ტურნირი საზეიმოდ გაიხსნა. მონაწილეობენ: მასპინძელი, ქართველი, ბულგარელი, რუსი, ირანელი, უნგრელი, ყაზახი, უზბეკი, რუმინელი, მაკედონიელი, უკრაინელი და ამერიკელი მოჭიდავეები.

თურქეთში თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრა: **ლაშა ლომთაძე** (50 კგ), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მურთაზ კვესაძე, გიორგი მაყიშვილი** (60), **ზაურ აბრამაშვილი, დავით ხუჭუა** (66), **გიორგი გაბისიანი, დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი, ბექა ჭელიძე** (84), **ელიზბარ ოდიკაძე, თორნიკე ხიდეშელი** (96), **ლევან ბერიანიძე, გიორგი საკანდელიძე** (120). დღეს იჭიდავებენ 50, 66 და 96 კგ. წონით კატეგორიებში, ხვალ - 55, 74 და 120, ხოლო ტურნირის ბოლო დღეს - 60 და 84 კილოში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# ტაბლოს ახედა და წავიდა

**ქარიშხლა-რუსთავი 35:22 (12:6)**

ქარიშხალა: ტორონჯაძე, გოგალაძე (10), სილაქაძე (1), მელქოშვილი, ყიფიანი (7), ჯორბენაძე (5), ჩოლოგაური (1). ფერაძე (4), ქვლივიძე, სურმავა (1), ჩიკვილაძე (2), სოხაძე (4), ყაზაიშვილი

რუსთავი: ჯანგიძე, ბეჟანიშვილი, ჩუბინიძე (2), მუმლაძე (2), შეყელაშვილი (4), მძელური (7), დვალიშვილი (2). ღონიაშვილი, გვარამაძე, კახურაშვილი (4), დარჩიაშვილი, ჩუთლაშვილი, ტურაშვილი (1)

მსაჯები: ინა ჭკუასელი, თამარ არჩაია

**თბილისი-ქუთაისი 47:17 (26:9)**

თბილისი: ანდრიაძე, ქარდავა (7) კალანდაძე (2), ნივნივაძე (3), ღლონიძე, თევზაძე (3), ქუთათელაძე (6). მაისურაძე (5), იობაშვილი (11), ყაველაშვილი (9), გელაშვილი (1)

ქუთაისი: შიშინაშვილი, გ. გობეჯიშვილი (1), დარსაველიძე, გოგონაძე (2), ცერცვაძე (5), დოლაკიძე (4), მაისურაძე. ადამია (3), ჩხეიძე (1), ძოძუაშვილი (1)

მსაჯები: ელენე არაბული, თამარ არჩაია

**სპარტაკი-სამტრედია 24:33 (12:17)**

სპარტაკი: გონჩაროვი, ჟღენტი (5), ბესტავაშვილი, ზუბიაშვილი (4), წურიაშვილი, აბუჩაძე (4), ფორაქიშვილი (5). მამაცაშვილი (3), სამადაშვილი (1), ხაბაზიშვილი (2), ქოქოშვილი

სამტრედია: დუნდუა, ხუნჯუა (12), ხონელიძე, გამზარდია (2), ქავზინაძე (5), ნიკურაძე (5), წითელიშვილი (6). გოგიშვილი (3), მეგრელიშვილი, კიკნაძე, ნიკოლეიშვილი

მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ჭკუასელი

გუშინ, ქუთაისში ვაჟ ხელბურთელთა მე-19 ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურის ბოლო შეხვედრები გაიმართა, რასაც სატურნირო ცხრილში დიდი ცვლილებები არ გამოუწვევია. ერთადერთი აღსანიშნავი ისაა, რომ „სპარტაკთან" გამარჯვების შემდეგ „სამტრედია" ცხინვალელებს საგრძნობლად წამოეწია და ახლა მას მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება. სხვა შეხვედრები კი როგორც მოსალოდნელი იყო, ლოგიკური სცენარით განვითარდა. საქართველოს „მარადმწვანე" ჩემპიონის „სტუ-შევარდენის" გარეშე, რომელიც ფინანსური პრობლემების გამო დაიშალა, ჩემპიონატს პენი აქვს დაკარგული. ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტს „თბილისს" მხოლოდ „ქარიშხალა" თუ გაუწევს მეტ-ნაკლებ წინააღმდეგობას. ამ გუნდში „სტუ-შევარდენის" ყოფილი ხელბურთელები **ილია გოგალაძე, ნიკოლოზ ჯორბენაძე, ზურაბ მელქოშვილი, ამირან ყიფიანი, გიგა ტორონჯაძე** და **ბექა ჩიკვილაძე** თამაშობენ. მოკლედ, „ქარიშხალა" გამოცდილი ხელბურთელების ნაკლებობას არ განიცდის და ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მისგან სიურპრიზებს უნდა ველოდეთ. **ბექა ორჯონიკიძის** გუნდმა გუშინ აუტსაიდერ „რუსთავთან" დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა. თბილისელები თავიდანვე სოლიდურად დაწინაურდნენ - 9:1 და მოსაწყენ თამაშში იოლ გამარჯვებას მიაღწიეს.

გუშინ, ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგო გათამაშების ლიდერმა „თბილისმა", რომელმაც მესამე ტურის მასპინძელი „ქუთაისი" დაამარცხა - 47:17. თავიდანვე ნათელი იყო, რომ ქუთაისელები, რომლებმაც საგაზაფხულო ეტაპის წინა ორი შეხვედრაც წააგეს, საქართველოს ვიცე-ჩემპიონს ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ იმერლებს ორი წამყვანი მოთამაშე **ეროსი მამასახლისი** და **დავით გობეჯიშვილი** არ ჰყავდათ და თბილისელებმა ზედმეტი ოფლის ღვრის გარეშე შეძლეს მათი დამარცხება. მეორე ტაიმის მიმდინარეობისას სპორტის სასახლეში ქუთაისის მერი **ნუგზარ შამუგია** და ქალაქის სხვა ხელმძღვანელი პირებიც მივიდნენ, მაგრამ ტაბლოზე ანგარიში რომ ნახეს დარბაზში დიდხანს არ გაჩერებულან.

„სამტრედიამ" პირველ შეხვედრაში დამარცხებისთვის (26:31) „სპარტაკზე" შური იძია და დაძაბულ პაექრობაში უშუალო კონკურენტი 33:24 დაამარცხა. თავიდან თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, მაგრამ ცხინვალელებმა ვერაფერი მოუხერხეს სამტრედიელთა ფოთელ მოთამაშეებს **ჯუმბერ ხუნჯუას** და **უჩა გამზარდიას**. ეს უკანასკნელი კარგად წარმართავდა თამაშს, ხუნჯუა კი დამაგვირგვინებელ ფაზაში გამოირჩეოდა. წინადღეს მან „ქუთაისთან" 12 გოლი გაიტანა და ეს შედეგი გუშინაც გაიმეორა. მთელი მატჩის განმავლობაში „სამტრედია" წინ იყო, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე ცხინვალელებს თამაშის გადარჩენის შანსი მიეცათ. მათ ერთ ბურთამდე შეამცირეს სხვაობა 21:22, თუმცა ძალები აღარ ეყოთ და გაცილებით ახალგაზრდულმა და აქტიურმა „სამტრედიამ" დაღლილი მეტოქე საბოლოოდ 9 ბურთის სხვაობით დაამარცხა.

მესამე ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

**1. თბილისი-27ქ, 2. ქარიშხალა-19, 3. სპარტაკი-16ქ, 4. სამტრედია-15ქ, 5. ქუთაისი-6ქ, 6. მამული-3ქ, 7. რუსთავი-3.**

მომდევნო ტური 27-31 მაისს თბილისში გაიმართება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან


## ოლიმპიურ თემატიკაზე 2009 წლის ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის ჩატარების პირობები

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ) ატარებს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსს ოლიმპიურ თემატიკაზე.

კონკურსი მოიცავს 2 ეტაპს: I ეტაპი გულისხმობს სეოკ-ის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს [illegible], კონკურსის ეროვნულ დონეზე ჩატარებას, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

II ეტაპი — I ეტაპში გამარჯვებული მასალების საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტში (სოკ) გაგზავნას, საერთაშორისო კონკურსში განსახილველად.

კონკურსი ტარდება 2 ასაკობრივ ჯგუფში:

I ჯგუფი - 12 წლამდე ასაკის მოზარდები, რომელთაც 12 წელი უსრულდებათ 2009 წლის 31 აგვისტომდე.

II ჯგუფი - 12-18 წლამდე ასაკის მოზარდები, რომელთაც 18 წელი უსრულდებათ 2009 წლის 31 აგვისტომდე.

კონკურსი ჩატარდება შემდეგ თემატიკებზე:
საკუთარი მეს საუკეთესოდ წარმოჩენა;
მეგობრობა;
ურთიერთპატივისცემა.

ნამუშევრები უნდა გამოხატავდეს ოლიმპიურ სულისკვეთებას და წარმოდგენილ იქნას მოთხრობის, ლექსის, ესეს, კომპოზიციის ან ნახატის სახით.

წარმოდგენილი ლიტერატურული მასალის ძირითადი უპირატესობა იქნება მისი ლაკონიურობა (მაქსიმუმ ოთხი A4 ფორმატის ფურცელი), სიზუსტე, კომპოზიცია. ნახატის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 50X50 სმ.

I ეტაპის კონკურსი ჩატარდება 2 ტურად: სასკოლო და დასკვნითი ტურები.

სასკოლო ტური ყველა სკოლაში ჩატარდება 2009 წლის 23 მაისს;

სასკოლო ტურის ორგანიზებას (მოსწავლეთა ინფორმირება, მათი კონსულტაციები, კომისიის შექმნა, გამარჯვებულის გამოვლენა) უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია;

თითოეული სკოლა, 6 ივნისამდე სეოკ-ს წარუდგენს არა უმეტეს 3 საუკეთესო ნაშრომს. ნაშრომი შეიძლება გაიგზავნოს ფოსტით ან წარდგენილი იქნას პირადად შემდეგ მისამართზე: 0171 თბილისი, დოლიძის ქ. 2

მასალას თან უნდა ახლდეს კონკურსანტის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, სასწავლებელის სახელწოდება, ტელეფონის ნომერი და ერთი ფოტოსურათი (6X9).

სეოკ-ში შექმნილი ჟიური, თემატიკის მიხედვით თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში გამოავლენს 3 საუკეთესო ნაშრომს, რომელიც გაიგზავნება სოკ-ში;

პირველ ადგილზე გასული თემების ავტორები დაჯილდოვდებიან სოკ-ის სპეციალური პრიზებითა და დიპლომებით. II და III ადგილზე გასულ მონაწილეებს გადაეცემათ სოკ-ის სპეციალური დიპლომები.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
0171 თბილისი, დოლიძის ქ. 2. ტელ: 36 57 26; 36 57 22

R


რაგბი

ტრანსფერები

# გიორგი ჩხაიძე მონპელიეში გადაბარგდა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისა და პარიზული „მეტრო რასინგის" მესამეხაზელმა **გიორგი ჩხაიძემ,** ელიტური პირველი დივიზიონის კლუბ „მონპელიესთან" გააფორმა ორწლიანი ხელშეკრულება.

ჩხაიძემ წლევანდელი სეზონი მეორე დივიზიონში მოასპარეზე კლუბში გაატარა. პარიზელებმა პირველ დივიზიონში თამაშის უფლება რეგულარული გათამაშების დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე მოიპოვეს, რაშიც „ბინგოს" წვლილი დიდია. მიუხედავად ამისა, „მეტრო რასინგის" სახელგანთქმული მწვრთნელი **პიერ ბერბიზიე** ჩვენებურს მაინც შეელია.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად „მონპელიეში" საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გორგოძე** ასპარეზობს, რომელმაც გუნდთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა. „მონპელიეში" მათ გარდა კიდევ სამი ქართველ მორაგბეს უთამაშია, ესენი არიან: **მამუკა მაგრაქველიძე, სოსო ნიკოლაენკო და დავით ქუბრიაშვილი.**

სამწუხაროდ, მონპელიელი ქართველები - გორგოძე და ჩხაიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ივნისში გასამართავ ჩერჩილის თასის გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, რადგან პირველი დივიზიონის კლუბები წლეულს ახალი სეზონისთვის მზადებას უჩვეულოდ ადრე იწყებენ და მორაგბეებს სეზონებს შორის დასასვენებლად ფაქტობრივად დრო არ რჩებათ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინტერვიუ მერაბ კვირიკაშვილთან

# ან ვალანსი, ან...

**სეზონი** ფედერალ 1-ის პლეი ოფის მეოთხედფინალში დაასრულა საქართველოს ნაკრების ფულბეკის მერაბ კვირიკაშვილის „მასიმ". პარიზელთა ეს გუნდი მესამე წელია ელიტურ მეორე დივიზიონში გადასვლისათვის იბრძვის, მაგრამ წინ წასვლას ვერაფრით ახერხებს. მეტიც, როგორც გაირკვა, ფინანსური პრობლემების გამო გუნდს ბევრი წამყვანი მორაგბე ტოვებს. მათ შორისაა „მეკოც", რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება და თავად წვრილად მოგვითხრო ქართულ-ფრანგული სარაგბო ცხოვრების ამბები:

- პლეი ოფის მეოთხედფინალში ჩვენი გუნდის მარცხი სავსებით ლოგიკური იყო. თუმცა, ცხადია, შეგვეძლო, თანაც ძალიან რეალურად გამარჯვების მიღწევაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე დივიზიონში მაინც ვერ გადავიდოდით, რადგან კლუბს სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნა. ბევრმა სპონსორმა უარი თქვა დაფინანსებაზე და ჯამში „მასიმ" წლეულს 900 ათასი ევრო დაკარგა.

**- გამოდის, ეს წლობით ნაშენები გუნდი ერთი ხელის მოსმით დაინგრევა?**

- ასეა, ფინანსური კრიზისი მკვეთრად დაეტყო ჩვენს კლუბს. გუნდი ათმა წამყვანმა მორაგბემ დატოვა. მეც მითხრეს, მომავალი სეზონისთვის დიდ მიზნებს არ ვისახავთ და თუ ასეთ გუნდში თამაშის სურვილი არ გაქვს, შეგიძლია, უკეთესი გუნდი მოძებნო. ჩვენ პრობლემას არ შეგიქმნითო.

**- რა გადაწყვიტეთ, ტოვებთ „მასის"?**

- რა თქმა უნდა. ვეცდები, უკეთესი გუნდი მოვძებნო. მენეჯერს უკვე მივმართე. დაახლოებით ორ-სამ დღეში უნდა დამიკავშირდეს და კონკრეტული წინადადება შემომთავაზოს. სავარაუდოდ, ეს მეორე დივიზიონის რომელიმე კლუბი იქნება. ვნახოთ, თუ პირობები უკეთესი იქნება, რატომ არ უნდა დავთანხმდე?

**- „მასის" სხვა ქართველი მორაგბეები რას აპირებენ?**

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შალვა სუთიაშვილი და რეზო გიგაური „მასიში" დარჩებიან და მომავალ სეზონსაც აქ გაატარებენ. დავით დადუნაშვილს კი „პერიგო" ეპატიჟება, რომელიც ამჟამად პლეი ოფში თამაშობს და მეორე დივიზიონში გადასვლის კარგი შანსი აქვს.

**- „მასის" მწვრთნელი ვიქტორ დიდებულიძეა, ისიც ამ კლუბში გააგრძელებს სამწვრთნელო კარიერას?**

- ვიქტორიც სავარაუდოდ „მასიში" დარჩება. თუმცა ალბათ ყველაფერი მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, რა დონის გუნდის შექმნის საშუალება მიეცემა.

**- ფინანსური კრიზისი მარტო „მასის" შეეხო თუ ეს საფრანგეთის ზოგადი პრობლემა გახდა?**

- ფინანსური კრიზისი მეტ-ნაკლებად ყველა კლუბს შეეხო. ზოგს საგრძნობლად დაეტყო. ზოგი კი, პრობლემებს ისე გაუმკლავდა, არც შეიმჩნია, თუ რამე უჭირდა. ფინანსური პრობლემების გამო ბევრ ქართველ მორაგბეს გუნდი საძებნი გაუხდა.



მაგალითად, ირაკლი აბუსერიძემ „ორლეანი" დატოვა და ახალი გუნდის ძიებაშია. მე და აბუმ ფედერალ 1-ის გუნდიდან „ვალანს დაჟენიდან" წინადადებაც მივიღეთ. მომავალ სეზონში მეორე დივიზიონში გადასვლას ვგეგმავთ. ამიტომ, ცხრა და ათ ნომერზე სათამაშოდ თქვენი წყვილის მოწვევა გვინდაო. ვნახოთ, მე უარი არ მითქვამს. თუ რაიმე უკეთესი არ გამოჩნდა, ადვილი შესაძლებელია, ვალანსელთა წინადადება მივიღოთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ძიუდო

# ლიპოს იპონები გერმანულ ბუნდესლიგაში

ყველანაირად „დავარცხნილი" და მოვლილი ქვეყანაა გერმანია, ისეთი, თეთრი შურით რომ შეგშურდება კაცს. ეს ამ ქვეყნის სპორტულ სამყაროსაც ეხება, ყველაფერი გამართულად მუშაობს, წუნს ვერაფერში დასდებ. ძიუდოს საკლუბო სისტემაც ასეთივე აწყობილია, ბუნდესლიგაში 16 გუნდი მონაწილეობს ორ ზონად (ჩრდილოეთი და სამხრეთი), მეორე ბუნდესლიგაშიც 16 გუნდია. ბუნდესლიგა ახლახან დაიწყო და მასში ქართველი ძიუდოისტებიც გამოდიან. ჩემპიონატში გამარჯვება 2 ქულად ფასობს, ფრე ქულას უტოლდება, არის კიდევ ქულების შეფარდება (საფეხბურთო ბურთების შეფარდების ანალოგი), რომელიც შესრულებული ილეთების მიხედვით გამოითვლება (მაგალითად, იპონი 10 ქულაა, ვაზარი - 7, იუკო - 5). ამ შეფარდებას იშველიებენ ცხრილში თანაბარქულიანი გუნდების შემთხვევაში. გუნდები ერთმანეთს 7 წონით კატეგორიაში ორ-ორჯერ ხვდებიან მატჩში გამარჯვებულის გამოსავლენად.

ჩვენთვის საინტერესო შეხვედრა სამხრეთის ზონაში „ეტლინგენსა" და „ესლინგენს" შორის შედგა. პირველ გუნდში **ბეთქილ შუკვანი** და **ლევან წიკლაური** ასპარეზობენ, მეორეში **ვარლამ ლიპარტელიანი** და **ლომერ ჟორჟოლიანი**. პირველ რაუნდში ბეთქილმა 66 კგ-ში იპონით წააგო **ფილიპ დანთან**, ხოლო ლევან წიკლაურმა და **ნიკ ჰეინმა** გამარჯვებული ვერ გამოავლინეს 81 კგ-ში. 90-ში ვარლამ ლიპარტელიანმა 3 წუთში იპონით მოუმთავრა საქმე **სიმონ ემჰარდს**. ლომერ ჟორჟოლიანი მძიმეში **დინო პფაიფერს** დაუზავდა. მეორე რაუნდში ბეთქილ შუკვანმა 60 კგ-ში მოსინჯა ძალა, მან ვაზარით **მათიას კლეეს** მოუგო. ჟორჟოლიანმა 100 კგ. წონით კატეგორიაში იპონით მოუგო დინო პფაიფერს. ლევან წიკლაურმა კი 90 კილოში აინაცვლა და ვარლამ ლიპარტელიანს დაეჭიდა, აქედან არაფერი გამოუვიდა, ქართული ძიუდოს ამომავალმა ვარსკვლავმა ზუსტად წუთსა და 11 წამში ბეჭებზე გააკრა თანამემამულე. საბოლოოდ მატჩი 6:6 დასრულდა, გუნდებმა თითო ქულა აიღეს. ქულათა შეფარდებაში კი „ესლინგენმა" იმარჯვა 55:44. მხოლოდ ლიპარტელიანმა გუნდს 20 ქულა შემატა, ჟორჟოლიანმა -15. შუკვანმა „ეტლინგენს" 7 ქულა შესძინა. ბუნდესლიგის მეორე ტურში წიკლაურისა და შუკვანის „ეტლინგენი" „გროსჰადერნს" ხვდება, ხოლო ლიპარტელიანისა და ჟორჟოლიანის „ესლინგენი" „ლაიპციგს" გაეჯიბრება. მეორე ბუნდესლიგაში „ბამბერგის" ღირსებას იცავს **ვანო კაკაშვილი**. „ლაიპციგ 1991-ში" გამოდის **ავთანდილ შოშიაშვილი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ტატიშვილმა ფავორიტთან დათმო

ფრანგულ სენ გოდენსში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი $) მერვედფინალში დამარცხდა საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (179). ანამ ვერაფერი დაუპირისპირა ტურნირის მეორე ჩოგანს, ჩეხ **პეტრა ჩეტკოვსკას** (78) - 2:6, 2:6. ჩეტკოვსკამ ჩვენებურს შარშან მაიამიშიც მოუგო, თუმცა მაშინ ანამ დიდი ბრძოლა გაუმართა მასზე 100 ადგილით წინ მყოფ ჩოგბურთელს. ამ ტურნირზე ანა ჩეხთან ორჯერ დამარცხდა, მან წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალიც დათმო ჩეტკოვსკასთან - 6:7 (4), 6:4, 5:10. ანას მეწყვილე კანადელი **შერონ ფიჩმენი** (202) იყო, ხოლო ჩეტკოვსკა ფრანგ **ვირჟინ პიშესთან** (454) ერთად თამაშობს.

ანთალიაში (10 ათასი $) **მანანა შაფაქიძემ** (723) მერვედფინალში მე-3 ნომრად განთესილ გერმანელ **კორინა პერკოვიჩთან** (421) დათმო - 3:6, 6:7 (3). წყვილებში მანანა ბელარუს **ვოლჰა დუკოსთან** (658) ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი. მათ ნახევარფინალში ბელგიელებთან **(მესტაში, ოიენი)** წააგეს - 7:6 (3), 4:6, 7:10. **ანა ჯიქიასა** და **ტატიანა გუსკოვას** დუეტმა მე-2 ნომრად განთესილ გუნდთან **(სულპიციო, კარერასი)** დათმო - 2:6, 1:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**კალათბურთი**

*საქართველოს XVIII ჩემპიონატი. ფინალი*

# ეს არის ფინალი, ბატონო?

## საკალათბურთო შუქნიშნების ქალაქი



ენერჯის ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯილა აკლია

14 მაისი. რუსთავი. ქიმიკოსების დარბაზი

**ენერჯი–საუ 104:70**

26:15, 31:12, 28:24, 19:19

ენერჯი: გამყრელიძე (21ქ, 3ჩ), ბაბიაშვილი (17ქ, 11მ), ლეჟავა (19ქ), დიდია (10ქ, 5მ), ცეკვავა (3ქ, 3პ), ტულუში (13ქ, 7მ, 5პ), უგრეხელიძე (10ქ, 6მ), არნივიძე (3ქ, 3პ), ტუჯანი (2ქ), ჭოჭუა (2ქ), დვალიშვილი (4ქ, 6მ), აბაიშვილი

საუ: გულისაბედაშვილი (5ქ, 10მ), ყველაშვილი (13ქ, 7მ), ბარბაქაძე (5ქ), მ. ბერიშვილი (16ქ, 2დ), მარხვაშვილი (3ქ), ნივნიაძე (14ქ, 4მ, 6პ, 4ჩ), ათანელიშვილი (11ქ, 6მ), ჩაჩიბაია, ბოქოლიშვილი (3ქ), ტყეშელაშვილი, გასიტაშვილი

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე

**სერიას იგებს ენერჯი: 2:0**

სათაურში მოყვანილი სიტყვები ერთ-ერთ გამოცდილ ჟურნალისტს ეკუთვნის. იგი სერიის მეორე ფინალის შემდეგ სამდივნო მაგიდასთან მივიდა, ოქმს დახედა და უხალისოდ დაიჩივლა – ეს არის ფინალი, ბატონო?

თუ თქვენც უკვე გადაიკითხეთ მატჩის ოქმი და საფინალო ანგარიშსაც თვალი შეავლეთ, ალბათ, ჟურნალისტს დაეთანხმებით... საქართველოს ჩემპიონატის დაწყებიდან დღემდე გულშემატკივარი ფინალურ სერიას ელის, იქ ხომ ორმა საუკეთესო კლუბმა უნდა ითამაშოს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ("ენერჯი") პირველ მატჩს 45 ქულის სხვაობით იგებს, მეორეს – 34-ქულიანი უპირატესობით (104:70).

საუ დებიუტანტია, მან მიზანს უკვე მიაღწია – ფინალში გავიდა, მაგრამ ახალგაზრდა, ნიჭიერი კალათბურთელებით დაკომპლექტებული გუნდისგან ერთ აფეთქებას მაინც მოველოდით. 0:2-ზე, მაშინ, როცა სერია სამ მოგებამდეა, საუ-ს ჩემპიონობის მოსაპოვებლად აფეთქება აღარ ეყოფა. თუმცა, მორიგი გასროლა "ენერჯისგან" უფრო მოსალოდნელი: *"დღეს სერიის მეორე მატჩი მოვიგეთ და იმედი მაქვს, რომ წლეულს რუსთავში დაბრუნება აღარ მოგვიწევს – ჩემპიონობას თბილისში მოვიპოვებთ"*, - თქვა „ენერჯის" გამთამაშებელმა **ლაშა გამყრელიძემ** 104:70 მოგების შემდეგ. 16 მაისს რუსთაველები თბილისში სერიის მესამე მატჩს გამართავენ და დღევანდელი გადასახედიდან ძნელი წარმოსადგენია, მეტოქეს რამე დაუთმონ. მესამე მოგება კი ქვეყნის ჩემპიონობას ნიშნავს.

რუსთაველებმა ოქროს მედლები დაიმსახურეს როგორც საკალათბურთო, ასევე არასაკალათბურთო თვალსაზრისით... ოღონდ, ამ თემას მიმოხილვის ბოლოს დავუბრუნდებით. მანამდე ორიოდე სიტყვა მატჩზე უნდა ვთქვათ.

გუშინ, "ენერჯის" ახალგაზრდა გამთამაშებელი **მალხაზ აბაიშვილი** ფარქვეშ შეიჭრა, მაგრამ ბურთი კალათში ვერ მოათავსა. ამ დროს ტაბლოს ავხედეთ – "ენერჯის" გასწვრივ 104 ქულა ეწერა.

- *დარჩენილ 45 წამში რუსთაველებმა ქულა რომ არ ჩააგდონ, საწერი გაჩნდება*, - ვთქვით ჟურნალისტურ წრეში. რუსთაველებმა მატჩი მართლაც 104 ქულით დაასრულეს და აი, რა გაჩნდა დასაწერი: "ენერჯიმ" ორივე მატჩში ქულათა ერთნაირი რაოდენობა მოაგროვა - 104. ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ ორივე მატჩი ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. საინტერესოა, რომ მასპინძლებმა პირველ პერიოდში ორჯერვე 26-26 ქულა მიითვალეს... ისევე, როგორც სერიის საწყის მატჩში, მეორეშიც რუსთაველებმა მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ პირველ ტაიმშივე გადაწყვიტეს. თავად განსაჯეთ: დიდ შესვენებაზე ქვემოქართლელები 30-ქულიანი ფორით გავიდნენ – 57:27. მესამე პერიოდში საუ-ელებმა რამდენიმე შორეული ტყორცნა კი ჩააგდეს, მაგრამ პასუხად ასევე სამიანებს იღებდნენ და მეოთხე რაუნდის წინ "ენერჯის" უპირატესობამ 34 ქულა შეადგინა (85:51).

არც ის იქნება გასაკვირი, თუ ვიტყვით, რომ "ენერჯიმ" მეტოქეს ამჯერადაც ყველა კომპონენტში აჯობა: საუ-მ სულ 36 მოხსნა მიითვალა, მაშინ, როცა რუსთაველებმა 36 მხოლოდ საკუთარ ფარზე მოხსნეს, სულ 48 მოხსნა მოუგროვდათ. აგრარებმა მეორე მატჩშიც მეტოქეზე მეტი სამქულიანი ისროლეს, მაგრამ ექვსით ნაკლები ჩააგდეს: საუ – 34-დან 8, "ენერჯი" – 32-დან 14. პერიმეტრიდან ტყორცნების სიზუსტით მასპინძელთა მსროლელი **ბესიკ ლეჟავა** გამოირჩა – 7-დან 5 სამქულიანი გამოიყენა. მატჩის სნაიპერი კი ლაშა გამყრელიძე გახდა – 21 ქულა.

საფინალო სირენამ რომ ჩამოჰკრა, "ენერჯი" სრული შემადგენლობით მოედნის ცენტრში შეიკრიბა და გულშემატკივარს მადლობა გადაუხადა, სწორედ ისე, როგორც თასის მოპოვების შემდეგ ხდება ხოლმე... ამ ჟესტით ქვემოქართლელებმა ქომაგს უჩვენეს, რომ ფინალურ სერიაში რუსთავში დაბრუნებას აღარ აპირებენ. "ენერჯიმ" ჩემპიონობა რომ დაიმსახურა, ზემოთ უკვე გესაუბრეთ, ასევე დაიმსახურეს რუსთავის მცხოვრებლებმაც: მათ არც მეტი, არც ნაკლები – საკალათბურთო შუქნიშნები აქვთ. მწვანე ფერის ნათურა რომ აინთება, იქვე 24-წამიანი წამზომი ირთვება და ნელ-ნელა კლებულობს. მანქანას გასავლელად 24 წამი ეძლევა, ისევე, როგორც კალათბურთში, თითოეულ გუნდს - შეტევისთვის...

**ვაჟა სიმონიშვილი**

*უკრაინის ჩემპიონატი*

# ოცქულიანი მარკოიშვილი და ათქულიანი ნაგება

**ფაჩულია, ცქიტიშვილი, ელისი...** საქართველოს ნაკრების ამ ტრიოს **მანუჩარ მარკოიშვილიც** შეუერთდა. რაში? – იკითხავთ. გიპასუხებთ – სეზონი მანუმაც დაასრულა. უფრო სწორად, მანუჩარის "კიევმა" ჩემპიონობისკენ სვლა შეწყვიტა. დედაქალაქელებმა დონეცკში ადგილობრივ "ვეფხვებთან" ნახევარფინალური სერიის მეოთხე მატჩში 74:84 დათმეს და ფინალის საგზური დონეცკში დატოვეს (1:3 სერიაში).

საინტერესო დამთხვევაა: სეზონის ბოლო, გადამწყვეტი მატჩი ზაზა ფაჩულიას "ატლანტამაც" სწორედ იმ ანგარიშით წააგო, როგორითაც "კიევმა" – 74:84.

კიეველთა ოფიციალურ ვებგვერდზე წერია: "ჩვენები ფინალში ვერ მოხვდნენ, მაგრამ ამის გამო საყვედურს ვერ ვეტყვით". ეს პირველ რიგში მანუჩარ მარკოიშვილის მისამართითაა ნათქვამი. მან ნახევარფინალის ბოლო მატჩშიც იკისრა ლიდერობა და შეხვედრის სნაიპერი გახდა – 20 ქულა (10-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი, 7-დან 6 საჯარიმო). 20-ქულიანი მონაგარი ქართველმა უნივერსალმა 4-4 მოხსნა-პასითა და 3 ჩაჭრით გაამდიდრა.

"კიევი" მესამე ადგილისთვის მატჩში "ხიმიკს" დაუპირისპირდება. პირველი თამაში კიევში 18 მაისს შედგება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**სუმოს სამყარო**

*ნაცუ ბაშო (10-24 მაისი)*

# კოკაი ტოჩინოშინის წინააღმდეგ

## ვისი იორიკირი აჯობებს

მაისის ბაშოს, რომელსაც იაპონელები, რატომღაც, ზაფხულის (ნაცუ) ბაშოს უწოდებენ, მესამედი მიილია, ქართველი რიკიშებისთვის სტარტი კარგი აღმოჩნდა - ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** 4-1 ბალანსით ლიდერთა კვარტეტს კვალში უდგას, ხოლო **ლევან ცაგურიას (კოკაი)** დადებითი ბალანსი აქვს - 3-2. გუშინ ორივე ჩვენებურმა მოიგო, თუმცა მთავარია, რა იქნება დღეს? დღეს ხომ ქართველებს დოჰიოზე ერთმანეთის პირისპირ მოუწევთ დგომა. ასეთი რამ აქამდე სულ ორჯერ მოხდა - შარშან ივლისის ბაშოზე კოკაიმ ტოჩინოშინს იორიკირით აჯობა, სექტემბერში კი ტოჩინოშინმა იმავე ილეთით იძია შური გაცილებით ტიტულოვან თანამემამულეზე.

ტოჩინოშინმა გუშინ ნავსი გატეხა, კარიერაში პირველად (მეხუთე ცდაზე) აჯობა 170-კილოიან **ტოიოჰიბიკის**. მან იორიკირით შეძლო მეტოქის დოჰიოდან გაყვანა. იგივე ილეთი იხმარა კოკაიმაც, რომელსაც ძიუროს დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერი, **კიტატაიკი** ჰყავდა მეტოქედ.

ბაშოს მესამედი დაუმარცხებლად გალია დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ**. 24 წლის მონღოლმა გუშინ **კაკურიუს** აჯობა, არადა, თავიდან კომუსუბიმ შეუტია და „თეთრ ფენიქსს" (ჰაკუჰოს ასე ეძახიან) თავის დაცვამ მოუწია, მაგრამ მარჯვენათი ჰაკუჰომ შესანიშნავად შეასრულა სუკუინაგე. 5-5 მოგება აქვთ ოძეკი **ჰარუმაფუჯის** (ყოფილი **ამა**), ყოფილ სეკივაკე **კისენოსატოს** და სუმოს მოყვარულთა რჩეულ **ტაკამისაკარის**.



კოკაი და ტოჩინოშინი

# გაგამარუმაც იმარჯვა

მეორე დივიზიონ ძურიოში დაუმარცხებელი აღარავინაა, გუშინ წააგეს პირველმა ნომერმა **ტოსაიუტაკამ** და მე-6 ნომერმა **კორიუმ**. 4-4 გამარჯვება კი 6 რიკიშის აქვს.

მესამე დივიზიონის, მაკუშიტას ლიდერებში **თეიმურაზ ჯუღელიცაა (გაგამარუ)**. ქართველი მე-6 ნომერია და წარმატების შემთხვევაში ძურიოს საგზურს მიუახლოვდება. გუშინ მან ელიტის ყოფილი წევრი **ჰოჩიამა** უვატედაშინაგეს ილეთით დააგდო. გაგამარუს დღეისათვის 2-1 ბალანსი აქვს და ის ბაშოს მე-6 დღეს ისვენებს. 22 წლის ქართველს დარჩენილი 4 ორთაბრძოლიდან 2-ის მოგებაც ჰყოფნის დადებითი ბალანსისთვის.

*სუმოს ისტორიიდან*

იაპონიაში ხანგრძლივ ომიანობას საბოლოოდ ბოლო რამდენიმე მებრძოლი კლანის ერთი მმართველის ქვეშ გაერთიანების შემდეგ მოეღო, ეს მოხდა 1603 წელს **ტოკუგავა შოგუნატეს** მმართველობისას. სწორედ მაშინ გავრცელდა სუმო დაბალ კლასებშიც და ჭეშმარიტად ეროვნული სპორტი გახდა. სწორედ ედოს პერიოდში (1603 წლიდან) ჩაეყარა საფუძველი სუმოს დღევანდელ ასოციაციას. სუმოს ასოციაცია ალბათ ყველაზე ძველი სპორტული ორგანიზაციაა მსოფლიოში.



ჰაკუჰოს მეხუთე გამარჯვება

| V დღე | |
|---|---|
| კოკაი (მ 14) -კიტატაიკი (ძ 3) | 1:0 (იორიკირი) |
| ჰოკუტორიკი (მ 13) -შოტენრო (მ 15) | 0:1 (ჰატაკიკომი) |
| ტაკამისაკარი (მ 12) -ბუშუიამა (მ მ 15) | 1:0 (იორიკირი) |
| ტოჩინოშინი (მ 13) -ტოიოჰიბიკი (მ 11) | 1:0 (იორიკირი) |
| მიაბიამა (მ 11) -კიმურაიამა (მ 16) | 1:0 (ოშიტაოში) |
| კაკიძოე (მ 14) -შიმოტორი (მ 10) | 1:0 (სუკუინაგე) |
| ტოკიტენკუ (მ 9) -დეჯიმა (მ 12) | 0:1 (იორიკირი) |
| ფუტენო (მ 10) -ტამავაში (მ 8) | 1:0 (იორიკირი) |
| იამამოტოიამა (მ 9) -ჩიოჰაკუჰო (მ 6) | 1:0 (უბრძოლველად) |
| ტოჩინონადა (მ 5) -ივაკიამა (მ 8) | 0:1 (უვატედაშინაგე) |
| ასასეკირიუ (მ 7) -არანი (მ 4) | 1:0 (იორიკირი) |
| კისენოსატო (მ 4) -იოშიკაძე (მ 5) | 1:0 (ოშიდაში) |
| კოტოშოგიკუ (მ 6) -ტოიონოშიმა (მ 3) | 1:0 (იორიკირი) |
| ამინიშიკი (მ 1) -გოეიდო (ს) | 0:1 (კუბინაგე) |
| ბარუტო (ს) -კოტომიცუკი (ო) | 0:1 (იორიკირი) |
| კაიო (ო) -კიოკუტენჰო (მ 2) | 1:0 (იორიკირი) |
| ტაკეკაძე (მ 2) -ჰარუმაფუჯი (ო) | 0:1 (იორიკირი) |
| კოტოოშუ (ო) -ტოჩიოძანი (კ) | 1:0 (კატასუკაში) |
| ჩიოტაიკაი (ო) -ჰომაშო (მ 1) | 1:0 (კოტენაგე) |
| ტამანოშიმა (მ 3) -ასაშორიუ (ი) | 0:1 (იორიკირი) |
| ჰაკუჰო (ი) -კაკურიუ (კ) | 1:0 (სუკუინაგე) |

**VI დღე**

კიმურაიამა (მ 16), 0-5-ბუშუიამა (მ 15), 1-4
კოკაი (მ 14), 3-2-ტოჩინოშინი (მ 13), 4-1
ტაკამისაკარი (მ 12), 5-0-შოტენრო (მ 15), 2-3
ჰოკუტორიკი (მ 13), 2-3-ტოიოჰიბიკი (მ 11), 3-2
ფუტენო (მ 10), 3-2-კაკიძოე (მ 14), 4-1
ტოკიტენკუ (მ 9), 3-2-მიაბიამა (მ 11), 3-2
დეჯიმა (მ 12), 2-3-იამამოტოიამა (მ 9), 4-1
ივაკიამა (მ 8), 2-3-შიმოტორი (მ 10), 1-4
ტოჩინონადა (მ 5), 2-3-ტამავაში (მ 8), 2-3
კისენოსატო (მ 4), 5-0-კოტოშოგიკუ (მ 6), 4-1
იოშიკაძე (მ 5), 0-5-არანი (მ 4), 2-3
ასასეკირიუ (მ 7), 2-3-ტოიონოშიმა (მ 3), 1-4
კაკურიუ (კ), 1-4-გოეიდო (ს), 4-1
ჩიოტაიკაი (ო), 3-2-ტამანოშიმა (მ 3), 1-4
ამინიშიკი (მ 1), 1-4-კოტომიცუკი (ო), 3-2
კაიო (ო), 4-1-ბარუტო (ს), 2-3
კიოკუტენჰო (მ 2), 2-3-ჰარუმაფუჯი (ო), 5-0
კოტოოშუ (ო), 3-2-ჰომაშო (მ 1), 0-1
ჰაკუჰო (ი), 5-0-ტაკეკაძე (მ 2), 0-5
ტოჩიოძანი (კ), 2-3-ასაშორიუ (ი), 4-1

**სუმოს ლექსიკონიდან**

**მაეგაშირა** - ელიტის სუმოისტი. უმაღლეს დივიზიონში ოთხი რანგია, მათ შემდეგ კი ყველა მაეგაშირას ტიტულით ასპარეზობს.

**მაგე** - რიკიშის თმის ვარცხნილობა და ნასკვი.

**მაკუშიტა** - რანგით მესამე დივიზიონი პროფესიულ სუმოში.

**მაკუუჩი** (ან მაკუნოუჩი) - პროფესიული სუმოს უმაღლესი დივიზიონი.

**მავაში** - აბრეშუმის გრძელი ნაჭერი (9 მეტრის სიგრძის), რომელსაც სუმოისტები ვარჯიშისას და ბრძოლისას იცვამენ. ქამარს მავაში მხოლოდ გარეგნულად ჰგავს.

*ჰონორარები, ჰონორარები...*

სუმოში გამორჩეულ ორთაბრძოლებს ჰყავთ სპონსორები, რომლებიც გამარჯვებულ რიკიშის თანხით აჯილდოებენ. სპონსორს შეუძლია მინიმალურად ერთი კენშო დააწესოს ბრძოლის ჰონორარად. ერთი კენშო 60 ათასი იაპონური იენია (დაახლოებით 500 დოლარი). ზოგიერთი ბრძოლა ძალზე საინტერესოა და იქ სხვადასხვა სპონსორი საკმაოდ ბევრ კენშოს აწესებს, ზოგი კი საერთოდ არ იქცევს სპონსორთა ყურადღებას. მაგალითად, ერთხელ **ტაკამისაკარიმ ასაშორიუ** დაამარცხა და სპონსორთა მიერ დაწესებული 8 ათასი დოლარი მიითვალა, რაც არც ისე ცუდია ერთი, რამდენიმეწამიანი ორთაბრძოლისთვის!

| მდგომარეობა 4 დღის შემდეგ | | |
|---|---|---|
| 1. ჰაკუჰო | 58 | 31,9 ათასი $ |
| 2. ასაშორიუ | 37 | 20,3 ათ. $ |
| 3. ტაკამისაკარი | 23 | 12,6 ათ. $ |
| 4. ჰარუმაფუჯი | 13 | 7,1 ათ $ |
| 5. გოეიდო | 13 | 7,1 ათ. $ |
| 6. კისენოსატო | 9 | 4,9 ათ. $ |
| 7. იამამოტოიამა | 8 | 4,4 ათ. $ |
| 8. კოტოშოგიკუ | 7 | 3,8 ათ $ |
| 9. კოტოოშუ | 6 | 3,3 ათ. $ |
| 10. კაიო | 6 | 3,3 ათ. $ |

*დღის ამბავი*

გუშინ პირველი ფუსენ-შოს ანუ ბრძოლაზე გამოუცხადებლობის მომსწრენი გავხდით მაისის ბაშოზე. მე-6 მაეგაშირა **ჩიოჰაკუჰომ** წინადღეს **კისენესატოსთან** ბრძოლაში მარჯვენა მუხლის მყესები დაიზიანა. 26 წლის სუმოისტი ექიმებმა ბაშოდან მოხსნა და ოთხკვირიანი მკურნალობის კურსი დაუნიშნეს. ელიტაში ეს მეორე ტრავმაა, ბაშოს დაწყებამდე ცნობილი იყო, რომ მე-7 მაეგაშირა **ვაკანოსატო** ვერ შეძლებდა ჭიდაობას. ოფლის დაუღვრელად გამარჯვება (ფუსენ-შო) მე-9 მაეგაშირა **იამამოტოიამამ** (რომელიც 258 კილოს იწონის!) მოიპოვა.



ჩიოჰაკუჰო

*დღის ილეთი*



**კატასუკაში** *(მხრით დაგდება)*

ამ ილეთს საკმაოდ იშვიათად იყენებენ, გუშინ კატასუკაში ბულგარელმა ჩემპიონმა **კოტოოშუმ** გამოიყენა კომუსუბი **ტოჩიოძანის** წინააღმდეგ.

შემტევ მეტოქეს დოჰიოზე ანარცხებს მას შემდეგ, რაც მეტოქის მხარს ხელებში მოიგდებს (ერთი ხელით მხარს ქვემოდან დაუჭერს, მეორით გარედან). მოძრაობისას სუმოისტი მეტოქეს წინ აგდებს, თავად კი გამოეცლება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**რაგბი.** მსოფლიოს თასი 2015/2019

# რბოლა მასპინძლობისთვის



ინგლისელების ჯილა უემბლი

დუბლინში, IRB-ის შტაბბინაში მსოფლიო თასის გათამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვებაზე ოფიციალურად განაცხადი ოთხმა ქვეყანამ გააკეთა და საკუთარი არგუმენტების გასამყარებელი პროექტებიც წარადგინა. იტალია, იაპონა, ინგლისი და სამხრეთ აფრიკა - აი, ის ქვეყნები, რომლებსაც სურვილი აქვთ, 2015 ან 2019 წლებში მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმს უმასპინძლონ. ამათგან ინგლისი, მხოლოდ 2015 წლის გათამაშებაზე აცხადებს პრეტერნზიას და მთლიანად ამ თარილისკენაა კონცენტრირებული. საბოლოო გადაწყვეტილებას IRB 28 ივლის მიიღებს. ინტერესმოკლებული არ იქნება, გავეცნოთ თითოეული კანდიდატი ქვეყნის არგუმენტებს.

## ინგლისი

ინგლისის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა დაიფიცეს, რომ იდეალურად გაართმევენ თავს მსოფლიო თასის გათამაშების საორგანიზაციო საკითხებს 2015 წელს. მათ აზრით, ინგლისისა და უელსის ისეთ დიდ სტადიონებზე ჯგუფური ტურნირის მატჩების გამართვა როგორებიცაა - "თვიქნემი", „უემბლი", „მილენიუმი" და „ემირიტსი" ფინანსურად ბევრად უფრო მომგებიანს გახდის მსოფლიო თასის გათამაშებას, ვიდრე 2007 წელს საფრანგეთის ჩემპიონატი იყო. ინგლისელები მსოფლიო რაგბის მამებს შემოსავლების 30 პროცენტით გაზრდას დაჰპირდნენ.

*„ჩვენი სურვილი, გაიმართოს მსოფლიო თასის გათამაშება ინგლისში დამყარებულია სპორტის ამ სახეობისადმი უსაზღვრო სიყვარულზე, მისი იდეალების ერთგულებაზე. ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება ფართო მასები ჩაერთონ მსოფლიო რაგბის ფერხულში. გაეცნონ და გაითავისონ დიდი სარაგბო ოჯახის ფასეულობები"*, - განაცხადა ინგლისის რაგბის კავშირის ხელმძღვანელმა **ფრენსის ბერონმა.**

ზემოთ ნახსენები სტადიონების გარდა ინგლისელთა გეგმით მსოფლიო თასის შეხვედრებს უმასპინძლებენ „ენფილდ როუდი", „ელანდ როუდი", „სენტ ჯეიმს პარკი", „სენტ მერი სთედიუმი" და „რიკო არენა". თითოეული ეს არენა უკვე მზადაა თავის სრულყოფილი ინფრასტრუქტურით ნამდვილი ზეიმი მოუწყოს რაგბის ქომაგს. ამასთან იდეალური პირობებია შექმნილი მსურველი კომპანიებისათვის თავიანთი პროდუქციის რეკლამირებისათვის.

შედეგად ინგლისელები IRB-ის ნაკლები რისკის გაწევით მაქსიმალური მატერიალური მოგების მიღებას ჰპირდებიან.

## იაპონია

იაპონია ერთხელ უკვე აცხადებდა პრეტენზიას მსოფლიო თასის მასპინძლობაზე, მაგრამ IRB-მ, ჩვენი აზრით, სრულიად გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო და 2011 წლის გათამაშების მასპინძლობის უფლება ახალ ზელანდიას მიაკუთვნა.

იაპონელთა წისქვილზე წყალს ის ფაქტორი ასხამს, რომ მსოფლიო თასი აზიაში არასდროს გამართულა. არადა, ამომავალ მზის ქვეყანა უკვე დღესვე მზადაა ასეთი მასშტაბური ტურნირის ორგანიზებას წარმატებით გაართვას თავი.

თავად განსაჯეთ. იაპონიამ სამჯერ უმასპინძლა ოლიმპიურ თამაშებს. აქვე გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში. თერთმეტჯერ იყო მსოფლიო დონის ტურნირების ორგანიზატორი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. წელს სექტემბერში გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. საკმაოდ შთამბეჭდავი ჩამონათვალია.

იაპონელთა უმთავრესი არგუმენტი ის არის, რომ მსოფლიო თასის ამ ქვეყანაში გამართვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აზიაში ოვალური ბურთით თამაშის პოპულარიზაციას. მით უფრო, რომ ისინი მზად არიან რამდენიმე შეხვედრის მასპინძლობის უფლება ჰონგ კონგსა და სინგაპურს დაუთმონ. ეს კი, რაგბის უდიდესი და რაც მთავარია, უმდიდრესი ბაზრის ათვისების საშუალებას მისცემს.

სტადიონები სადაც იაპონელები მსოფლიო თასის შეხვედრების მასპინძლობას აპირებენ თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს, ანუ იდეალურ მდგომარეობაშია. ესენი არიან: "ნისან სთედიუმი" (კანაგავა), „ნაგაი სთედიუმი" (ოსაკა), „ნეიშენალ სთედიუმი" (ტოკიო), „რაგბი გრაუნდი" (ტოკიო), „იურტეკ სთედიუმი" (მიიაგი), „ლეველ სთედიუმი" (ფუკუოკა), „ტოიოტა სთედიუმი" (აიჩი), „საპორო დოუმი" (ჰოკაიდო), „ჰომეს სთედიუმი" (ჰიოგო), „ჰოგ კონგ სთედიუმი" (ჰონგ კონგი) და „სინგაპურ სპორტს ჰაბი" (სინგაპური)

## იტალია

დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზებაში ახალბედები არც აპენინელები არიან. სპორტი იტალიაში ცხოვრების წესია, ზეიმია. უმდიდრესი კულტურის ქვეყანა ქომაგებს უმშვენიერეს დღეებს ჰპირდება.

იტალიელთა პროექტი IRB-ში იტალიის რაგბის ფედერაციის ფედერალურმა მრჩეველმა **ანდრეა რონალდიმ** წარადგიანა, რომელიც პადოვისა და ლოზანის უნივერსიტეტებში კითხულობს ლექციებს.

*„ჩვენ ზურგს გვიმაგრებს იტალიის ხელისუფლების მხარდაჭერა. პარლამენტმა ახლახან ერთხმად დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც ფინასურ გარანტიებს აძლევს იტალიის რაგბის ფედერაციას მსოფლიო თასის ორგანიზების საქმეში.*

*უდიდესი სარაგბო ფორუმი მთელ ჩვენს ნახევარკუნძულს მოიცავს, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და იმ დღეებში იტალია მხოლოდ დიდი რაგბით იცხოვრებს. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ქომაგებს კი, ტრადიციული სტუმართმოყვარეობით მივიღებთ".*

იტალიელები მსოფლიო თასის მსვლელობისას 2 მილიონ 600 ათასი ბილეთის გაყიდვას გეგმავენ. ტელეაუდიტორიის რიცხვი კი, მათი გათვლებით, სავარაუდოდ, ოთხნახევარი მილიარდი იქნება.

მსოფლიო თასის შეხვედრებს შემდეგი ქალაქები უმასპინძლებენ: გენუა, ტურინი, მილანი, ვერონა, პადუა, რომი, ფლორენცია, ნეაპოლი, პალერმო და ფრანგული მარსელი.

## სამხრეთ აფრიკა

სამხრეთ აფრიკამ ერთხელ უკვე უმასპინძლა მსოფლიო თასის გათამაშებას 1995 წელს და საკმაოდ დიდი შანსი აქვს 2015 ან 2019 წლის შეჯიბრებაც გამართოს.

IRB-ში აფრიკელთა პროექტი, სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **მარკ ალექსანდერმა** და ბოკეს ყოფილმა კაპიტანმა **მორნი დუ პლესისმა** წარადგინა.

„ჩვენს განაცხადს სითამამეს სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებისა და მრავალრიცხვოვანი ინვესტორების მხარდაჭერა მატებს. ვფიქრობთ, ჩვენი არგუმენტების ყველაზე საფუძვლიანია. ამის თქმის უფლებას სამხრეთ აფრიკის სარაგბო ტრადიციები, ინფრასტრუქტურა და სტუმრებისთვის შექმნილი იდეალური პირობები გვაძლევს", - თქვა მარკ ალექსანდერმა.

აფრიკელები არსებულ სარაგბო სტადიონებთან ერთად მსოფლიო თასის არენათა რიცხვში, იმ ახალი სტადიონების ჩართვას გეგმავენ, რომლებიც 2010 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს უმასპინძლებენ.

როგორც დუ პლესისმა განაცხადა: *„ჩვენი ქვეყანა ყველასათვის ხელსაყრელ სასაათო სარტყელში მდებარეობს. ის ხელსაყრელია როგორც სატელევიზიო რეპორტაჟებისთვის, ასევე მსოფლიო თასის მონაწილეთა აკლიმატიზაციის იოლად დაძლევისთვის. ჩვენი გათვლებით ტურნირზე 2 მილიონ 800 ათასი ბილეთი უნდა გავყიდოთ. ვფიქრობთ, შეჯიბრებას მნიშვნელოვანი კომერციული წარმატება ელის. ალარაფერს ვამბობთ რაგბის იმ უდიდეს ზეიმზე, რომლის ბრწყინვალედ ორგანიზებასაც გპირდებით".*

ახლა ჯერი IRB-ის შეფებზეა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**კრივი**

# პაკიაო პოლიტიკაში მიდის

მსოფლიოს საუკეთესო მოკრივემ, ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** სამშობლოში ერთ-ერთ ტელეარხს ინტერვიუ მისცა, სადაც განაცხადა, რომ 2009 წლის შემოდგომაზე დაასრულებს სპორტულ კარიერას და პოლიტიკაში ცდის ბედს. ამასთან, პაკმენმა ისიც აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

სავარაუდოდ, 30 წლის პაკაიო ოქტომბერში ან ნოემბერში პუერტორიკოელ **მიგელ კოტოს** შეხვდება. ამ ბრძოლის ორგანიზებაზე ფილიპინელის პრომოუტერი **ბობ არუმი** ზრუნავს, თუმცა თავად მენიმ უკვე განაცხადა, რომ ურჩევნია ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერ-უმცროსს** შეხვდეს, რომელიც პაკიაომდე ატარებდა პლანეტის საუკეთესო მოკრივის სახელს.

შეგახსენებთ, რომ 2 მაისს, პაკიაომ ბრიტანელი **რიკი ჰატონი** ნოკაუტით დაამარცხა. 18 ივლისს, მეივეზერი მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესს** შეხვდება, კოტო კი 13 ივნისს იჩხუბებს განელი **ჯოშუა კლოტის** წინააღმდეგ.

2009 წლის მაისში პაკიაომ ფილიპინებზე პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბა, რომელსაც "სახალხო ჩემპიონის მოძრაობა" ენოდა. 2010 წელს მოკრივე სარანგანის პროვინციის პარლამენტში მოსახვედრად იბრძოლებს.

სხვათა შორის, პაკმენი 2007 წელსაც აპირებდა პოლიტიკური კარიერის დაწყებას. ის პროვინცია სამხრეთ კოტაბატოს საკანონმდებლო ორგანოში იყრიდა კენჭს, მაგრამ საკმარისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

**გია თვალაბეიშვილი**

**ცხელი ხაზი**

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა. პლეი ოფი** | |
| ლიდსი-მილუოლი | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ინგოლშტადტი-სტ. პაული | 0:1 |
| **შოტლანდია** | |
| **I დივიზიონი. პლეი ოფი** | |
| პიტერჰედი-ეირდი | 0:2 |
| **II დივიზიონი. პლეი ოფი** | |
| სტენჰაუზმური-ქუინზ პარკი | 2:1 |
| **დანია** | |
| მიდტიულანდი-ოლბორგი | 2:1 |
| ორჰუსი-ესბერგი | 3:1 |
| ბრონდბიუ-რანდერსი | 3:0 |
| **შვედეთის თასი** | |
| გუნილსი-ჰელსინგბორგი | 0:7 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-ტამპერე | 1:0 |
| ჰიკ-ჰონკა | 1:1 |
| ინტერი-ტურკუ | 2:0 |
| იუვიასკიულა-როვანიემი | 1:1 |
| მიუპა-ლაჰტი | 2:2 |
| **ისლანდია** | |
| გრინდავიკი-რეიკიავიკი | 0:4 |
| ჰაფნარი-ფრამი | 2:1 |
| ტროტური-სტიარნანი | 0:6 |
| ვალური-ფიოლნირი | 3:1 |
| ფილკირი-კეფლავიკი | 2:0 |
| [illegible] | |
| **II დივიზიონი** | |
| ნოსტა-მვდ | 2:2 |
| ალანია-ცსკა ენერგია | 3:1 |
| მეტალურგი-სალუტი | 2:1 |
| ვიტიაზი-ჩიტა | 0:0 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-ლ. ენერგია | 2:0 |
| გაზპრომი-ანჟი | 1:3 |
| შინიკი-სიბირი | 3:1 |
| ჩერნომორეცი-ვოლგა | 0:0 |
| კრასნოდარი-კამაზ | 0:1 |
| ბალტიკა-ურალი | 1:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| მარუსი-ოლიმპიაკოსი | 78:93 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მადრიდი** | |
| დელ პოტრო-ვავრინკა | 4:6, 6:4, 6:4 |
| მიურეი-რობრედო | 7:5, 6:1 |
| ფედერერი-ბლეიკი | 6:2, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-სეპი | 6:4, 6:4 |
| ვერდასკო-მონაკო | 7:5, 6:2 |
| სიმონი-ლუბიჩიჩი | 6:3, 4:6, 3:6 |
| **WTA. მადრიდი** | |
| ა. ბონდარენკო-ჩაკვეტაძე | 6:0, 2:6, 6:3 |
| იანკოვიჩი-ვესნინა | 6:2, 6:2 |
| აზარენკა-შავაი | 6:4, 2:6, 2:6 |
| საფინა-საფაროვა | 6:0, 4:6, 6:3 |
| ვოზნიაჩკი-კლეიბანოვა | 6:2, 6:2 |

**TV პროგრამა**

**15 მაისი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:05** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**08:05** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**09:10** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:10** ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეფენსორი (ურუგვაი).
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**12:30** ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიბერტადი (პარაგვაი)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
**14:20** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:30** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**17:35** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:35** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**19:05** სასტვენი.
**19:35** საფეხბურთო პროგრამა.
**20:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**21:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:45** ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეფენსორი (ურუგვაი).
**00:35** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**01:05** საფეხბურთო კლუბი.
**01:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**02:25** გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-დორტმუნდი.
**04:15** საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-მარსელი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**08:00** სპორტული დილა.
**08:45** ჰაერნაოსნობა.
**10:45** ცურვა.
**12:20** ფიგურული სრიალი.
**14:30** სპორტული დღე.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**17:00** ახალი ამბები.
**17:30** სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**22:30** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. დეტროიტი-ანაჰაიმი. VII მატჩი.
**00:30** ახალი ამბები.
**01:00** ცურვა.
**02:30** ფიგურული სრიალი.
**03:30** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. იაპონია.

**EUROSPORT**

**10:35** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**11:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VI ეტაპი.
**11:55** ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
**12:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ჰოლანდია. გერმანია.
**13:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. გერმანია (LIVE).
**14:45** ევროგოლი - სპეციალური გამოშვება. არიენ რობენი.
**15:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**17:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VII ეტაპი (LIVE).
**19:30** ევროგოლი - სპეციალური გამოშვება. ანდრეა პირლო.
**19:45** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. გერმანია (LIVE).
**20:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:45** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. გერმანია (LIVE).
**21:25** ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
**21:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**23:00** სპორტული ცეკვები.
**00:30** პოკერი. საფრანგეთი.
**01:30** ექსტრემალური სპორტი.
**02:30** მულტისპორტი.

**ველოსპორტი.** ჯირო დ'იტალია. V ეტაპი

**სან მარტინო-ალა დე სუსი. 125 კმ**

1. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - 3.15,23; 2. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - +0,02; 3. **ტომას ლოვკვისტი** (შვედეთი, Columbia - Highroad) - +0,05; 4. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - იგივე დრო; 5. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, "ასტანა") - +0,09; 6. **კრის ჰორნერი** (აშშ, Astana) - იგივე დრო; 7. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +0,19; 8. **მაიკლ რროჯერსი** (ავსტრალია, Columbia – Highroad) - +0,22... 35. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, "ასტანა") - +2,58...

**საერთო ჩათვლა**

1. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - 16.20,44; 2. **ტომას ლოვკვისტი** (შვედეთი, Columbia - Highroad) - +0,05; 3. **მაიკლ როჯერსი** (ავსტრალია, Columbia – Highroad) - +0,36; 4. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, "ასტანა") - +0,43; 5. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - +0,50; 6. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - +1,06; 7. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +1,16... 22. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, "ასტანა") - +3,34...

**ჰოკეი.** NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**ვაშინგტონი-პიტსბურგი 2:6**

0:2, 1:3, 1:1

გოლები: 0:1 კროსბი-11 (გონჩარი-8, მალკინი-12), 0:2 ადამსი-1 (ფედოტენკო-4, ორპიკი-4), 0:3 გერინი-5 (კროსბი-9), 0:4 ლეტანგი-3 (მალკინი-13, შატანი-3), 0:5 ჯ. სტაალი-2 (შატანი-4), 1:5 ოვეჩკინი-11, 1:6 კროსბი-12, 2:6 ლეიჩი-2 (ფლიშმანი-1).

**სერია: 3:4**

კალათბურთი. NBA პლეიოფი. 1/4 ფინალი



ჩონსი ბილაპსი

# დენვერი ფინალშია

ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ "დენვერი" მეხუთე მატჩში საკუთარ მოედანზე დაასრულებდა "დალასთან" სერიას და დასავლეთი კონფერენციის ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებდა. თუმცა სტუმრების ფორვარდი **ჯოშ ჰოვარდი** არ ეთანხმებოდა საკითხის ამგვარად დაყენებას. შეხვედრის სტარტზე მისი შვიდი ქულის წყალობით "დალასმა" წინ გასვლა მოახერხა. მაგრამ "კოვბოების" ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა: **ბილაპსმა, ენტონიმ** და **ნენემ** მოედანზე ისეთი კარუსელი დაატრიალეს, რომ **დირკ ნოვიცკისაც** კი თავბრუ დაეხვა. სულ რაღაც ხუთ წუთში მასპინძლები 25:11 გაიქცნენ და 14 ქულით დაწინაურდნენ.

მეორე მეოთხედიც იმავე სცენარით მიმდინარეობდა. "დენვერმა" თავის ლიდერებს დასვენების საშუალება მისცა და მოედანზე **სმიტი, კარტერი** და **ანდერსენი** შეიყვანა, თუმცა ისინიც ახერხებდნენ უპირატესობის ნელ-ნელა გაზრდას. რაც მთავარია, "ნაგეტსმა" კარგად ჩაკეტა სტუმრების ლიდერი ნოვიცკი, რომელმაც მეოთხედში მხოლოდ ორი ზუსტი ტყორცნა შეასრულა. დიდი შესვენებისთვის მინუს 14 ქულა "დალასს" ოპტიმიზმის საფუძველს არ უტოვებდა.

"მავერიქსი", როგორც იქნა, მეორე ტაიმის დასაწყისში გამოფხიზლდა და ზედიზედ ხუთი სამქულიანი ჩააგდო, რითაც ჩამორჩენა შვიდ ქულამდე დაიყვანა (72:79). მაგრამ **ჯორჯ კარლმა** მოედანზე თავისი ლიდერები დააბრუნა და მათ მომენტალურად 14 ქულამდე გაზარდეს უპირატესობა. მასპინძლებს აღარ გასჭირვებიათ მატჩისა და შესაბამისად, სერიის გამარჯვებამდე მიყვანა.

"ნაგეტსი" თავისი არსებობის ისტორიაში მხოლოდ მესამედ გავიდა პლეი ოფის ნახევარფინალში. ბოლოს მსგავსი შედეგი ამ გუნდს 1985 წელს ჰქონდა.

ჩონსი ბილაპსი კი ზედიზედ მეშვიდედ ითამაშებს ნახევარფინალში. 1970 წლის შემდეგ მხოლოდ ოთხმა კალათბურთელმა შეძლო იმავეს გაკეთება - **მეჯიქ ჯონსონმა, მაიკლ კუპერმა, ქარიმ აბდულ-ჯაბარმა** და **კურტ რემბისმა.**

**დასავლეთი**

| დენვერი-დალასი | 124:110 |
| --- | --- |

34:27, 35:28, 25:25, 30:30

**დენ**: ენტონი (30), ბილაპსი (28+7 მოხსნა+12 პასი), სმიტი (18+6 პასი), ნენე (17+7 მოხსნა), მარტინი (15+4 ჩაჭრა).

**დალ**: ნოვიცკი (32+10 მოხსნა+7 პასი), კიდი (19+9 პასი), ბასი (17+7 მოხსნა), ჯ. ჰოვარდი (14), ტერი (11).

**სერია: 4:1**

# შესანიშნავი ხუთეული

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ წლევანდელი რეგულარული სეზონის სიმბოლური ნაკრები გამოაცხადა. წლის საუკეთესო ხუთეული ასე გამოიყურება: მცველები - **დუენ უეიდი** ("მაიამი"), **კობი ბრაიანტი** ("ლეიკერსი"), თავდამსხმელები - **ლებრონ ჯეიმსი** ("კლივლენდი"), **დირკ ნოვიცკი** ("დალასი"), ცენტრი - **დუაიტ ჰოვარდი** ("ორლანდო").

სეზონის საუკეთესო კალათბურთელად აღიარებული ჯეიმსი ზედიზედ მეორედ მოხვდა პირველ სიმბოლურ ნაკრებში. წელს ამ კალათბურთელის საშუალო მაჩვენებლები იყო - 28.4 ქულა (მე-2 ადგილი ლიგაში), 7.2 პასი (10), 1.69 ჩაჭრა (8), 7.6 მოხსნა და 1.1 დაფარება.

დუეინ უეიდი რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - 30.2 ქულა. გარდა ამისა, ის მეორე ადგილზე გავიდა ჩაჭრების (2.19) რაოდენობით და მერვე იყო შედეგიანი პასებით (7.5). უეიდი გახდა მეხუთე კალათბურთელი ლიგის ისტორიაში, ვინც ერთ სეზონში დააგროვა 2000 ქულა, 500 პასი და 150 ჩაჭრა. "მაიამის" ლიდერი პირველად შევიდა საუკეთესო ხუთეულში.

კობი ბრაიანტი მეშვიდედ (ზედიზედ მეოთხედ) მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში. მოქმედ კალათბურთელებს შორის უკეთესი შედეგი **ტიმ დანკანსა** (9) და **შაკილ ო'ნილს** (8) აქვთ.

ლებრონის მსგავსად, პირველ სიმბოლურში ზედიზედ მეორედ შეიყვანეს "ორლანდოს" ცენტრი დუაიტ ჰოვარდი, რომელიც ლიგის ლიდერი გახდა მოხსნებისა (13.8) და დაფარებების (2.9) რაოდენობით. აქამდე ისტორიაში ოთხმა კალათბურთელმა შეძლო ამ ორ კატეგორიაში ერთდროულად პირველობის მოპოვება.

დირკ ნოვიცკისთვის ეს რიგით მეოთხე აღიარებაა. წელს "დალასის" გერმანელი ლეგიონერი მეოთხე ადგილზე გავიდა ყველაზე შედეგიან კალათბურთელებს შორის - 25.9 ქულა.

გუშინვე გამოცხადდა მეორე და მესამე სიმბოლური ნაკრებების შემადგენლობები.

**მეორე ნაკრები**: მცველები - **კრის პოლი** ("ნიუ ორლეანი"), **ბრენდონ როი** ("პორტლენდი"), თავდამსხმელები - **პოლ პირსი** ("ბოსტონი"), ტიმ დანკანი ("სან ანტონიო"), ცენტრი - **იაო მინი** ("ჰიუსტონი").

**მესამე ნაკრები**: მცველები - **ჩონსი ბილაპსი** ("დენვერი"), **ტონი პარკერი** ("სან ანტონიო"), თავდამსხმელები - **კარმელო ენტონი** ("დენვერი"), **პაუ გასოლი** ("ლეიკერსი"), ცენტრი - შაკილ ო'ნილი ("ფინიქსი").

წლის სიმბოლური ნაკრებები ამერიკისა და კანადის 122 წამყვანი მიმომხილველისა და კომენტატორის გამოკითხვის შედეგად შედგა.












ჩოგბურთი



# ჯოკოვიჩი ხუმრობს

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** წარმატებით თამაშობს მადრიდის მასტერსში. გუშინ მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა **ანდრეას სეპი** დაამარცხა და მეოთხედფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა, მანამდე კი ნოვაკმა ესპანეთის ტელევიზიის პოპულარულ იუმორისტულ შოუში (The Anthill) მიიღო მონაწილეობა.

გარდა იმისა, რომ ჩოგბურთელმა თავისი ცნობილი პაროდიებით გაართო პუბლიკა, გადაცემის წამყვანებმა ჯოკოვიჩი უცნაურ ტანსაცმელში გამოაწყვეს და ასე დაემშვიდობნენ მაყურებელს.

როგორც სერბმა განაცხადა, მან დადებითი ემოციები მიიღო და ეს კორტზე თამაშისას დიდ დახმარებას გაუწევს.




ფორმულა 1

# ლუისი 51 ევროთი დასაჯეს

როგორც ჩანს, ფორმულა 1-ის მოქმედ ჩემპიონ **ლუის ჰემილტონს** მხოლოდ "მაკლარენის" ბოლიდის საჭესთან არ ექმნება პრობლემები. ბრიტანელი პილოტი კუთვნილი არდადეგების დროსაც შარში ეხვევა.

ტურინული გაზეთი La Stampa წერს, რომ ესპანეთის გრანპრის შემდეგ, ლუისი იტალიაში გაემგზავრა თავის იახტაზე რამდენიმე დღის გასატარებლად.

მაგრამ ბრიტანელს დასვენება არ დასცალდა. ჰემილტონის იახტამ შემთხვევით ლუზა რომელიღაც "დახურულ" ყურეში ჩაუშვა, რომელსაც თურმე წვრთნებისთვის იტალიის საზღვაო ძალები იყენებს. იმის გამო, რომ ჩვეულებრივ გემებს ამ ყურეში შესვლა აკრძალული აქვთ, საპორტო ადმინისტრაციამ წესის დამრღვევს ყურესთან ახლოს მდებარე ქალაქ სავონაში გამგზავრება უბრძანა.

იქ ჰემილტონს ჯარიმის გადახდა დააკისრეს, რომლის ოდენობაც... 51 ევრო იყო.

■ ■ ■

ამასობაში, წლევანდელი სეზონის ლიდერმა, კიდევ ერთმა ბრიტანელმა **ჯენსონ ბატონმა** ლონდონის ცნობილ ტრიატლონში მონაწილეობა გადაწყვიტა. "ბრაუნ გრანპრის" პილოტი 1 აგვისტოს გავა სტარტზე და ჯერ 1500 მეტრს გაცურავს, შემდეგ 40 კილომეტრს ველოსიპედით გაივლის, ბოლოს კი 10 კილომეტრს გაირბენს. ჯენსონის გამოსვლით მიღებული თანხა ფონდ Make A Wish Foundation-ის ანგარიშზე გადაირიცხება. ეს ორგანიზაცია ბავშვთა დაავადებების მკურნალობას აფინანსებს. სულ ლონდონის ტრიატლონში მონაწილეობას 11 ათასი სპორტსმენი მიიღებს, მათ შორის ბატონი და მისი ორი სარბოლო ინჟინერი.




გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა